საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №39 (2739) სამშაბათი, 17 თებერვალი, 1998 წელი. ფასი 40 თეთრი, თბილისს გარეთ – 45 თეთრი.

„სიყვარული უნდა მეფობდეს საქართველოში — ეს ქვეყანა ხომ სიყვარულისთვის, შრომისთვის, შემოქმედებისთვის, სიმღერისთვის, სილამაზისთვის არის შექმნილი“

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 16 თებერვლის რადიოინტერვიუ

— საზოგადოების ყურადღების ცენტრში (და არა მარტო საქართველოში), რა თქმა უნდა, კვლავ 9 თებერვალს პრეზიდენტის წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტი, უფრო სწორად, სამხედრო ოპერაციაა. ამაზე ბევრი რამ ითქვა, და არა მარტო საქართველოში. იყო როგორც ცნობილი პოლიტიკოსებისა და სახელმწიფო მოღვაწეების უამრავი გამოხმაურება, ასევე, სხვათა შორის, თქვენს ფოსტაში მიღებული რიგითი მოქალაქეების — ამერიკელების, იაპონელების, ბრიტანელების, ჩეხების, გერმანელების, აბსოლუტურად უცნობი ადამიანების უაღრესად გულთბილი წერილები. როგორც შევიტყვეთ, ამ ტერორისტული აქტის რამდენიმე მონაწილე უკვე დაკავებულია. დამკვეთთა ვინაობა, პრინციპში, ცნობილია. თქვენ, რასაკვირველია, ამ მხრივაც საქართველოში ყველაზე ინფორმირებული პიროვნება ბრძანდებით. ისიც გასაგებია, რომ ყველა ინფორმაციას ბოლომდე ვერ გაამჟღავნებთ ამ კონკრეტულ ეტაპზე. მაგრამ იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც თქვენთვის ამჟამად ცნობილია, მაინც რა გახდა იმის ძირითადი მიზეზი, რომ 9 თებერვალს, ფაქტობრივად, განხორციელდა ტერორისტული აქტი კი არა, არამედ რაღაცნაირი ცინიზმითა და თავხედობით გამორჩეული სამხედრო ოპერაცია... — ამ თემაზე საუბრით დაიწყო, ჟურნალისტ ნატო ონიანის თხოვნით, თავისი ტრადიციული ორშაბათის ინტერვიუ საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ:

იხ. მე - 2 გვ.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამემამულეებისადმი მიმართვის გამო

საქართველოსთვის გადამწყვეტ ჟამს, ქართული მეცნიერების, განათლებისა და კულტურის დიდმა კერამ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ყოველ ჩვენგანს მიმართა მნიშვნელოვანი წინადადებით და შეახსენა, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა გვეკისრება ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფოს გადარჩენისა და მისი აღმშენებლობის პროცესის სწორად წარმართვის საქმეში.

ეს მიმართვა გამოხატავს საქართველოს ამ სახელოვანი უმაღლესი სასწავლებლის იმედს ქვეყნის მომავალზე, ზრუნვას მის აწმყოზე, მოგვიწოდებს ერთიანობისა და გონივრული მოქმედებისაკენ, რათა ღირსეულად შევხვდეთ მესამე ათასწლეულს, გავხდეთ თანამებრძოლნი ქვეყნის გადარჩენაში, თანამოაზრეები მისთვის სასიკეთო საქმეთა აღსრულებაში.

თუ ჩვენ ყველაზე და ყველაფერზე მაღლა საქვეყნო ინტერესებს დავაყენებთ, თუ საზოგადოება გამთლიანდება ამ მიმართვის სულით, თუ მას მხარს დაუჭერს საქართველოს ყოველი მოქალაქე – ყველა ეროვნების წარმომადგენელი, მოხუცი და ახალგაზრდა, ქალაქი და სოფელი, ერი და ბერი, მაშინ, დარწმუნებული ვარ, საქართველო ოცდამეერთე საუკუნეში ერთიან, ძლიერ, მდიდარ, მაღალზნეობრივ, სიყვარულზე და სიკეთეზე დამყარებული ჭეშმარიტად დემოკრატიული ქვეყანა იქნება.

ჩვენი ქვეყნის წარსული და მომავალი, ჩვენი დიდი წინაპრების აჩრდილები, ჩვენი ხალხის საუკუნოვანი მისწრაფებანი, მიზნები და იმედები სწორედ ამისკენ მოგვიწოდებს.

ედუარდ შევარდნაძე.

სასამართლო

გაიცინებს კი „არ ვიცის“ დედა?

ზოგიერთს ეგონა, – განახლდება უზენაეს სასამართლოში ჯაბა იოსელიანისა და სხვათა პროცესი და ატყდება ალიაქოთი, – ეს ესაო, ეს – ისაო, ჩვენ რა შუაში ვართ, აგერ, პრეზიდენტის მტრებიც და ამფეთქებლებიც სხვები არიანო...

მსგავსი არაფერი მომხდარა. პირიქით, როდესაც მოსამართლე ჯემალ ლეონიძემ თქვა, – სასამართლო პროცესი ერთი კვირით გადაიდო 9 თებერვლის ტერორისტული აქტის გამო, რომელმაც მთელი საზოგადოებრიობა აღაშფოთაო, – თავად განსასჯელებმაც ხმამაღლა განაცხადეს: ამ ტერაქტმა ჩვენც აღგვაშფოთაო.

იხ. მე - 8 გვ.

უკანასკნელ საათს

ვარშავა. აქ იპოვეს იმ შვეულმფრენ „მი-2“-ის ნამსხვრევები და რამდენიმე დაღუპული მგზავრის გვამი, რომლითაც კალინინგრადელი ბიზნესმენები მიემგზავრებოდნენ პოლონეთში. „მი-2“ აფრენიდან 15 წუთის შემდეგ ჩავარდა ზღვაში, ნაპირიდან 500 მეტრზე. აფეთქების შედეგად დაიღუპა ათამდე მგზავრი და ეკიპაჟის წევრი, გადარჩენილია ერთი ქალი.

მოსკოვი. გუშინ, რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი შეხვდა მთავრობისა და ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებს. მათთან საუბრისას სახელმწიფოს მეთაურმა, კერძოდ, განაცხადა: „რაც შეეხება თბილისის 9 თებერვლის ტერაქტს, ეს საქართველოს საქმეა. მე დავუკავშირდი ედუარდ შევარდნაძეს, ჩვენ შევთანხმდით, რომ საქმეს მათი საგამოძიებო ორგანოები გაუძღვებიან, ხოლო თუ დასჭირდათ რაიმე დახმარება, ვთქვათ, პროკურატურის ან უშიშროების ორგანოებისაგან, ჩვენ მათ მხარში ამოვუდგებით.“

პრეზიდენტის სამუშაო დღე

გაიმართა იუსტიციის საბჭოს სხდომა

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ კანონპროექტი განიხილა იუსტიციის საბჭოს მორიგმა სხდომამ, რომელიც 16 თებერვალს გაიმართა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა განაპირობა ქვეყანაში მიმდინარე სასამართლო რეფორმის პირველი სტადიის – მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდების ვადის გადატანამ, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია საერთო სასამართლოებში კანონით გათვალისწინებული წესით მოსამართლეთა დანიშვნის ვადის გადაწევის აუცილებლობა. კანონპროექტი მოსამართლეთა დანიშვნის ვადად, ნაცვლად 1998 წლის 1 მაისისა, ითვალისწინებს 1998 წლის 1 აგვისტოს. მართლმსაჯულების წყვეტილობის თავიდან აცილების მიზნით, გადაიწევს უზენაესი სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადის შეწყვეტის დროც და იგი 1998 წლის 1 ივლისით, ანუ იმ დროით განისაზღვრება, როდესაც ამოქმედდება საოლქო სასამართლოები.

კანონპროექტი ითვალისწინებს რეფორმის სრულფასოვანი განხორციელებისათვის აუცილებელ სხვა ღონისძიებებსაც და მისი მიღება სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას არ საჭიროებს.

სხდომაზე იმსჯელეს, აგრეთვე, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების თაობაზე.

იუსტიციის საბჭოს მიერ შემუშავებული კანონპროექტი უახლოეს დღეებში განსახილველად გადაეცემა საქართველოს პარლამენტს.

საქართველოს პრეზიდენტის
პრესსამსახური — საქინფორმი.

9 თებერვალი — გლობალურ ჭრილში

„ნურავინ დაიჯერებს, რომ დესტაბილიზაცია ამიერკავკასიაში ევროპას არ შეეხება“

მსოფლიო დიპლომატიის გამოჩენილი მოღვაწის, გერმანიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ჰანს დიტრიხ გენშერის სათაურად გამოტანილი ეს დასკვნა გლობალური მასშტაბით 9 თებერვლის ტერორისტული აქტის ანალიზიდან გამომდინარეობს.

ტერორიზმის რეალობა ევროპაშიც და ამერიკაშიც იმ ვითარებას ეფუძნება, რომელიც მსოფლიოში ჩამოყალიბდა.

ამაზეა საუბარი გენშერის წერილში „სოლიდარობენ შევარდნაძეს“.

იგივე მკვეთრი აქცენტებია სენატორ სემ ბრაუნბეკის განცხადებაში, რომელიც მან აშშ სენატში გააკეთა და რომელსაც გენშერის წერილთან ერთად დღევანდელი ნომრის პირველ-მეორე გვერდებზე გთავაზობთ.

სოლიდარობენ შევარდნაძეს

კანცლერმა კოლმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა კინკელმა და გერმანიის პრეზიდენტმა ჰერცოგმა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს მასზე განხორციელებული თავდასხმის შემდეგ სოლიდარობა გამოუცხადეს. პრეზიდენტმა ელცინმა დაგმო ლაჩრული ძალადობა და პოლიტიკური და მორალური დახმარება შესთავაზა მას. აშშ დახმარებას უწევს უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით. საგარეო საქმეთა მინისტრმა თავდასხმის შედეგად დაზიანებული დაჯავშნული მანქანა, რომელმაც სიცოცხლე გადაურჩინა შევარდნაძეს, ახლით შეცვალა. ეს ყველაფერი ხდება კანონზომიერად. ედუარდ შევარდნაძე წარმოადგენს ერთ-ერთს ახალი ევროპის გზის გამკვალავთა შორის. მორსმჭვრეტელობით, სიმამაცით და შეუპოვრობით მან გადამწყვეტი წვლილი შეიტანა გერ-

იხ. მე - 2 გვ.

აშშ სენატის სხდომაზე სენატორ სემ ბრაუნბეკის მიერ გაკეთებული განცხადება პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეზე განხორციელებულ თავდასხმასთან დაკავშირებით

წუხელ ადგილი ჰქონდა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიცოცხლის ხელყოფის მცდელობას, რომლის მონაწილეთა ვინაობა ახლა დგინდება. ამ თავდასხმას პრეზიდენტი შევარდნაძე უვნებელი გადაურჩა. სამწუხაროდ, მისი პირადი დაცვის რამდენიმე თანამშრომელი მოკლულია, ბევრი მათგანი — დაჭრილი.

საქართველო ახალი ევრაზიის ერთ-ერთი საკვანძო ელემენტია. ის საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოშობილ სახელმწიფოთაგან ყველაზე დემოკრა-

იხ. მე - 2 გვ.



ინფორმაცია

სმკ მთავარი საბჭოს გაფართოებული სხდომა

15 თებერვალს სახელმწიფო კანცელარიაში გაიმართა საქართველოს მოქალაქეთა კავშირის მთავარი საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელსაც კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე უძღვებოდა. განიხილეს პრეზიდენტზე თავდასხმის გამო შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია და პარტიის ყრილობისათვის მზადების საკითხები.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის მესამე ყრილობა 22 თებერვალს გაიმართება ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

დაამტკიცეს პლენარული სხდომის დღის წესრიგი

გაიმართა საქართველოს პარლამენტის ბიუროს სხდომა, რომელმაც დაამტკიცა მომავალი 17-20 თებერვლის პლენარული სხდომის დღის წესრიგი.

პლენარული სხდომის დღის წესრიგით ნავარაუდევია 28 საკითხის განხილვა, დაგეგმილია სამთავრობო საათი.

ბიუროს გადაწყვეტილებით საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეიქმნება საბიუჯეტო ოფისი, რომლის ხელმძღვანელად რომან გოცირიძე დანიშნეს.

9 თებერვალს ქვეყნის პრეზიდენტზე თავდასხმასთან დაკავშირებით პარლამენტი მნიშვნელოვან ცვლილებებს შეიტანს სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში. გამოითქვა წინადადებები, რომ საჭიროა გამკაცრდეს ზომები საკანონმდებლო დონეზე, აგრეთვე, ანტისახელმწიფოებრივ პროპაგანდასთან დაკავშირებით, რასაც აუცილებლად მოჰყვება ზოგიერთი ორგანიზაციის საქმიანობის აკრძალვა.

მომხდარ ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ კმაყოფილება გამოთქვა უშიშროების სამსახურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობის გამო, რომელთა ენერგიული მოქმედების შედეგად დანაშაული პრაქტიკულად გახსნილია: დაკავებული არიან როგორც უშუალო შემსრულებლები, ასევე, ხელშემწყობი პირებიც. მან იმედი გამოთქვა, რომ აუცილებლად გამოვლინდება დამკვეთის ვინაობა, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ეს ტერორისტული აქტი ჩვენი სახელმწიფოს გამოწვევაა, მაგრამ ერთი რამ ყველამ უნდა იცოდეს: ეს ზეგავლენის ფაქტორი არანაირად არ იმოქმედებს ჩვენს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, განაცხადა ზურაბ ჟვანიამ. საკითხის განხილვა დახურულ კარს მიღმა გაგრძელდა.

დაკავებულია 5 ზვიადისტი

როგორც ბეა-ს კორესპონდენტს საქართველოს ძალოვან სტრუქტურებთან დაახლოებულმა კომპეტენტურმა წყარომ აცნობა, 9 თებერვალს პრეზიდენტზე განხორციელებულ თავდასხმასთან დაკავშირებით დაკავებულია 5 ეჭვმიტანილი. იმავე წყაროს ცნობით, დაკავებულნი ექსპრეზიდენტის ზუგდიდელი მომხრეები არიან. გამოძიება ჯერჯერობით არ ასახელებს მათ ვინაობას, სანამ ტერაქტის ყველა მონაწილე არ იქნება დაკავებული, ასეთი კი, როგორც ვარაუდობენ, 20-მდე კაცია.

კონსპირაციული ბინებიდან ამოღებულია დიდძალი საბრძოლო მასალა და 17 ავტომატი. ამოღებულია ვიდეოკამერა კასეტით, რომელზეც აღბეჭდილია პრეზიდენტზე თავდასხმა.

გამოძიება არ გამორიცხავს, რომ ტერაქტი რუსეთში იყო დაგეგმილი და რუსი ინსტრუქტორების მიერ მომზადდა.

გამოძიებას საკმაო მასალები გააჩნია

„გამოძიებას საკმაო ნივთმტკიცებები გააჩნია უმოკლეს ვადებში ტერორისტული აქტის გახსნისათვის“, – აცნობა ბეა-ს კორესპონდენტს საქართველოს ერთ-ერთი ძალოვანი სტრუქტურის მაღალჩინოსანმა წარმომადგენელმა. მისი ინორმაციით, ვარკეთილში აღმოაჩინეს სამარშრუტო ტაქსი, რომელსაც ტერორისტებმა პოლიციის გაცურების მიზნით მიაკრეს ნომერი 234 და ამ მანქანით გადაჰქონდათ მათთვის აუცილებელი იარაღი.

ეჭვმიტანილები ექიმის თანდასწრებით დაიკითხნენ

საქართველოს გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ რევაზ ყიფიანმა ბეა-ს კორესპონდენტს აცნობა, რომ 9 თებერვალს ტერაქტის განხორციელებაში ეჭვმიტანილი პირები ექიმის თანდასწრებით დაიკითხნენ, რათა შემდეგ არავინ თქვას, რომ მათზე გამოძიების პროცესში ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედება ხდებოდა.

ყიფიანმა აგრეთვე დაამატა, რომ „გაჟონა ინფორმაციამ, რამაც ხელი შეუშალა გამოძიებას“.

მოსკოვში კახა თარგამაძეს დახმარებას დაპირდნენ

საქართველოს პრეზიდენტის პრესმდივანმა ვახტანგ აბაშიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ედუარდ შევარდნაძისა და ბორის ელცინის სატელეფონო საუბრის დროს მიღწეულია მორიგება 9 თებერვალს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტის გახსნაში სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლობის შესახებ. ამ მორიგების თანახმად, ედუარდ შევარდნაძის სპეციალური დავალებით მოსკოვს გაემგზავრა შინაგან საქმეთა მინისტრი კახა თარგამაძე. იგი შეხვდა რუსეთის ფედერაციის ვიცე-პრემიერს, შინაგან საქმეთა მინისტრს კულიკოვს და უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორს კოვალიოვს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა რუს კოლეგებს გადასცა ტერორისტული აქტის გამოძიების გარკვეული მასალები, აგრეთვე, დოკუმენტები იმ პირთა მიმართ, რომლებიც რუსეთის ტერიტორიას აფარებენ თავს, და, რომლებსაც საქართველოს პროკურატურა ეძებს.

როგორც პრესმდივანმა განაცხადა, მის ხელთ არსებული ინფორმაციით, კახა თარგამაძეს დახმარებას დაპირდნენ. ვახტანგ აბაშიძის თქმით, საქართველოს ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ ეს კონტაქტები კონკრეტულ შედეგს მოიტანს.

ბიუჯეტს შეემატება

„იბერიის“ კორესპონდენტს საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან აცნობეს, რომ საგადასახადო ინსპექციის ოპერატიული მონაცემებით თებერვლის დასაწყისიდან ბიუჯეტში აკრეფილია 6,2 მილიონი ლარი, რაც 2,2 მილიონი ლარით აღემატება იანვრის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს. თებერვლის შემოსავლების გათვალისწინებით, საგადასახადო ინსპექციის მიერ წლის დასაწყისიდან სულ აკრეფილია 22 500 000 ლარი, რაც 1.100.000 ლარით აღემატება შარშანდელ მაჩვენებელს.

საბაჟო დეპარტამენტის ოპერატიული მონაცემებით კი თებერვლის პირველ ნახევარში სახელმწიფო ბიუჯეტში გადაირიცხა 4.100.000 ლარი.

მობილიზებულ საბიუჯეტო შემოსავლებში საბაჟო გადასახადის სახით ამოღებულია 1.200.000 ლარი.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, „იბერიამ“, „ბეამ“.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1998 წლის 15 თებერვალი ქ. თბილისი

ო. ლითანიშვილის III ხარისხის
ვახტანგ გორგასლის
ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი თავდადების, მნიშვნელოვანი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის და თბილისის ქალაქმშენებლობის საქმეში შეტანილი პირადი წვლილისათვის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახალხო მხატვარი **ოთარ ლითანიშვილი** დაჯილდოვდეს III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1998 წლის 6 თებერვალი ქ. თბილისი

ხ. არჩემაშვილის ღირსების მედლით
დაჯილდოების შესახებ

ჟურნალისტურ საქმიანობაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ნოდარ დუმბაძის სახელობის თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე **ხვთისავარ არჩემაშვილი** დაჯილდოვდეს ღირსების მედლით.

ე. შევარდნაძე.

პარლამენტი

იტალიაში საქართველოს ელჩი შეიცვლება

ქვეყნის პრეზიდენტმა პარლამენტს მიმართა თხოვნით მიიღოს თანხმობა იტალიის რესპუბლიკაში საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობიდან ბეგლარ-დავით თავართქილაძის განთავისუფლების თაობაზე, რომლის პიროვნებასთან დაკავშირებით ამ ბოლო დროს მრავალი არაერთგვაროვანი მოსაზრება გამოითქვა საქართველოს პარლამენტში.

იტალიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტს სთავაზობს პროფესორ რუსუდან ლორთქიფანიძის კანდიდატურას.

აღნიშნულ საკითხს პარლამენტი მიმდინარე კვირის პლენარულ სხდომაზე განიხილავს.

საქინფორმი.

მოხელე

თენგიზ აბულაძე - ქვეყნის მთავარი მებაჟე

ბრძენია ხალხი: კარგი მეწისქვილის სულიც კი ჯოჯოხეთშია და ავისა სად იქნებაო.

უწყინარი პროფესიის ადამიანზეა ნათქვამი, მაინც რომ იპარავს ცოტ-ცოტას, მისი სამუშაოს სპეციფიკა თავისთავად გულისხმობს ამას. არსებობს ასეთი „აუცილებელი ნეგატივი“ ბუნებაში.

ცოდვილი ყოფილა მეწისქვილე. ახლა – მებაჟე... ბიბლიიდანაც გახსოვთ... მაგრამ ეს წერილი იმ კაცზე არის, რომელიც ასეთი პარალელის კატეგორიული წინააღმდეგია – სიტყვით და საქმით.

მოხელე – საქმეში. შეიძლება ეს დატვირთვაც აქვს ამ წერილს. სწორედ – საქმეში, და არა პრობლემების დაყენებით გართული, მით უფრო, – პოლიტიზებული სიტყვაუხვობით.

თენგიზ აბულაძე ძალიან ძნელ საქმეს არის შეჭიდებული – საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარეა:

ვნახოთ, როგორ ხელმძღვანელობს.

შარშან ამ სისტემიდან ბიუჯეტში გადაირიცხა 186 მილიონ ლარზე მეტი, რაც 2,5-ჯერ აღემატება წინა წლის დონეს. საბიუჯეტო პროგრამა 107-ზე მეტი პროცენტით შესრულდა. ასეთია შედეგი მთავარი მებაჟის მოღვაწეობისა.

და აქვე შეიძლებოდა წერტილის დასმა. მაგრამ მაშინ პასუხგაუცემელი დაგვრჩებოდა ბევრი კითხვა, მათ შორის, მთავარი –, როგორ? როგორ მიაღწია ამ შედეგს?

პასუხის გაცემას თენგიზ აბულაძე დაიწყებს საქართველოს პრეზიდენტის არაორდინალური გადაწყვეტილებების მოხმობით ზოგიერთი სახეობის ტვირთის (თუ საქონლის) დაბეგვრის რეჟიმებთან დაკავშირებით, რომელთა რეალიზაციამ საბოლოო ჯამში 50 მილიონ ლარზე მეტი შემატა ქვეყნის სალაროს.

ეს ერთი მხარე.

იხ. მე - 3 გვ.

დავა

რა ხდება აგარაში?!

აგარაში რა მოგახსენოთ, მაგრამ იქაურ შაქრის კომბინატში რომ ამბები ტრიალებს, ღმერთმა ყველას აცილოს.

აი, უკვე 17 თვეა სასამართლო ცდილობს საწარმოში ატეხილი დავა გადაწყვიტოს, მაგრამ ამაოდ – დღემდე ვერც რამე გადაწყვიტა და ვერც მტყუან-მართალი გაარკვია.

ამ დავა-დავაში კომბინატმა იბარბაცა, იბარბაცა და ბოლოს სულაც წაიქცა... ასეულობით აგარელმა დაკარგა სანუკვარი სამუშაო, ბაზარმა – ქართული შაქარი, ხოლო სახელმწიფომ – მილიონობით თანხები.

უფრო დაწვრილებით ოთარ ხუციშვილის წერილში

„ქატო – აქა, ფქვილი – იქა...“

იხ. მე - 4 გვ.

გამოიწერეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

„საქართველოს რესპუბლიკა“ ყოველდღიურად გამოდის და ერთი თვით ღირს 11,25 ლარი — დედაქალაქში, 13,65 ლარი — ქალაქგარეთ; სამი თვით — 33,75 ლარი დედაქალაქში, 40,95 ლარი ქალაქგარეთ; ექვსი თვით — 67,5 ლარი დედაქალაქში, 81,90 ლარი ქალაქგარეთ (შპს „საქპრესის“ და ს/ს „მაცნეს“ მომსახურების ღირებულების ჩათვლით).

ვინც უშუალოდ გაზეთის გამომცემელ შპს „პრესასთან“ პირდაპირი ხელშეკრულებით მოისურვებს „საქართველოს რესპუბლიკის“ გამოწერას, მას ბევრად იაფი დაუჯდება — ერთი თვით 9 ლარი დედაქალაქში, 10,5 ლარი ქალაქგარეთ; სამი თვით 27 ლარი დედაქალაქში, 31,5 ლარი ქალაქგარეთ; ექვსი თვით 54 ლარი დედაქალაქში, 63 ლარი ქალაქგარეთ. დაგვიკავშირდით: კოსტავას ქ. №14, ტელ: 93-26-99.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ „საქართველოს რესპუბლიკა“!

№39. სამშაბათი, 17 თებერვალი. 1998 წელი.

„სიყვარული უნდა მეფობდეს საქართველოში — ეს ქვეყანა ხომ სიყვარულისთვის, შრომისთვის, შემოქმედებისთვის, სიმღერისთვის, სილამაზისთვის არის შექმნილი“

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

— ჩემი პასუხი შეიძლება ცოტა ზოგადი იყოს, მერე შევეცდები დავაკონკრეტო. უპირველესად მინდა შევნიშნო, რომ რაღაც საზარელი დამთხვევის შედეგად, ციფრი 9, რომელსაც ქართულ ცნობიერებაში, ქართულ ტრადიციაში მხოლოდ ნათელი, საკრალური მნიშვნელობა აქვს, — ბოლო ათწლეულების განმავლობაში, სამწუხაროდ, ახალ შინაარსს იძენს... 9 მარტი, 9 აპრილი, 9 თებერვალი, — ალბათ, ესეც გარკვეული ნიშანია, ესეც განგების, ასე ვთქვათ, ნებაა და მინიშნება იმისა, რომ რაღაც ძალა, კეთილშობილი, საქართველოს მფარველი ძალა ებრძვის ხოლმე მომხდურ ბოროტებას ამ დღეს და ჩვენც მოგვიწოდებს, უფრო მეტად მივაპყროთ თვალი ისტორიას, ჩვენს ტრადიციებს, მამა-პაპათა გამოცდილებას, ავსა და კარგს, რაც დამახასიათებელი იყო ჩვენი ცხოვრებისათვის, უფრო სწორად, ჩვენი ისტორიისათვის.

იმას, რაც 9 თებერვალს მოხდა, მე მოკლედ ასე დავახასიათებდი: ეს არის ბრძოლა ძველსა და ახალს შორის. ეს არის „მარად გუშინდელთა“ (მოგეხსენებათ, არსებობს ასეთი ტერმინი ევროპულ ლიტერატურაში) ბრძოლა იმ ძალებთან, რომლებიც ხვალინდელი საქართველოსთვის, ახალი საქართველოსათვის იღვწიან.

იცით, მე ამ ძალებში, პროგრესულ ძალებში, მხოლოდ პრეზიდენტის პარტიას, ჩემს მხარდამჭერებს როდი ვგულისხმობ, — ვგულისხმობ კონსტრუქციულ ოპოზიციასაც — განურჩევლად მემარცხენეებსა და მემარჯვენეებს, თუნდაც ძალიან მწვავედ და ზოგჯერ მწარედაც რომ აკრიტიკებენ პრეზიდენტს, რა თქმა უნდა, მმართველ პარტიას, მაგრამ ის, რასაც 9 თებერვალს შევეჯახეთ, რამაც ქვეყნის სტაბილურობა ეჭვქვეშ დააყენა და ორი ანგელოზივით ჭაბუკის სიცოცხლე წაგლიჯა საქართველოს, — ეს სულ სხვა ძალაა, სულ სხვა მოვლენაა, რომლის სიბნელეს და დაუნდობლობას ყოველთვის როდი ვაცნობიერებთ. შეიძლება მეც ვერ ვაცნობიერებდე ზოგჯერ, ვინაიდან, მომიტევეთ, არსებობს ისეთი რამ, რაც ნორმალური ადამიანისათვის აბსოლუტურად გაუგებარი და დაუჯერებელია.

მე, თუ გახსოვთ, დიდ დარბაზში ჩვენს აქტივთან შეხვედრის დროს ვილაპარაკე იმ საფრთხეზე, რომელიც დაკავშირებულია ბოლშევიზმთან, ესე იგი, მემარცხენე საფრთხესთან, უფრო სწორად, რადიკალიზმის საფრთხესთან საქართველოში, და ყველა ქვეყანაში რადიკალიზმი საშიში მოვლენაა. მაგრამ მე ვთქვი ისიც, რომ არა მარტო მარცხნიდან შეიძლება იყოს რადიკალიზმი, მემარცხენე მოძრაობა, არამედ მემარჯვენე რადიკალიზმი, და ის, რომ ამ ტერორისტულ თუ სამხედრო ოპერაციაში ისევ და ისევ ეგრეთ წოდებული ზვიადისტების რომელიღაც ფრთამ გაიელვა და გამოჩნდნენ ისინი, იმაზე მიუთითებს, რომ სწორედ ეს რადიკალიზმია, რომელმაც ამდენი ტკივილი, ამდენი უბედურება მოუტანა საქართველოს, და კიდევ და კიდევ ეს საფრთხე რჩება.

XX საუკუნეს ზოგჯერ „ტერორის საუკუნეს“ უწოდებენ. სამწუხაროდ, ასეთი ბარბაროსული აქციები ბევრ ქვეყანაში განხორციელებულა და ამჯერადაც ხდება. განსაკუთრებით რეფორმების ეპოქაში, როდესაც იცვლება და ირყევა ის ძველი, ძირმომპალი საფუძველი, რომელსაც ეყრდნობოდა სახელმწიფო, საზოგადოება თუ საზოგადოებრივი ცნობიერება.

მახსენდება საფრანგეთის დიდი პრეზიდენტი, დიდი რეფორმატორი შარლ დე გოლი, რომლის წინააღმდეგ რამდენჯერმე განხორციელდა ტერორისტული აქტი.

ერთი მათგანი (ერთ-ერთი ასეთი დივერსიული აქცია) გაჭრილი ვაშლივით ჰგავს იმას, რაც თბილისში მოხდა 9 თებერვალს, — ტერორისტები პარიზის ცენტრში თავს დაესხნენ პრეზიდენტის ესკორტს. საბედნიეროდ, მაშინ დე გოლი გადარჩა, თორემ არავინ უწყის (ამას თვით ფრანგები აღიარებენ), როგორ განვითარდებოდა მოვლენები ამ ქვეყანაში. ჩვენს თვალწინვე ტერორისტმა სიცოცხლეს გამოასალმა ისრაელის დიდი შვილი, თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის დიდი მებრძოლი და მეომარი იცხაკ რაბინი. კიდევ უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბობოქრობს აღშფოთების საკაცობრიო ტალღა, მაინც ვერ ხერხდება ამგვარი საზარელი ექსცესების გამორიცხვა. მით უმეტეს, შეუძლებელი იქნებოდა ეს ჩვენს პირობებში, რადგან სულ ახლახან გამოვედით სრული ქაოსისა და ნგრევის ფაზიდან და უმალვე დავადექით გზას, რომელიც, სამწუხაროდ და სავალალოდ, მიუღებელი გზაა ქართული საზოგადოების ძველი (ასე ვთქვათ) კომპლექსებით დაავადებული საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილისათვის. რა თქმა უნდა, იგი არ არის უმრავლესობა, შეიძლება იყოს 5-10 პროცენტის ფარგლებში, მაგრამ ეს ფენა განსაკუთრებით აგრესიულია, განსაკუთრებით აქტიურია, დაუნდობელია, განსაკუთრებით შეურიგებელია, ფანატიკური სიძულვილით არის შეპყრობილი და მასთან, როგორც იტყვიან, არაფერი ჭრის — არც მიტევება, არც პატიება, არც ამნისტია, არც შერიგებისათვის მოწოდება.

აქვე მინდა კიდევ ერთ ასპექტს გავუსვა ხაზი: ჩვენი რეგიონი — კავკასია უკვე მსოფლიო ყურადღების ცენტრში მოექცა, საქართველოს ლიდერთან, ისევე, როგორც სხვა კავკასიელ ლიდერებთან, ძალიან ბევრი რამაა დაკავშირებული. ჩვენ ერთობლივად ვქმნით კავკასიისა და საქართველოს ახალ ფუნქციას. რატომ მოუწყვეს შეთქმულება ჰეიდარ ალიევს და თანაც არაერთხელ? ესეც დამაფიქრებელია. აქ უამრავი ფაქტორია: ნავთობსადენები, გაზსადენები, სხვა სახეობის კომუნიკაციები, კავკასიურ სახელმწიფოთა თვალსაჩინო ეკონომიკური პოტენციალი და სხვა. ამდენად, ბუნებრივია, თუ აღმოვჩნდით როგორც ჩვენი მეგობრების, კეთილმოსურნეების, ასევე, ავისმზრახველთა ყურადღების ცენტრში.

მაგრამ, მიუხედავად სიტუაციის დრამატიზმისა, ისტორიულად ყოველთვის ასე ხდებოდა — ქვეყანა გამოდიოდა განსაცდელიდან კიდევ უფრო შეკრული, მობილიზებული, რწმენით აღვსილი. ასე იყო 29 აგვისტოს ტერორისტული აქტის შემდეგ. ეს თქვენ კარგად გახსოვთ, ამჯერადაც, დარწმუნებული ვარ, ასე იქნება. სამართლიანობა აუცილებლად იზეიმებს, ტერორისტები დაისჯებიან. დაისჯებიან კანონის შესაბამისად, კანონის მთელი სიმკაცრით.

მოგეხსენებათ, წინა ტერაქტის ზოგიერთი, ასე ვთქვათ, „გმირი“ უკვე ზის განსასჯელის სკამზე, იმათ გარდა, ვინც მეზობელმა ქვეყანამ შეიფარა. არც 9 თებერვლის საზარელი, სისხლიანი დანაშაულის ორგანიზატორებსა და დამნაშავეებს ასცდებათ სამართლიანი სასჯელი. ჩემი აზრით, სწორად მოვიქეცი, როდესაც არ ავყევი ემოციას (არა მხოლოდ და არა იმდენად ჩემს ემოციას ვგულისხმობ) და ნდობა გამოვუცხადე საქართველოს სამართალდამცავ ორგანოთა ხელმძღვანელებს — უშიშროების, შინაგან საქმეთა მინისტრებს, გენერალურ პროკურორს, დაზვერვას.

— რაც შეეხება სამართალდამცველებს, იმთავითვე ძალიან მძიმე იყო რეაქცია და დამოკიდებულება მათ მიმართ, ვგულისხმობ როგორც საზოგადოების, ისე, განსაკუთრებით, პარლამენტართა, დამოკიდებულებას. იყო გაღიზიანება იმის გამო, რომ ამ ფაქტის შესახებ ისინი არ იყვნენ ინფორმირებული, წინასწარ არავითარი ინფორმაცია არ გააჩნდათ და, ფაქტობრივად, ტერორისტული აქტის — სამხედრო ოპერაციის დროს თქვენი პირადი დაცვა მარტოდმარტო აღმოჩნდა ტერორისტთა წინააღმდეგ გარკვეული, დიდი პერიოდის განმავლობაში და მარტოდმარტომ მიიღო ეს დარტყმაც. რაც შეეხება ზოგადად იმის შესახებ საუბარს, რომ შეიძლებოდა ტერორისტული აქტი განხორციელებულიყო პრეზიდენტის წინააღმდეგ, ამ ბოლო ხანს კავკასიაში მიმდინარე პროცესებს თუ გადავხედავთ, ყველა ნორმალური ადამიანი შეიძლებოდა მისულიყო ამ ლოგიკურ დასკვნამდე. კონკრეტიზაცია არ მომხდარა. ასეთი იყო საზოგადოებისა და, ვიმეორებ, განსაკუთრებით, პარლამენტართა დამოკიდებულება.

— მე კარგად მესმის კოლეგების, რომლებიც აღშფოთებას ვერ მალავდნენ მთელი იმ ღამის განმავლობაში, შემდეგ მეორე დღეს გაგრძელდა ეს დებატები და საზოგადოების წევრთა უმრავლესობაშიც სწორედ ასეთი განწყობილება იყო: თუ პრეზიდენტია დაუცველი, მაშინ ქვეყანაც დაუცველია და მოქალაქეებს რისი იმედი უნდა ჰქონდეთო. მე, როცა ეს უწყებები ჩამოვთვალე, რა თქმა უნდა, დაცვასაც ვგულისხმობ. ეს დაცვა რომ არ ყოფილიყო, მაშინ ზედმეტი იქნებოდა ლაპარაკი სიცოცხლის შენარჩუნებასა და გადარჩენაზე. მაგრამ, ამავე დროს, ახლა უკვე შეიძლება ითქვას, რომ რამდენიმე დღის დაძაბული, უძილო ღამეების, ქედჩაუხრელი მუშაობის შედეგად, მათ შეძლეს 9 თებერვლის დანაშაულის ფაქტობრივი გახსნა. როგორც ზემოთ ვთქვი, რამდენიმე, ეგრეთ წოდებული „გმირი“ უკვე დაკავებულია, მათ შორის, მთავარი მოქმედი პირები. ამოღებულია ძალიან დიდი რაოდენობით იარაღი, დოკუმენტაცია, ნივთიერი მტკიცებულებანი და ა.შ. ალბათ, ძალიან სასურველია, ტელევიზიამ აჩვენოს ეს. თუ არ უჩვენებია (შეიძლება კიდევაც იყო ნაჩვენები), ყველაფერი უნდა ვაჩვენოთ, ხალხმა ყველაფერი უნდა იცოდეს.

დამნაშავეთა გვარებს, რა თქმა უნდა, ახლა არ ვასახელებ, ალბათ, ეს იმ ადამიანებმა უნდა გააკეთონ, ვისაც გამოძიება და ოპერატიული მუშაობა ევალება. მხოლოდ ერთს ვიტყვი უდიდესი გულისტკივილით: ეს ისევ ის ხალხია, ვინც ჩვენ არაერთხელ შევიწყალეთ; ვისაც არაერთგზის ვაპატიეთ, მაგრამ მაინც არ მოეშვნენ მუხთლობას, ვინც ზურგში დანა ჩაგვცა აფხაზეთის ომის დროს, ვინც უკვე რამდენიმე წელია იბრძვის ხელისუფლებაში მოსასვლელად და ამ მიზნით თვით ქვეყნის უბოროტეს მტერთან ალიანსსაც არ ერიდება — სხვისი ფულით, სხვისი იარაღით და სხვისი ჭკუით.

მათ ამჯერადაც განზრახული ჰქონდათ ქვეყანაში ქაოსის, არასტაბილურობის, ანგარიშსწორების ატმოსფეროს დამკვიდრება — სიძულვილის გამეფება საქართველოში. მე ჩემთვის გამოვთვალე, რა შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდებია და მე არა მაქვს უფლება ჩემი ფიქრები ახლა საჯაროდ გამოვაცხადო. იქნებ, მოვიდეს დრო და გაირკვეს — რა უნდა მომხდარიყო, რა უნდა ყოფილიყო, რისი იმედი ჰქონდათ და ვისი იმედი ჰქონდათ, ბოლოს და ბოლოს, თუკი პრეზიდენტი ამ ქვეყნიდან წავიდოდა. მაგრამ ყველა ორგულისა და ბოღმიანი ცვედანის გულის გასახეთქად — არც პრეზიდენტი შედრკა, არც პარლამენტი და არც ჩვენი ხალხი.

გულგატეხილობის არავითარი საფუძველი არ არსებობს. ქვეყნის წინსვლას ვერავინ და ვერაფერი შეაჩერებს. კიდევ უფრო დაჩქარდება რეფორმები, უფრო აქტიურად ვითანამშრომლებთ ყველა კონსტრუქციულ ძალასთან როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც. მთელი მსოფლიო, ყველა კეთილი ნების ადამიანი ჩვენთანაა. თქვენს შეკითხვაში ეს აზრი გამოსჭვიოდა. და ეს მართლაც ასეა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა ვუთხრა ყველას — სახელმწიფოთა მეთაურებს, პოლიტიკოსებს, უბრალოდ, კეთილ ადამიანებს — ვინც მხარდაჭერა გამოგვიცხადა, თუნდაც მხოლოდ სიტყვით, დეპეშით, მაგრამ რა შეიძლება იყოს კეთილ სიტყვაზე უფრო ძლიერი? საოცარია ეს — პოლიტიკოსი რომ პოლიტიკოსს უთანაგრძნობს, ეს გასაგებია, მაგრამ რა ამოძრავებს ათასობით ადამიანს, რომლებიც ამ სადღაც გადაკარგულ პატარა ქვეყანაში რა ხდება, ყველაფერს ყურადღებას აქცევს და, როგორც გითხარით, ათასობით დეპეშასა და წერილს გზავნის.

— სხვათა შორის, ჟურნალისტთა წერილებიც იყო. ალბათ, ზოგიერთი მათგანი მოდის თქვენთან ინტერვიუს ჩამოსართმევად, არის თქვენთან ნამყოფი და უშუალოდ შეგხვედრიათ. ამ ადამიანების საინტერესო ხელმოწერები იყო, პირდაპირ აწერდნენ სახელებს, განსაკუთრებით ამერიკელებისა: თქვენი მეგობარი... და მარტო სახელი.

— ბევრია ასეთი და თუ ახლა არ მოიცლით, ალბათ, ისტორიას გამოადგება ანალიზისათვის.

ჩვენ მართალი ვართ ღმერთის, ხალხისა და საკუთარი სინდისის წინაშე. აქვე ხაზგასმით აღვნიშნავ:

როგორც პრეზიდენტი, რაღაც უნდა დამიჯდეს, არ დავუშვებ ქვეყანაში იჭვნეულობის, „კუდიანებზე ნადირობის“, დევნის ატმოსფეროს დამკვიდრებას. არც ერთი უდანაშაულო არ უნდა დაისაჯოს მხოლოდ რწმენის, მხოლოდ პოლიტიკური პოზიციისათვის. აუცილებლად გაგრძელდება ეროვნული შერიგების პროცესი — ჩვენ ვურიგდებით და კვლავაც შევურიგდებით ყველას, ვისაც სურს შერიგება. სხვათა შორის, ეს ეხება აფხაზებსაც, ოსებსაც. თქვენ ამჩნევთ, რომ ამ ბოლო დროს გამოიკვეთა რაღაც გარკვეული ტენდენცია. მე ამ ტენდენციას და ყველა შერიგების მსურველს მივესალმები. სხვა რაღა ვთქვა? ცალმხრივად შერიგება?! შერიგება ორმხრივი მოძრაობა უნდა იყოს, ცალმხრივად შერიგება არ შეიძლება, ეს ორმხრივი პროცესია.

ერთხელ კიდევ მოვუწოდებ ყველას სიმშვიდის, თანადგომისა და სიყვარულისათვის, სიყვარული უნდა მეფობდეს საქართველოში — ეს ქვეყანა ხომ სიყვარულისთვის, შრომისთვის, შემოქმედებისთვის, სიმღერისთვის, სილამაზისთვის არის შექმნილი. შეუთავსებელია სიძულვილი, ზიზღი, ბოღმა საქართველოსთან. საქართველოში მხოლოდ სიყვარული და სიკეთე გაიმარჯვებს, დარწმუნებული ვარ, ვერ იზეიმებს ბოროტება ჩვენს ქვეყანაში, რადგან იმდენი წლები და იმდენი უბედურება გადავიტანეთ, რომ, ვფიქრობ, ყველა თაობამ გამოიტანა დასკვნები და ამ მადლიან მიწაზე ბოროტებას გაცილებით ნაკლები ძალა აქვს, ვიდრე სიკეთეს, მით უმეტეს ახლა.

ჩვენი პარტნიორების, თანამემამულეებისა და უცხოელი ინვესტორების საყურადღებოდ მინდა განვაცხადო: 9 თებერვლის შემდეგ საქართველო კიდევ უფრო სტაბილური, მდგრადი, საიმედო ქვეყანაა. წინასწარი გამოკვლევები ადასტურებს, რომ დღეს პრეზიდენტის კურსს მოსახლეობის 88 პროცენტზე მეტი უჭერს მხარს. ეს არის ჩვენი სტაბილურობის, საიმედო პარტნიორობის გარანტია, მინდა ეს ყველა პარტნიორმა იცოდეს.

ნავთობსადენების, გაზსადენების, ტვირთზიდვის, მგზავრთა და ტურისტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფების გადაყვანის საკითხს, დაწყებულ საქმეს და შედგენილ პროექტებს ველარაფერი შეაჩერებს, ველარაფერი შეაფერხებს. ჩვენ მზად ვართ ვითანამშრომლოთ ყველა ქვეყანასთან, ყველა კომპანიასთან და უსაფრთხოების გარანტიებიც მივცეთ ყველას მთელი ხალხისა და სახელმწიფოს სახელით. დარწმუნებული ვარ, ასეთ მიდგომაში აფხაზებიც და ოსებიც ჩვენთან არიან, რადგანაც ეს ყველაფერი მათს ინტერესებსაც შეესაბამება. რაც შეეხება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას (მე ამ თემას ძალიან მოკლედ გამოვყოფდი), ჩვენ კვლავ პრინციპულ პოზიციას ვადგავართ და კელავაც დაერჩებით. ჩვენს, დიდ მეზობელს საჯაროდ ვეუბნებით: ვითანამშრომლოთ, ვიმეზობლოთ, აღვადგინოთ უკეთესი ტრადიციები, რაიც ჩვენი ხალხებისათვის საუკუნეთა განმავლობაში იყო დამახასიათებელი, უკუვაგდოთ ძველი და დრომოჭმული უსამართლო, ათწლეულებმა რომ დაგვიტოვეს. ჩვენ შეგვიძლია მეგობრობა, მაგრამ მეგობრობა თანასწორთან ურთიერთობაა. მხოლოდ ამ საფუძველზე იქნება გათვალისწინებული თქვენი ინტერესები კავკასიაშიც და, ალბათ, სხვა რეგიონებშიც. დარწმუნებული ვარ, სხვა ლიდერებიც ასე იტყვიან. ადამიანები, რომლებიც სხვა ქვეყნების არასტაბილურობას ესწრაფვიან, თავშესაფარს თქვენთან ვერ უნდა პოულობდნენ.

ამ თემაზე მე მეტად აღარ შევჩერდები.

— მიუხედავად იმისა, რაც 9 თებერვალს მოხდა, მეორე დღიდანვე, ფაქტობრივად, ქვეყანამ, მისმა უმაღლესმა ხელისუფლებამ ნორმალურად განაგრძო ფუნქციონირება. გასულ კვირას გაიმართა საინვესტიციო საბჭოს სხდომა, ვგულისხმობ შეხვედრებს, მოლაპარაკებას...

— საინვესტიციო საბჭოს სხდომაზე, რომელიც ჩემი თავმჯდომარეობით გაიმართა, კიდევ ერთხელ დადასტურდა, თუ რაოდენ დიდი პერსპექტივა ისახება საქართველოს წინაშე. ჩვენ ორი-სამი წლის წინათ თითოოროლა პროექტზე თუ შეგვეძლო ლაპარაკი. დღეს უკვე სულ სხვა ხარისხი და დონეა.

რა თქმა უნდა, არცთუ შემთხვევითი იყო სწორედ ამ დღეებში ნავთობის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიის პრეზიდენტის დევიდ პრიჩარდის სტუმრობა საქართველოში. ეს გარკვეულ დემონსტრაციადაც კი შეიძლება აღვიქვათ. თავის მხრივ, საქართველო მზად არის, როგორც ზემოთ აღვნიშნე, კვლავაც ითანამშრომლოს კომპანიასთან კასპიის ნავთობის ტრანსპორტირების საკითხებში. ბოლოდროინდელ მოვლენათა მიუხედავად, თანამშრომლობის განვითარება არ შეფერხდება და დიდი ნავთობის „დასავლეთის“ მარშრუტი კვლავაც ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად დარჩება (მე ამაში დარწმუნებული ვარ), რასაც სხვა უპირატესობებთან ერთად სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის უზარმაზარი გასაღების ბაზარიც განაპირობებს. მე მხედველობაში მაქვს, ასევე, თურქეთის უზარმაზარი ბაზარი და, ალბათ, დაუშვებელი უსამართლობა იქნებოდა, რომ თურქეთის ბაზარი არ იყოს გათვალისწინებული.

რაც შეეხება საკუთრივ საინვესტიციო პროექტებს, ამჟამად რამდენიმე ასეთი პროექტი უკვე გამოვიდა განხილვის სტადიიდან. იწყება მათი რეალური განხორციელება, მხოლოდ იაპონური გრანტებით შექმნილი მცირე საწარმოები 8 ათასამდე კაცს დაასაქმებენ საქართველოს დედაქალაქსა და ქვეყნის ყველა მხარეში.

სასურსათო უზრუნველყოფის სტრუქტურული პროგრამა, რომელსაც ევროკომისია აფინანსებს, ოთხწლიანი პერიოდისათვის იყო გამიზნული და საერთო ანგარიშით 60 მილიონი ეკიუს ინვესტირებას ითვალისწინებს. სამწუხაროდ, ნაწილი ხელფასებსა და პენსიებზე დაიხარჯა იმის გამო, რომ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი არ შესრულდა. ეს პროექტი უკვე ხორციელდება. და არის კონკრეტული რაიონები, სოფლები, სადაც უკვე ფაქტობრივი შედეგებია მიღწეული. კვლავინდებურად აქტუალურია დედაქალაქში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციისა და სხვა მუნიციპალური პროგრამები, ძალიან სერიოზული ინვესტიციებია ენერგეტიკის სფეროში, რომელთაც მსოფლიო ბანკი აფინანსებს. აქვე განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მსოფლიო ბანკის „კულტურული მემკვიდრეობისა და ინოვაციის შესახებ“ პროექტის მნიშვნელობა. ჩვენ ეს გუშინ ძალიან დეტალურად განვიხილეთ. შეიძლება ითქვას, ეს უპრეცედენტო აქციაა მსოფლიო ბანკის მხრივ. იგი სწორედ საქართველოსათვის, ქართული კულტურის დასახმარებლად განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ საქმეში იმთავითვე ჩაერთო ევროპის საბჭო, რაც ფინანსურ დახმარებასთან ერთად ჩვენთვის პოლიტიკურ მხარდაჭერასაც ნიშნავს. გუშინ ამ სხდომაზე ვთქვი, რომ აქ არა მარტო ძეგლების გადარჩენაზე, არამედ კულტურის სხვა მიმართულებათა, ვთქვათ, ისეთ უნიკალურ მიმართულებათა გადარჩენაზეა ლაპარაკი, რომელთაც მხარდაჭერა და დახმარება სჭირდება. მაგრამ, ამავე დროს ლაპარაკია პროფესიათა გადარჩენაზე. ეს გახლავთ ცნობილი რესტავრატორების სკოლა (რომელიც ჩემს დროს, ძველ დროში შეიქმნა), სადაც მოვამზადეთ უმაღლესი რანგის, უმაღლესი პროფესიის რესტავრატორები, არქიტექტორები, დამპროექტებლები, სხვები და სხვები. გაჩნდა წყარო, რომ ამ ხალხმა იმუშაოს და ხელფასი მიიღოს.

ყველა ეს პროექტი, შეთანხმება იმდენად არის რადიომსმენელისათვის, ჩვენი საზოგადოებისათვის საინტერესო, რამდენადაც უდავოდ გულისხმობს და განაპირობებს ქვეყნის სახელმწიფოებრივი სტაბილურობისათვის საჭირო საფუძვლის შექმნას. აქ წვრილმანი საკითხი არ არსებობს. ყველაფერი მნიშვნელოვანია — დაწყებული მცირე საწარმოთი, სადაც თუნდაც სამი-ოთხი ადამიანი მუშაობს და გრანდიოზული ნავთობსადენით დამთავრებული. ერთობლიობაში კი გრძელდება პროცესი, რომელმაც საქართველოს სახელმწიფოებრიობა და დამოუკიდებლობა უნდა განამტკიცოს. რაც უნდა ეცადოს მავანი, ამ პროცესს ვერ შეაფერხებს. მეზობელ ქვეყანაში მოარულ გამოთქმას მოვიშველიებ — ისე ვერ იხილავს დესტაბილიზაციას საქართველოში, როგორც საკუთარ ყურებს. ქართული რეფორმაცია გაგრძელდება და წარმატებით დაგვირგვინდება.

და ბოლოს, მინდა გულისტკივილი და შეშფოთება გამოვთქვა სტიქიური მოვლენების გამო, რომელთა შედეგად დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ფოთში რამდენიმე ადამიანი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, მწყობრიდან გამოვიდა ელექტროგადამცემი ხაზები.

რას ვიზამთ, ეს სტიქიაა და მის წინაშე ხშირად უძლურნი ვართ, თუმცა ყველაფერს ვიღონებთ დაზარალებულთა დასახმარებლად და გადასარჩენად.

საქინფორმი.

მოსკოვში ქართული ღვინის პრეზენტაცია გაიმართება

„იბერიის“ კორესპონდენტს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროდან აცნობეს, რომ რუსეთში საქართველოს საელჩოსთან ერთად 19 თებერვალს მოსკოვში გაიმართება ქართული ღვინის პრეზენტაცია, რომელზეც მოწვეულნი იქნებიან რუსეთში აკრედიტებული საელჩოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე, დაინტერესებული ოფიციალური და კომერციული წრეების წარმომადგენლები. აღნიშნული ღონისძიება გაიმართება საქართველოს ღვინის მრეწველობის დარგში წარმოებული პროდუქციის ფართომასშტაბიანი წარმოჩენარეკლამირების მიზნით, აგრეთვე, მიმართულია რუსეთის, დსთ და საზღვარგარეთის ქვეყნების სამომხმარებლო ბაზარზე ქართული სავაჭრო ნიშნების მქონე ფალსიფიცირებული პროდუქციის გავრცელების წინააღმდეგ.

„თენგიზ კიტოვანს პატრიკეევისაგან“

შსს სამორიგეო ნაწილში შევიდა ანონიმური ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მცხეთის რაიონის სოფელ საგურამოს ე.წ. „გაზის“ დასახლების ნანგრევებში გადამალულია დიდი ოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა.

ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებრო მთავარი სამმართველოს შსს საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ ერთობლივად განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, აღნიშნული ადგილიდან ამოიღეს ნახევრადავტომატური შაშხანა СКС, წარწერით რუსულ ენაზე — „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრს, თენგიზ კიტოვანს ამიერკავკასიის ოლქის ჯარების სარდალ პატრიკეევისაგან“, სამი მჭიდით, ავტომატური იარაღი АКС -4 ცალი, АКМ-5 ცალი,ხელის ტყვიამფრქვევი — РПК, ავტომატის 2440 ვაზნა, სხვადასხვა ტიპის 1320 საბრძოლო ვაზნა, 3 ხელყუმბარა — Ф-1, 2 ხელყუმბარა — РГД, 10 დეტონატორი, ავტომატ — АКМ-ის 16 მჭიდი — 480 ვაზნა, АКС-ის 10 მჭიდი 300 ვაზნით, ტყვიამფრქვევის 3 მჭიდი, პისტოლეტი „მაკაროვი“ 3 მჭიდით, სნაიპერის ღამის ხედვის ერთი სამიზნე, სამედიცინო დახმარების 1 ჩანთა, მჭიდების ჩასალაგებელი 2 ჩანთა, ავტომატური იარაღის 2 ხიშტ-დანა, 3 რეაქტიული ყუმბარმტყორცნი — „სტრელა“, 2 საათის მექანიზმი, 16 კაფსულა-დეტონატორი. გამოძიებას აწარმოებს საგამოძიებო დეპარტამენტი.

ზარალი დიდია

„სტიქიურმა შემოტევამ დიდი მატერიალური ზარალი მიაყენა ფოთის ნავსადგურს. წინასწარი გაანგარიშებით, იგი მილიონ ორასი ათასის ფარგლებშია. დანგრეულია ნავმისადგომები, ზღვამ დაფარა № 1 ნავმისადგომი, დაზიანებულია სამგზავრო სადგური. სავარაუდოა, რომ ღელვის შემდეგ შემოსასვლელი არხიც დასილულია,“, განუცხადა ზეას კორესპონდენტს საქართველოს ტრანსპორტის მინისტრმა მერაბ ადეიშვილმა.

მისი თქმით, პორტის სამსახურებმა დიდი მუშაობა გასწიეს, რათა დაემაგრებინათ ნაპირზე მდგარი გემები, რომლებსაც ქარიშხალი მოგლეჯითა და ზღვაში გატანით ემუქრებოდა.

რაულ ჩილაჩავა — უკრაინის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

როგორც შევიტყვეთ, უკრაინის პრეზიდენტის ლეონიდ კუჩმას ბრძანებულებით, უკრაინასაქართველოს კულტურულ ურთიერთობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, უკრაინის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭა ჩვენს თანამემამულეს, უკრაინაში მცხოვრებ ქართველ პოეტსა და მთარგმნელს რაულ ჩილაჩავას.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: „ზეამ“, „იბერიამ“ და ჩვენმა კორესპონდენტებმა.

9 თებერვალი — გლობალურ ჭრილში

სოლიდარობენ შევარდნაძეს

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

მანიისა და ევროპის გაყოფის დაძლევაში. ჩვენ, გერმანელები ამას არასოდეს დავუვიწყებთ. იგი წარუძღვა თავის სამშობლოს, საქართველოს დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის გზაზე.

თავდასხმამ კიდევ ერთხელ გვიჩვენა, თუ რა დიდია ტერორიზმის საშიშროება. ამიტომ არის აუცილებელი სასწრაფო საერთაშორისო თანამშრომლობა მის დასაძლევად. თბილისში მომხდარი ტერორისტული აქტი მოქმედებისკენ მოწოდებად უნდა აღვიქვათ. ევროკავშირმა დაუყოვნებლივ უნდა გამოიჩინოს ტერორის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის ინიციატივა. თუმცა, ტერორიზმის წინააღმდეგ პრინციულ ბრძოლას ვერ დავჯერდებით, არასტაბილურობის დასაძლევად აუცილებელია პოლიტიკური ინიციატივების გამოჩენა.

საქართველოს პრეზიდენტზე ვერაგულ თავდასხმას პირველად არ უჩვენებია, თუ როგორ საფრთხეშია ამიერკავკასიის სტაბილურობა. ნურავინ დაიჯერებს, რომ ეს ევროპას არ შეეხება. საქართველოს და მისი მეზობელი ქვეყნების გეოპოლიტიკური მდებარეობა ევროპისა და აზიის გადაკვეთაზე, მათი სიახლოვე კასპიის ზღვის ნავთობის დიდ რეზერვებთან კავკასიას ევროპის ერთ-ერთ საკვანძო რეგიონად აქცევს. აქედან გამომდინარე, საქართველოს და მისი მეზობელი ქვეყნების, სომხეთისა და აზერბაიჯანის განვითარება მხოლოდ მოსაზღვრე ძალებს — რუსეთს, თურქეთსა და ირანს, ანდა სუპერსახელმწიფოს აშშ-ს — როდი აინტერესებს. ევროკავშირმაც გადაჭრით უნდა იკისროს თავისი პასუხისმგებლობა ამ რეგიონის სტაბილურობის წინაშე. ევროკავშირი ტრანსკავკასიის ქვეყნებისთვის მიმზიდველი პარტნიორია. თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის ახლებური კულტურით მას ტრანსკავკასიის ხალხებისთვის ნიმუშის ფუნქციის შესრულება შეუძლია. ამიტომ არის საჭირო, რომ ევროკავშირმა გრძელვადიანი პოლიტიკა შეიმუშაოს ტრანსკავკასიის ქვეყნების მიმართ. ამ პოლიტიკის საფუძველი არის საქართველოსთან, სომხეთსა და აზერბაიჯანთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება. პრინციპულად უნდა იქნეს გამოყენებული პოლიტიკური დიალოგის გაღრმავების, ამ ხელშეკრულებაში ჩადებული ეკონომიკური თანამშრომლობის და რეფორმების პროცესისათვის მხარდაჭერის შესაძლებლობები. ამასთან, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თანამშრომლობის ხელშეწყობას, ენერგიის, კომუნიკაციისა და ტრანსპორტის სფეროებში რეგიონული ინფრასტრუქტურის შექმნას. ამიერკავკასიაშიც უნდა იქნეს გამოყენებული ერთობლივი ეკონომიკური ინტერესების ნდობაზე დამყარებული გამაერთიანებელი ძალა. მხოლოდ ფართო თანამშრომლობით შეძლებს ამიერკავკასია მსოფლიო ბაზარზე გასვლას. იგივე ეხება კასპიის ზღვის ნავთობის საბადოების აღმოჩენას, მოპოვებასა და ტრანსპორტირებას. გადაწყვეტილება, რომ ნავთობსადენი ბაქოდან საქართველოს შავი ზღვის სანაპირომდე აშენდება, მეტი კეთილდღეობისა და სტაბილურობის შანსს აძლევს მთელ რეგიონს. გერმანიის და ევროპის ეკონომიკა განზე არ უნდა გადგეს, ეს მის ინტერესებშიცაა. „დიდი თამაშის“, ამ ხატოვანი გამოთქმის ხშირი გამოყენება კასპიის ნავთობთან დაკავშირებით, ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს საქმე ისევ ძალთა დაპირისპირების პოლიტიკას ეხება. არადა, ძალთა ურთიერთბრძოლა კი არა, კოოპერაციული და სტაბილური წესრიგის განმტკიცებაა საჭირო ამიერკავკასიაში, ყველა მონაწილის, მათ შორის რუსეთის საკეთილდღეოდაც.

ამაში რეგიონში კონფლიქტების მოგვარებაც იგულისხმება. ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიძლება შეიტანოს აფხაზეთის კონფლიქტის გადაჭრამ გაეროს მეთაურობითა და „საქართველოს მეგობრების“ ჯგუფის მხარდაჭერით. გერმანია ისევე არის ამ ჯგუფის წევრი, როგორც ე.წ. „მინსკის ჯგუფისა“, რომელიც მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებას ცდილობს. ის, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ეუთოს მისიას საქართველოში გერმანელი დიპლომატები ხელმძღვანელობენ, საქართველოს გერმანიისადმი განსაკუთრებული ნდობის კიდევ ერთი ნიშანია. ევროსაბჭოსთან საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის თანამშრომლობა ემსახურება ამ ქვეყნებში დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს სტრუქტურების ჩამოყალიბებას, ადამიანთა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვას. მათი მიზანია საქართველოს და მისი ამიერკავკასიელი მეზობლების სრულუფლებიანი წევრობა ევროსაბჭოში.

ცივი ომის დასრულების შემდეგ, გლობალიზაციის ეპოქაში არც ერთი ქვეყანა არ უნდა დაგვავიწყდეს. მაშინ, როდესაც გაფართოებული ევროპა შენდება, არც ერთი ერი გარიყული არ უნდა აღმოჩნდეს. ეს ეხება საქართველოსაც და მის ამიერკავკასიელ მეზობელ ხალხებსაც.

ჰანს დიტრიხ გენშერი.

„ნორდზევ ცაიტუნგი“.

აშშ სენატის სხდომაზე სენატორ სემ ბრაუნბეკის მიერ გაკეთებული განცხადება პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეზე განხორციელებულ თავდასხმასთან დაკავშირებით

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

ტიულია. პრეზიდენტ შევარდნაძის შთამაგონებელი ხელმძღვანელობით შეწყდა სამოქალაქო ომი, ბოროტმოქმედები საპყრობილეებში აღმოჩნდნენ, კერძო პირების არმიები განიარაღდნენ, ხოლო ეკონომიკის ვარდნა აღმავლობამ შეცვალა. 1997 წელს ეკონომიკური ზრდის ტემპმა თითქმის 8 პროცენტი შეადგინა, ინფლაცია მოთოკილია და ქართული ვალუტა კლდესავით მყარია. დემოკრატია გაიფურჩქნა, ამასთან ერთად, თუკი ვერ დავიცავთ დემოკრატიას საქართველოში, საეჭვოა, მან ამ რეგიონში სადმე იზეიმოს.

შევარდნაძის მოკვლის ყოველი მცდელობა ამ კონტექსტში უნდა განიხილებოდეს. ეს არის მცდელობა, ერთი მხრივ, გზას აცდინონ წარმატებული დემოკრატიული პროცესი, ხოლო მეორე მხრივ, დაემუქრონ აშშ-ს მზარდ ეკონომიკურ და სტრატეგიულ ინტერესებს საქართველოში და რეგიონში.

საქართველოს ხელისუფალთა განცხადებით, მკვლელობის მცდელობა კარგად იყო დაგეგმილი და შესრულებული. 30-მდე კარგად გაწვრთნილი თავდამსხმელი ყუმბარმტყორცნებითა და ავტომატური იარაღით იყვნენ შეიარაღებულნი. ქართველები სვამენ კითხვას და ჩვენც ასევე უნდა მოვიქცეთ: როგორ შესძლო ამხელა ჯგუფმა შეუმჩნევლად ემოქმედა საქართველოს დედაქალაქში? სად მიიღეს მათ იარაღი და ტყვია-წამალი? ვინ გაწვრთნა ისინი? სად გაუჩინარდნენ შემდგომ? და ყველაზე მთავარი: ვის ინტერესებს წარმოადგენენ ისინი?

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა მკაფიოდ მიანიშნეს, რომ პრეზიდენტის სიცოცხლეზე თავდასხმის მცდელობაში გარე ძალების მონაწილეობას ეჭვობენ. და არა მხოლოდ ისინი ფიქრობენ ასე. რამდენიმე დღით ადრე, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევიც მსგავსი თავდასხმის ობიექტი გახდა, რომელიც აზერბაიჯანის ხელისუფალთა აზრით, ქვეყნის გარეთ იყო დაგეგმილი. ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ, შესაძლოა, ეს ორი ლაჩრული აქტი კავკასიაში დესტაბილიზაციის იმ გეგმის შემადგენელი ნაწილი იყოს, რომელიც მიზნად ისახავს ამერიკელ და სხვა ინვესტორთა დაშინებას, რომელთაც სურთ კასპიის უდიდესი ენერგომემცველების სიმდიდრეების დასავლეთში, საერთაშორისო ბაზრებზე გატანა.

ვის აწყობს ჩვენს დროში სამხრეთ კავკასიაში დესტაბილიზაციის შექმნა? ყველა შესაძლო კანდიდატიდან, გარეშე ძალთაგან ამით ყველაზე მეტად რუსეთი მოიგებდა. რუსეთი უკვე კარგა ხანია ფარულად ცდილობს კასპიის ენერგომემცველების ჩრდილოეთით, რუსეთზე გამავალი გზის გარდა, ტრანსპორტირების ნებისმიერი სხვა მარშრუტი გამორიცხოს. რუსეთის პოლიტიკური ელიტის უმეტეს ნაწილს კასპიის სიმდიდრეები კვლავაც თავისად მიაჩნია. შევარდნაძის მკვლელობის წინა მცდელობის მოწყობაში ეჭვმიტანილი პირი კვლავ რუსეთის მფარველობის ქვეშ იმყოფება, მიუხედავად საქართველოს მრავალი ხმამაღალი მოთხოვნისა მისი გადმოცემის შესახებ. რუსეთს კვლავ გააჩნია ბაზები საქართველოში, სადაც, სავსებით შესაძლებელია, გუშინდელი თავდასხმა დაიგეგმა და განხორციელდა. ზემოთ ჩამოთვლილ არგუმენტთაგან არც ერთი არ გამოდგება რუსეთის მონაწილეობის აშკარა დასტურად, მაგრამ ძლიერი ეჭვი რუსეთის მონაწილეობის თაობაზე, ადვილად არ გაქარწყლდება.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ძალისხმევას არ დაიშურებს სიმართლის გასარკვევად. უფრო მეტიც, იმ გარეშე ძალებს, ვინც კი განიზრახავს დესტაბილიზაცია შეიტანოს კავკასიაში, ჩვენ სრულიად ნათლად და დაბეჯითებით უნდა მივუთითოთ შემდეგ მარტივ ჭეშმარიტებებზე:

— პირველი: შეერთებულ შტატებს სასიცოცხლო ინტერესები გააჩნია კავკასიაში და სწორედ ამ ინტერესებს ემსახურება მსგავსი ტერორისტული აქტები;

— მეორე: ჩვენი მხარდაჭერა პრეზიდენტ შევარდნაძისა და სხვა კავკასიელი ლიდერებისადმი მტკიცეა და შეურყეველი;

— მესამე: ყოველივეს ვიღონებთ, რათა ხელი შევუწყოთ ამ რეგიონში დემოკრატიასა და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას;

— მეოთხე: ნავთობი და გაზი აუცილებლად იდენს დასავლეთისაკენ;

— და ბოლოს: ეჭვის ნატამალიც კი არ უნდა არსებობდეს იმის თაობაზე, რომ სახელმწიფოები, რომლებიც ცდილობენ დესტაბილიზაცია შეიტანონ ამერიკის მეგობარ სახელმწიფოებში, კავკასიაში, არ უნდა ელოდონ ჩვენგან პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ, ან თუნდაც რაიმე სხვა სახის დახმარებას.

ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი მეგობრის — პრეზიდენტ შევარდნაძის მკვლელობის მცდელობას ვერ შევურიგდებით და, უდავოა, მას მოჰყვება რეაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხელე

თენგიზ აბულაძე — ქვეყნის მთავარი მებაჟე

მეორე, კვლავ პრეზიდენტის კატეგორიული მოთხოვნით, სისტემაში კორუფციასთან და კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის რეალურად გაძლიერებაა და შედეგად — შემოსავლების ნახტომისებური ზრდა 9-დან 70-მდე, 70-დან 186 მილიონ ლარამდე. ეს უკვე მყარი ტენდენციაა, პროცესია, რომელიც ნიშნავს მოძრაობას მიზნისკენ დამატებითი შესაძლებლობათა რეალიზაციის გზით.

— არასოდეს მიფიქრია, რომ ჩვენს სისტემაში ყველაფერი, ან, თუნდაც, მიახლოებით ყველაფერი მოვაწესრიგეთ, მაგრამ გარკვეული პროგრესი არის.

რა თქმა უნდა, არის, და ამ პროგრესის დინამიკა მოწმობს, რომ საქართველო ყალიბდება როგორც დიდი ტრანზიტის ქვეყანა. საბაჟოს ჭრილში ისტორიული „დიდი აბრეშუმის გზა" მატერიალური რეალობაა. ამ რეალობიდან გამომდინარე, დეპარტამენტის წლევანდელი პროგრამის ზედა ზღვარი 263 მლნ ლარს ითვალისწინებს, ანუ 51 პროცენტით ჭარბობს შარშანდელს.

განვითარდება ის პროცესი, რომელზეც ზემოთ ვთქვით, ეს პროგრამაც შესრულდება — ბიუჯეტი მყარ შემოსავალს მიიღებს.

მოდით, ამაზე ნუ ვილაპარაკებთ, თვალი არ ეცეს, მით უფრო, რომ ჯერ მხოლოდ დასაწყისია აღმართის: აღურიცხავი სასაქონლო ექსპორტი, სავარაუდოა, ერთ მილიარდ აშშ დოლარს ჭარბობს.

„100 ათას ტონაზე მეტი ღვინომასალები ჩრდილოვანი ექსპორტის წყაროს წარმოადგენს.

თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა იმპორტის დარგში.

საექსპერტო შეფასებით, საქონლის აღურიცხავი იმპორტის მოცულობა 1,2-ჯერ აღემატება ოფიციალურად აღრიცხულს, ხოლო ექსპორტისა — ორნახევარჯერ.

რუსეთის ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებით, საქართველოდან რუსეთში შეტანილია 104 მილიონი დოლარი ღირებულების საქონელი, ხოლო საქართველოს საბაჟოს მონაცემებით, — თითქოს მხოლოდ 46 მილიონი აშშ დოლარისა".

ციტატა პრეზიდენტ შევარდნაძის მოხსენებიდანაა, რომელიც მან 3 თებერვალს პარლამენტის სხდომას წარუდგინა.

ეს მონაცემები ფეხდაუდგამი მწვერვალის დალაშქვრის პერსპექტივასავით არის. თანაც — აუსვლელობა არ ეგების, რადგან მოძრაობა დაწყებულია. მაგრამ ზემოთ მოხმობილ ციფრებში გავერკვეთ. ამისთვის თენგიზ აბულაძის მსჯელობას დავუგდოთ ყური (პროფესიული ტერმინოლოგიის ნუ შეგეშინდებათ):

— საქართველოს საბაჟო ორგანოებში გაფორმებული სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების თანახმად, — თქვა მთავარმა მებაჟემ, — საქართველოს ექსპორტმა რუსეთის ფედერაციაში 1997 წლის 9 თვეში შეადგინა 46,9 მლნ აშშ დოლარი, ხოლო რუსეთის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტში არსებული ინფორმაციით რუსეთმა საქართველოდან იმავე პერიოდში განახორციელა 104,7 მლნ დოლარის ღირებულების საქონლის იმპორტი, ანუ 57,8 მლნ დოლარით მეტი. ასეთი საგრძნობი განსხვავება ორი ქვეყნის ურთიერთშესადარის მონაცემებში შეიძლება აიხსნას შემდეგი გარემოებით.

პირველი. საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად საქონლის ექსპორტის საბაჟო ღირებულება განისაზღვრება ფობ ფასებით, იმპორტისა — სიფ ფასებით, ამასთან, სიფ ფასი დაახლოებით 10 პროცენტით მაღალია ფობ ფასზე. ამიტომ რუსეთის იმპორტსა და საქართველოს ექსპორტს შორის განსხვავება 9 თვის შედეგებით დაახლოებით 5 მლნ დოლარით უნდა შეფასდეს.

მეორე. რუსეთს აღრიცხული აქეს საქართველოდან შეტანილი ხალიჩები, განსაცმელი და ფეხსაცმელი 44,8 მლნ დოლარის ღირებულების, მათ შორის, ხალიჩები — 18,3, ფეხსაცმელი — 18,5 და ტანსაცმელი — 8,0 მლნ დოლარის ღირებულებისა. როცა საქართველოს საბაჟო ორგანოების მონაცემებით რუსეთში ექსპორტირებული ზემოთ დასახელებული საქონლის საერთო ღირებულებამ მხოლოდ 211,9 ათასი დოლარი შეადგინა.

რუსეთის საბაჟო კომიტეტის მონაცემები აშკარად არარეალურია და არ შეესაბამება საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საექსპორტო პოტენციალს.

თავად განსაჯეთ, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში 1996-97 წლებში წარმოებულია მხოლოდ 262 ათასი ლარის, ანუ 204 ათასი დოლარის ღირებულების ხალიჩები, 1164 ათასი ლარის, ანუ 917 ათასი დოლარის ფეხსაცმელი, 7962 ათასი ლარის, ანუ 6235 ათასი დოლარის ტანსაცმელი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქართველოში ბოლო ორ წელიწადში წარმოებული დასახელებული სამივე სახეობის საქონელს მთლიანად გაიტანდნენ რუსეთში, სიფ ფასში შეფასებული მათი საერთო ღირებულება იქნებოდა დაახლოებით 7,4 მლნ. აშშ დოლარი, ნაცვლად 44,8 მლნ. დოლარისა.

განსხვავება ურთიერთშესადარის მაჩვენებლებში ადგილი აქვს არა მხოლოდ რუსეთ-საქართველოს იმპორტ-ექსპორტში, არამედ ექსპორტ-იმპორტშიც. ამასთან ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, 6 დასახელების საქონელთა ჯგუფიდან 4 შემთხვევაში რუსეთის ექსპორტი საქართველოს იმპორტზე მეტია 33,5 მლნ დოლარით, ხოლო 2 შემთხვევაში ნაკლებია 7,5 მლნ დოლარით. მათ შორის საქართველოს იმპორტში აღრიცხული არ არის 19,4 მლნ დოლარის ღირებულების ბუნებრივი გაზი, იმის გამო, რომ მის იმპორტზე საქართველოში ჯერჯერობით საბაჟო კონტროლი არ ხორციელდება. საქართველოს იმპორტში გაურკვეველი მიზეზების გამო 12,4 მლნ დოლარის ნაკლებობით არის აღრიცხული ელექტრო და ტექნოლოგიური მოწყობილობის იმპორტიც.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ საქართველოს საბაჟო ორგანოებში დაფიქსირებულია რუსეთიდან 8,4 მლნ დოლარის ღირებულების სატრანსპორტო საშუალებების იმპორტი, მაშინ, როდესაც რუსეთის მხარეს აღრიცხული აქეს მხოლოდ 1,3 მლნ დოლარის აღნიშნული საქონლის ექსპორტი საქართველოში.

— დავაფიქსირეთ და გავჩერდით?

— არა.

— საქართველოს საბაჟო დეპარტამენტს მომზადებული აქვს წერილობითი მიმართვა რუსეთის საბაჟო კომიტეტისადმი წინადადებით, ორი ქვეყნის ურთიერთვაჭრობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის პერიოდული გაცვლის თაობაზე და იმ სასაქონლო პოზიციების სავაჭრო ოპერაციების მიხედვით გაშიფვრის თხოვნით, სადაც საგრძნობი განსხვავებებია ურთიერთშესადარის მაჩვენებლებში. ჩვენი წინადადების მიღების შემთხვევაში, გვექნება არსებული ინფორმაციის უფრო დეტალური გაანალიზებისა და რეალური დასკვნების გაკეთების შესაძლებლობა.

მოდით ახლა, დილეტანტის დონეზე მაინც, გავერკვეთ საბაჟო სისტემის ფუნქციონირების ძირითად პარამეტრებში: აქაურ ლაბირინთებში თავად დეპარტამენტის თავმჯდომარე გაგვიძღვება.

და პირველი, რასაც მისგან გავიგებთ, იქნება ის, რომ საბაჟო სისტემის სრულფასოვანი და მაქსიმალურად ეფექტიანი ამოქმედებისათვის საჭირო არის მისი ფინანსური უზრუნველყოფა. ბიუჯეტიდან, ცხადია. მაგრამ ჩვენი ბიუჯეტის ნაკლი ის არის, რომ იგი ქრონიკულად არავის ყოფნის. საბაჟო დეპარტამენტიც საერთო რიგში დგას: ისეთი ხარჯებიც კი შეუკვეცეს, როგორიცაა პრემიები, სამივლინებო, სატელეფონო ხარჯები... დაირღვა გამართული სტიმულირების სისტემა, ეს კი ნიშნავს, რომ სახელმწიფო ხელიდან უშვებს მებაჟეთა მატერიალური უზრუნველყოფის, მათი სუფთა ხელებით შრომის სადავეს და თვითსტიმულირებას უხსნის გზას. და თქვენ იცით, ეს რასაც ნიშნავს.

დავუმატოთ ამას მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შტატების სიმცირე, გამშვები სასაზღვრო პუნქტები, სადაც, რბილად რომ ვთქვათ, საველე პირობებში მუშაობენ, და არ გაგიჭირდებათ წარმოიდგინოთ, რა სიძნელეების გადალახვა მოუწევთ წლევანდელი 263 მილიონი ლარის ასაკრეფად.

მაშ, ჩიხი? ჩიხში ის მატარებელი დგას, რომლის ბოლო სადგური კომუნაში (კომუნიზმში) უნდა ყოფილიყო... თენგიზ აბულაძე მაქსიმალურად ცდილობს, თავისი უწყება ამ ჩიხიდან გამოიყვანოს.

ყველა ცოცხალი ორგანიზმი გართულებულ გარემო პირობებს შიდა რესურსების მობილიზებით ძლევს ხოლმე, მოკლე თუ ხანგრძლივი პერიოდით, იმ დრომდე, სანამ ეს რესურსი გასწვდება. საზოგადოებრივი ორგანიზმიც ასეა. ამიტომ ეძებს თენგიზ აბულაძე ამ დამატებითს „შიდა სასიცოცხლო ძალებს". წლეულსაც ისეთივე არაორდინალური გადაწყვეტილებებისა და ექსპერიმენტების იმედი აქვს, რომლებმაც შარშანდელი სამეურნეო წელი გადაატანინა, თანაც, — არცთუ ცუდად.

თავის მოსაზრებებსა და წინადადებებს ბოლომდე არ ხსნის და შეკითხვაზე — მაინც რა? ერთი მაგალითით მიპასუხებს:

— მაგალითად, ზღვრული ფასების ჩამონათვალის გაფართოებით.

საქმეში ჩაუხედავი კაცი (მათ შორის, ამ სტრიქონების ავტორიც) შეიძლება არ ჩაუღრმავდეს ამ „გაფართოებაში" დაშიფრულ კონკრეტიკას, მაგრამ აბულაძის არგუმენტი, რომ 97-ში ბიუჯეტში სწორედ ამ გზით დამატებით 50 მილიონი ლარი შეიტანეს, საქმეში ჩაუხედავ კაცსაც და ამ სტრიქონების ავტორსაც იმედიანად განაწყობს.

ერთხელ ავტოინსპექციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ჩვენი გაზეთის კრიტიკას ვრცელი ეპისტოლეთი უპასუხა, რომელმაც, საკმაოდ უარყოფითი რეაქცია გამოიწვია რედაქციაში. აღშფოთების მიზეზი კი ის იყო, რომ იმ სტრუქტურის ახალგაზრდა ხელმძღვანელმა მაინცა და მაინც ნაცარი კი არ დაიყარა თავზე, არამედ — დამნაშავეებს დავსჯითო, მაგრამ საგზაო პოლიციაში რაგინდ პატიოსანი კაცი მოვიდეს, თუ სათანადო პირობებს არ შევუქმნით, მალე ისიც ფულის აღებას დაიწყებსო.

ამ სარედაქციო ეპიზოდს მერე და მერე რომ დავუფიქრდი, მართალი ყოფილა ის კაცი: იმაზე მეტი თქვა, რასაც „კრიტიკის სრულად მიღება" ჰქვია. ჩვენ კი გვეგონა, გამართლებას ცდილობდა თავისი ფულისმოყვარული თანამშრომლების.

თენგიზ აბულაძე ცდილობს პრიორიტეტულ მიმართულებათა ერთობლიობით სწორედ ნორმალური, პატიოსანი მუშაობის პირობები შექმნას საბაჟო სისტემაში. თუმცა, ეს ძალიან ძნელი საქმეა.

მონტესკიე „გონთა კანონში" ერთგან წერს: „ჩინელები ხოტბას ასხამენ ერთ-ერთ თავიანთ იმპერატორს, რომელიც, მათი თქმით, სახელმწიფოს ზეცის მსგავსად მართავდა, ე. ი. თავისი პირადი მაგალითით" (გვ. 233).

ამ ისტორიული იდეალიზმის ელემენტები თენგიზ აბულაძის მუშაობაში აშკარად იგრძნობა, მაგრამ არა მხოლოდ ეს, რადგან ბუნებით პრაგმატიკოსია.

საბაჟო სისტემაში უმთავრეს გადასაწყვეტ ამოცანად მას აღრიცხვიანობის მოწესრიგება მიაჩნია, რომელიც საფუძველთა — საფუძველია სახელმწიფო, საფინანსო, საგადასახადო და საშემსრულებლო დისციპლინის. ცდილობს და გარკვეულ დონემდე კიდეც მიაღწია: შარშან საბაჟო ორგანოებმა 160 მილიონი ლარის მოცულობის იმპორტი აღრიცხეს, შეიქმნა ექსპორტ-იმპორტის, საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკა.

ეს იმას ნიშნავს, ორივე მიმართულებით საზღვრის გადამკვეთი ტვირთების აღრიცხვა დაწყებულია, რაც მათი უკანონო დაბეგვრისა და, პირიქით, დაუბეგრაობის შესაძლებლობას ამცირებს, ან, სინამდვილეს რომ მივუახლოვდეთ, — შეძლებისდაგვარად ამცირებს, რადგან ჩვენი მოუწყობელი საზღვარიცა და საბაჟოებიც უფრო საცერსა ჰგავს, რომლითაც წყლის ამოხაპვას ცდილობენ, ვიდრე ძლიერი ნაკადის მოსაწესრიგებელ ჰიდრონაგებობათა სისტემას.

— და, მიუხედავად ამისა, უკვე ვიცით, რომ შარშან სახელმწიფო საზღვარი მილიონზე მეტმა მოქალაქემ გადაკვეთა. ეს კი ნიშნავს, რომ სახელმწიფოს კანონით დაუბეგრავ მოცულობაში იმპორტს არ ითვალისწინებენ.

მაგრამ რახან უკვე იციან, აღრიცხულია, ეს ნიშნავს, რომ პროცესი ლოგიკურად უნდა გაგრძელდეს. და გრძელდება ფინანსთა მინისტრის მიხეილ ჭკუასელის მეთაურობით ორგანიზებული ღონისძიებებით, რომლებიც ქვეყანაში აღრიცხვიანობისა და დაბეგვრის საბოლოო მოწესრიგებას, ყველა მებაჟის პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებას, საბაჟო საქმიანობის ცივილიზებას უზრუნველყოფს, — ასეთია თენგიზ აბულაძის პოზიცია.

მომდევნო პრიორიტეტი ხარისხზე კონტროლია;

— რამდენადაც სუსტნი ვართ საზღვრის გაუმართაობით, იმდენად ძლიერნი — ქვეყნის შიგნით საქონლის ხარისხზე, ვარგისიანობაზე, რეალიზაციის ვადაზე კონტროლის დაწესებით. ეს ერთგვარად გააწონასწორებს წარმოქმნილ დისბალანსს. საბაჟო დეპარტამენტი ახლა ამ მექანიზმის დამუშავებით არის დაკავებული.

შემოტანილი პროდუქციის ხარისხი, მართლაც, საერთო სატკივარია.

ბუნებრივად იბადება შეკითხვა აღურიცხავ და უხარისხო ნავთობზე, შაქარზე, ფქვილზე, ანუ იმ საქონელზე, რომლის შემოტანა მრავალ მითქმა-მოთქმას იწვევს „კრიშებისა" თუ მფარველების დასახელებით და სენსაციური ფაქტების პუბლიკაციით.

თენგიზ აბულაძემ, რომელსაც ეს თემა განსაკუთრებით აწუხებს, ამ შეკითხვაზე დეპეშური სტილით მიპასუხა:

— 186 მილიონში, რომელიც მობილიზებული იქნა გასულ წელს, 73 მლნ ლარზე მეტი, ანუ 39 პროცენტი ნავთობპროდუქტების იმპორტის დაბეგვრიდან არის ამოღებული. მცდარია აზრი, რომ ნავთობპროდუქტები არ იბეგრება. არის სერიოზული დანაკარგებიც. მიზეზი, ძირითადად, საბაჟო ადმინისტრაციის არასრულფასოვანი მუშაობაა, აგრეთვე, სარკინიგზო ქსელის კონტროლისათვის მოუგვარებლობა, სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის სისტემების მოუქნელობაა და საჭირო ლაბორატორიებით აღუჭურველობა, და უფრო ნაკლებად — ბიზნესმენთა, „კრიშებისა", თუ მფარველების ხელშეწყობის ბრალი. ურწმუნო საქართველოში ძნელია რამე ამტკიცო, მაგრამ 73 მილიონი საბაჟო ანაკრეფი თავისით არ მოსულა.

თენგიზ აბულაძე დარწმუნებულია, რომ ამ სფეროში, და საერთოდაც, მონსტრი „კრიშების" თემა თანდათან იწურება. თუმცა არ უარყოფს, რომ ზეწოლა იყო და არც მომავალშია გამორიცხული, მაგრამ გადამწყვეტ გავლენას სისტემაზე ვეღარ მოახდენს.

— წლის დასაწყისიდანვე შინაგან საქმეთა, უშიშროების სამინისტროებთან ერთად დაიგეგმა საგანგებო ღონისძიებები, განსაკუთრებით, ნავთობპროდუქტების შემოტანაზე, კონტრაბანდის, კორუფციის აღმოსაფხვრელად.

სიგარეტის იმპორტის დაბეგვრასთან დაკავშირებული ექსპერიმენტიც საკმაოდ მტკივნეული საკითხია მისთვის. ექსპერიმენტი მოქმედებდა და თავდაპირველად 35 მილიონი ლარიც ამოიღეს, შემდეგ — 28. შეწყდა ექსპერიმენტი და 12 მილიონი ლარი დაკარგეს. იანვარში შეუძლებელი შეძლეს, და 2 მილიონი ლარი მაინც შეიტანეს ბიუჯეტში.

ფქვილის, შაქრის იმპორტის პრობლემები დეპარტამენტის დღის წესრიგში საკმაოდ მწვავედ დგას. ვარაუდობენ, რომ შეიძლება იმძლავროს კონტრაბანდულმა ფქვილმა ცალკეულ რეგიონებში. მებაჟეები კონტრზომებისთვის მზად არიან.

საგადასახადო კოდექსის ამოქმედების შემდეგ ოცპროცენტიანმა დღგ გადასახადმა დსთ ქვეყნებიდან შემოტანილ საქონელზე სიტუაცია კალაპოტში ჩააყენა. და მაინც რჩება 12-პროცენტიანი ამპლიტუდა, რომელიც კანონმა აუცილებლივ უნდა მოსპოს.

— რა პერსპექტივა ისახება კონტროლის თვალსაზრისით წლეულს?

— მიმდინარე წელს საბაჟო კონტროლისა და დაბეგვრის სფეროში მოექცევა ბუნებრივი და თხევადი გაზის იმპორტი, გაკონტროლდება საზღვარზე მილსადენით გადმოტარებული ნავთობისა და ნავთობპროდუქტების განცხადებული და ფაქტობრივი მოცულობების ურთიერთშესაბამისობა; დაიწყება ელექტროენერგიის იმპორტის დეკლარირება, დაწესდება კონტროლი ამ საქონლის იმპორტსა და ტრანზიტზე;

გაძლიერდება სავალუტო კონტროლი საქონლის ექსპორტსა და იმპორტზე;

გამკაცრდება საბაჟო კონტროლი ტრანზიტის რეჟიმით საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილებულ საქონელზე. უნდა ამოქმედდეს ტრანზიტზე დეპოზიტებისა და საბანკო გარანტიების ინსტიტუტები.

როგორც ხედავთ, კონტროლის გაძლიერება მნიშვნელოვან პრიორიტეტად ყალიბდება დეპარტამენტის საქმიანობაში.

ეს კი დამატებითი შემოსავალია ბიუჯეტში.

აქ მოქმედებს ფორმულა: ეფექტიანი უწყვეტი კონტროლი უწყებაზე სათანადო სახელმწიფო კონტროლის უზრუნველყოფით. ასეთი მექანიზმი რეალურად ამუშავდა, ამან შესაძლებელი გახადა ბიუჯეტში 259 მილიონ ლარზე მეტის მოზიდვა. მაგრამ წლევანდელი გაზრდილი პარამეტრები, თენგიზ აბულაძის აზრით, საზოგადოებრივ კონტროლს, პრესის შესაძლებლობათა სრულად გამოყენებას საჭიროებს. რა არ აღირიცხება და რა არ იბეგრება, რატომ, სად და რა ილექება? ვარაუდები ან უნდა დამტკიცდეს, ან უნდა გაქარწყლდეს, ბოლოს და ბოლოს ეს ჩვენი ღირსების საქმეაო.

— შემთხვევითი არ არის, რომ საბაჟო დეპარტამენტის აპარატის უფროსად მოვიწვიეთ საინფორმაციო სააგენტო „იფრინდას" ხელმძღვანელი. თუ საჭირო გახდა, პრესის საგუშაგოების მოსაწყობად ყველა პირობას შევქმნით ჩვენი სტრუქტურის ყველა დონეზე. ამ პრინციპის სარეალიზაციოდ საბაჟო დეპარტამენტთან ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელშიც გაერთიანებული არიან მეწარმეები, ბიზნესმენები, ბანკირები, მეცნიერები, პრაქტიკოსები, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები.

საზოგადოებასთან ურთიერთობის ერთ-ერთი ფორმა საკონტაქტო ტელეფონია, და თუ ზარი ანონიმური არ იქნება, საბაჟო მოხელის ნებისმიერ არასწორ ქმედებაზე დაუყოვნებლივ მივიღებთ გადაწყვეტილებას.

და, საერთოდ, „საკადრო ფილტრი" საბაჟო დეპარტამენტში რეალობაა, რომელიც დღეს პატიოსანი პროფესიონალების მოსვლაზე „მუშაობს".

* * *

საბაჟო დეპარტამენტმა იანვრის, ამ სისტემისთვის ურთულესი და სპეციფიკური თვის საბიუჯეტო დავალება მთლიანად შეასრულა.

არმაზ სანებლიძე.

P. S. რა ვიცი, ეგებ, ვინმეს გამოადგეს 250 წლის წინათ ჩამოყალიბებული ფორმულა საბაჟოსა და სახელმწიფოს ურთიერთობაზე, რომელიც, ვფიქრობ, დღესაც ძალაშია. ციტატა იმავე „კანონთა გონიდან":

„სადაც კომერციაა, იქ საბაჟოცაა. კომერციის მიზანია საქონლის ექსპორტი და იმპორტი სახელმწიფოს სასარგებლოდ. საბაჟოს მიზანია გარკვეული უფლების განხორციელება ამავე იმპორტისა და ექსპორტის მიმართ ისევ სახელმწიფოს სასარგებლოდ. მაშასადამე, საჭიროა, რომ სახელმწიფომ ნეიტრალური პოზიცია დაიკავოს თავის საბაჟოსა და კომერციას შორის და ისე მოიქცეს, რომ მათ ერთმანეთს ზიანი არ მიაყენონ. მაშინ ამ სახელმწიფოში კომერციის თავისუფლება იქნება". (გვ. 357).

თავისუფალი კომერცია კი დღევანდელი საბაზრო ეკონომიკაა, სხვა არაფერი.

ა. ს.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

სურათზე: თენგიზ აბულაძე და საქართველოს ფინანსთა მინისტრი მიხეილ ჭკუასელი. საუბრის თემა, როგორც ყოველთვის — ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდა.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პარლამენტი

კანონპროექტში მცირე შესწორებებია

ამ სასესიო კვირაში პარლამენტი, ერთკვირიანი გადავადების შემდეგ, განიხილავს კანონპროექტს „დედაქალაქის, თბილისის შესახებ". გადავადების მიუხედავად, კანონპროექტში პრაქტიკულად არავითარი სერიოზული ცვლილება არ იქნა შეტანილი, ერთ-ერთი ცვლილება საკრებულოს წევრთა რაოდენობას შეეხო. თუ პირვანდელ ვარიანტში ვარაუდობდნენ „50+1" პრინციპით არჩევას, ანუ 50 თბილისიდან და ერთი წყნეთის რაიონიდან, წარმოდგენილ ვარიანტში საკრებულოში აირჩევენ „40+1" პრინციპით.

კანონპროექტის თანახმად, ადრეულ ვარიანტში მხოლოდ თავმჯდომარე და მდივანი ითვლებოდნენ თანამდებობის პირებად, რომელთაც შესაბამისი ანაზღაურება ექნებათ. ახალ ვარიანტში 5 კომისიის თავმჯდომარეც თანამდებობის პირებად ჩაითვლებიან და მიიღებენ სახელმწიფო ჯამაგირს.

რჩეულიშვილს თავისი მოსაზრება აქვს

ეკონომიკური რეფორმების მეორე ეტაპი მოითხოვს კანონპროექტს, რომელიც მოაწესრიგებს დედაქალაქის მიწების საკუთრებას. როგორც დღეს გამართული საპარლამენტო ფრაქცია „მაჟორიტარის" სხდომაზე ვახტანგ რჩეულიშვილმა აღნიშნა, კანონის მიღების შემთხვევაში შესაძლოა დაფიქსირდეს დარღვევები. მისი თქმით, კონტროლის ერთადერთი საშუალება ადგილობრივი არჩევნების შედეგად არჩეული ხელისუფლებაა.

როგორც პარლამენტარი მიიჩნევს, თბილისში მიწის საკუთრება უნდა განხორციელდეს ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, როდესაც ჩამოყალიბდება საკრებულო.

გიორგაძე გულგრილობას ებრძვის

საპარლამენტო ფრაქცია „სახალხოს" თავმჯდომარის, მამუკა გიორგაძის თქმით, საქართველოში არსებული მდგომარეობა სულ უფრო მეტი შეშფოთების საფუძველს იძლევა. ამის გამოხატულებად პარლამენტარი სახელმწიფოში ტერაქტისადმი გულარხეინ დამოკიდებულებას მიიჩნევს. მისი თქმით, ხელისუფლება ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადადის და ამ პროცესში ავიწყდება საზოგადოება, რომელიც თავის მხრივ გულგრილ დამოკიდებულებას იჩენს მიმდინარე პროცესისადმი.

დიდი ბრიტანეთის ახალი ელჩი

16 თებერვალს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა მიიღო ჩვენს ქვეყანაში ახლადდანიშნული დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რიჩარდ თომას ჯენკინსი.

მინისტრი მიესალმა ელჩის დანიშვნას და მადლობა მოახსენა მას იმ მხარდაჭერისათვის, რომელიც მისმა ქვეყანამ აღმოუჩინა საქართველოს მისთვის მძიმე პერიოდში.

მიზანშეწონილია ბრიტანულ მხარესთან საქმიანობის აქტივიზაცია ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის პროექტის რეალიზაციის საქმეში, — აღნიშნა ირაკლი მენაღარიშვილმა, — საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალის რეაბილიტაციასა და განვითარებაში. ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ აუცილებელია ორ ქვეყანას შორის ხელმოწერილ შეთანხმებათა რეალიზაცია.

მხარეებმა ისაუბრეს აგრეთვე სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლო პერსპექტივებზე.

დღეს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რიჩარდ თომას ჯენკინსი რწმუნებათა სიგელებს გადასცემს საქართველოს პრეზიდენტს.

თარიღი

ლიტვა — საქართველო: თანამშრომლობის დიდი პერსპექტივა

1795 წელს რუსეთის მიერ ანექსირებულმა ლიტვამ მხოლოდ 1918 წლის 16 თებერვალს შეძლო სახელმწიფოებრიობის აღდგენა. აქედან მოყოლებული ლიტველები ყოველწლიურად ზეიმით აღნიშნავენ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.

გუშინ ლიტვის რესპუბლიკამ კვლავ იზეიმა 80 წლის წინათ აღდგენილი დიდი ეროვნული დღესასწაული.

საქართველომ თავისი გენერალური საკონსულო, ბალტიის ქვეყნებიდან, პირველად ლიტვაში გახსნა, წლეულს იანვრიდან კი ლიტვის რესპუბლიკის საპატიო კონსულად საქართველოში დაინიშნა: ეროვნებით ლიტველი, ქართველი კაცის მეუღლე და ქართულად საამოდ მოსაუბრე ირენა სლიზევიჩუტე-ჯიძია. გუშინ ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით შევხვდი მას და ვესაუბრე. როცა მისი გამართული ქართული გავიკვირვე, ღიმილით მითხრა: მე საქართველოს მოქალაქე ვარ.

ქალბატონი ირენა 1983 წლიდან ცხოვრობს თბილისში და სათავეში უდგას ლიტველთა სათვისტომოს „რუტას", რომელიც დაახლოებით ას წევრს ითვლის.

ჩვენი სათვისტომოს მიზანია შევინარჩუნოთ ტრადიციები, ენა, მუდმივი კავშირი გვქონდეს სამშობლოსთან — ამბობს იგი და დასძენს, რომ დაარსების დღიდან სათვისტომოსთან მოქმედებს საკვირაო სკოლა. ჰყავთ ფოლკლორული ანსამბლი, რომელიც შარშან დეკემბერში ქართველი მაყურებლის წინაშე წარსდგა, როდესაც სათვისტომომ პირველი ლიტვური ნაბეჭდი წიგნის 450 წლისთავი იზეიმა.

— ლიტვური სახელმწიფოს ფორმირება მე-13 საუკუნეში დაიწყო, როდესაც თავადმა მინდაუგასმა დაქუცმაცებული სათავადოები გააერთიანა და 1253 წელს რომის პაპის ბრძანებით მეფედ ეკურთხა. დიდი თავადის, ვიტაუტასის მმართველობის პერიოდში 1392-1430 წლებში ლიტვა ევროპის ყველაზე დიდი სახელმწიფოა და მისი საზღვარი ბალტიის ზღვის ნაპირებიდან შავ ზღვამდე აღწევს.

ლიტველები საქართველოში, პირველად XIX საუკუნეში გამოჩნდნენ. 1912 წელს დაარსდა ლიტველთა „თბილისის საზოგადოება", საუკუნის დასაწყისში კი თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ლიტვური ლიტერატურის კლასიკოსი, ავტორი წიგნისა „კავკასიური ლეგენდები" ანტანას ჟიენულისი, 1917 წელს თბილისში მოიწვიეს კავკასიის ლიტვური ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობა, სადაც აირჩიეს კავკასიის ლიტვური საბჭოები.

ეს საბჭოები, რომლებიც თბილისში 1918-1920 წლებში მოქმედებდა, შეცვალა ლიტვის სახელმწიფოს წარმომადგენლობამ, რომლის ძირითადი საქმიანობა ლიტველების სამშობლოში დაბრუნება იყო. მართლაც, მათი დახმარებით ლიტვაში დაახლოებით ათი ათასი ადამიანი დაბრუნდა.

ლიტველებიც ქართველებივით ისწრაფოდნენ დამოუკიდებლობისაკენ. იბრძოდნენ შეენარჩუნებინათ თავიანთი ენა და კულტურა. ცნობილია, რომ გრიგოლ ორბელიანი და გიორგი ერისთავი 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის რამდენიმე წლით გადასახლებულნი იყვნენ ლიტვაში. სწორედ ისინი ითვლებიან ქართულ-ლიტვური ლიტერატურული ურთიერთობის მამამთავრებად. თავის მხრივ 1863 წლის ცარიზმის წინააღმდეგ შეთქმულების მონაწილე ლიტველები საქართველოში იყვნენ გადმოსახლებულნი.

1990 წელს, როცა ლიტვამ თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც ჩვენი მხარდამჭერი მიტინგი გამართა, ქართველები იყვნენ.

დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ, ლიტვამ ორიენტაცია აიღო დასავლეთზე, ესწრაფის ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციას, სურს შეიდეს ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში — ნატოში.... რადგანაც ეს მიაჩნია საკუთარი უსაფრთხოების გარანტად. ამასთან ერთად ქვეყანა შეუდგა ეროვნული ეკონომიკის აღორძინებას.

ლიტვის ეკონომიკის ზრდა ხელს უწყობს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას. ბოლო წლებში იგი საგრძნობლად მატულობს. იზრდება ხელფასის მყიდველობითი უნარი, პენსიები და სოციალური გადასახადები, რასაც ხელს უწყობს ეროვნული ვალუტის — ლიტის სტაბილურობა. 1997 წელს ერთ სულ მოსახლეზე საერთო შიდა ეროვნული პროდუქტი 6 პროცენტით გაიზარდა და 2250 დოლარი შეადგინა. შარშანდელი წლის ბოლოსთვის საშუალო თვიური ხელფასი 225 ამერიკული დოლარის ეკვივალენტის ტოლი იყო, ხოლო მინიმალური ხელფასი 400 ლიტს, ანუ 100 ამერიკულ დოლარს გაუტოლდა.

1990 წლიდან პირველად იკლო უმუშევრობის რიცხვმა. ამ ეტაპზე ლიტვაში საკმარისად კარგად ვითარდება ხის დამამუშავებელი, კვების, მსუბუქი და ქიმიური მრეწველობა. ამ დარგების პროდუქცია გამოირჩევა მაღალი ხარისხითა და შედარებით ზომიერი ფასებით. ვიმედოვნებ, რომ სულ მალე ლიტვური ავეჯი, ხორცისა და რძის პროდუქტები საპატიო ადგილს დაიკავებენ ქართულ ბაზარზე.

ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დროს გაეცვნენ ლიტველები და სათანადოდ დააფასეს ქართული ღვინო. ეჭვიც არ მეპარება, რომ დღეს ქართული ღვინოების ხარისხიცა და ფასიც მიიზიდავს ლიტველ მომხმარებელს. აღსანიშნავია ლიტველთა ინტერესი ქართული მინერალური წყლების, ციტრუსებისა და ჩაისადმი.

ბალტიისპირეთის ქვეყნებს შორის ლიტვა, ხოლო ამიერკავკასიაში საქართველო ძალიან ჩამოჰგვანან ერთმანეთს თავიანთი გეოპოლიტიკური მდგომარეობით, შედარებით განვითარებული სატრანსპორტო ქსელითა და მისი ინფრასტრუქტურით. ლიტვაში ტვირთების გადაზიდვა, განსაკუთრებით სატრანზიტო, პრიორიტეტულს მიეკუთვნება. ლიტვური საქონელი ჯერჯერობით ძნელად იკვლევს გზას ევროპული ბაზრისკენ. ამიტომაც ჩვენი მეწარმეები ილტვიან აღადგინონ გაწყვეტილი ეკონომიკური კავშირები და ეძებენ პროდუქციის გასაღების ბაზრებს პოსტსაბჭოთა სივრცეში. ლიტველ ბიზნესმენთა ყურადღებას სულ უფრო იპყრობს ტრასეკას პროექტი, რადგანაც ამ დერეფნის საშუალებით სკანდინავიის ქვეყნები უმოკლესი გზით დაუკავშირდებიან აზიის ქვეყნებს.

ქალბატონ ირენას აზრით, ძალიან დიდი პერსპექტივა აქვს ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობას ტურიზმის დარგში. მარტო შარშან ტურიზმის მეშვეობით ლიტვამ 350 მილიონ ამერიკულ დოლარზე მეტი მიიღო, რამაც საერთო შიდა ეროვნული პროდუქციის 4,5 პროცენტი შეადგინაო, ამბობს და იგონებს იმ დროს, როდესაც ქართველ ახალდაქორწინებულებს ჩინებული ტრადიცია ჰქონდათ, საქორწინო მოგზაურობა ბალტიისპირეთში გაეტარებინათ, ხოლო აქტიური დასვენების მოყვარული ლიტველები, ენთუზიაზმით მოგზაურობდნენ საქართველოს ქალაქებსა და მთებში, ისვენებდნენ საქართველოს კურორტებზე.

ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის ლიტვა რომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას საქართველოსთან ურთიერთობას ანიჭებს, თუნდაც ისიც მოწმობს, რომ, როგორც ზემოთ ვთქვით, საქართველომ თავისი გენერალური საკონსულო ბალტიის ქვეყნებიდან პირველად ლიტვაში გახსნა. ამას თავისებური ბიძგი მისცა საქართველოში 1996 წლის აპრილში ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტის ალგირდას ბრაზაუსკასის ვიზიტმა, რომლის დროსაც ხელი მოეწერა ხელშეკრულებებს. მათ შორის: საქართველოსა და ლიტვას შორის თანამშრომლობის გაფართოების დეკლარაციას; საქართველოსა და ლიტვის შეთანხმებას ეკონომიკისა და ვაჭრობის დარგში თანამშრომლობის შესახებ; შეთანხმებას ლიტვის ბანკსა და საქართველოს ეროვნულ ბანკს შორის ანგარიშსწორების თაობაზე.

— ჩემი, როგორც კონსულის მთავარი ფუნქციაა ხელი შევუწყო ჩვენს ქვეყნებს შორის სავაჭრო ეკონომიკურ, კულტურულსა და სამეცნიერო ურთიერთობებს. მჭიდრო კავშირები და ურთიერთსიმპათიები ყოველთვის არსებობდა, მაგრამ სსრკ-ს დაშლის შემდეგ ყოველნაირი ურთიერთობები მოიშალა. მსურს დაგარწმუნოთ, რომ ყოველ ღონეს ვიხმარ, რათა ძველი კავშირები აღდგეს.

და, ბოლოს არ შემიძლია აღშფოთება არ გამოვხატო 9 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მიმართ განხორციელებული ტერორისტული აქტის გამო, რომელიც მიმართული იყო საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების, მშვიდობისა და სტაბილურობის წინააღმდეგ.

გჯეროდეთ, ყველაფერს გავაკეთებ ლიტვასა და საქართველოს შორის კვლავინდებური, მტკიცე ურთიერთობებისათვის.

კეთილი იყოს თქვენი კონსულობა, ქალბატონო ირენა!

ესაუბრა
რუსუდან ლორთქიფანიძე.

დავა

ქატო – აქა, ფქვილი – იქა...

ჩვეულებრივად შებრუნებული ვარიანტით („ქატო იქა, ფქვილი აქა"), ამთავრებენ ხოლმე ზღაპრებს ბებიები და პაპები, როცა მათ შვილიშვილებს უყვებიან, მაგრამ ცხოვრებაში თურმე პირიქითაც ხდება. ამის დასტურად გამოდგება დღევანდელი საქართველოს ეროვნული მეურნეობა, სადაც კორუფციის ქარისგან მოჭრიალე წისქვილი არცთუ იშვიათად ბორბალს უკუღმა ატრიალებს, ფქვილს სხვას სთავაზობს, ჩვენ კი ქატოს ნარჩენს გვაჩეჩებს.

რატომ ხდება ასე? ყველაფერს თავისი ახსნა აქვს, მათ შორის ამასაც:

– უცხოურ საფინანსო მაგნატებსა და ინვესტორებს საქართველოსკენ საკუთარი მოგების სურვილი ეწევა და არა ჩვენი დანგრეული მეურნეობის აღორძინების ინტერესები;

– ჩვენგან ღვთით მომადლებული სიმდიდრის, ნედლეულის გაზიდვა სურთ და არა გაჩერებული საწარმოების ამოქმედება;

– აი, ნახეთ, ყველაფერი გროშებად გაიყიდება და ჩვენ პირში ჩალაგამოვლებულები დავრჩებით.

თავს ვერ გამოვიდებ, გავარჩიო ამ აზრთაგან რომელია სწორი და რომელი არასწორი (იქნებ ყველა თავისებურად მართალია), მაგრამ ერთს კი ვიტყვი, ჩვენ მივეჩვიეთ ყველა ჩვენი წარუმატებლობა სხვას გადავაბრალოთ, საკუთარ ბედოვლათობას კი თვალი ავარიდოთ. ასე რომ არ იყოს, ალბათ, დავინახავდით, რომ ზემოთ ნახსენები „ქატოს" შემოქმედნი ხშირად ჩვენ თვითონვე ვართ.

ამის თქმის საფუძველს მაძლევს თუნდაც სააქციო საზოგადოება „აგარის შაქრის კომბინატის" ბოლო წლების „გამოცდილება", სადაც აქციონერთა დავა-გარჩევას ბოლო არ უჩანს.

თუმცა, სჯობია, ცოტა მორიდან დავიწყოთ.

... ყველასთვის ცნობილი მოვლენების დროს შაქრის კომბინატი დიდხანს იდგა უმოქმედოდ. იდგა და მშველელს ელოდა. ცენტრალიზებული წესით აღარც შაქრის ჭარხალი შემოდიოდა, აღარც შაქრის ლერწმის ნედლეული და არც აგრეგატები და სათადარიგო ნაწილები. შესაბამისად კატასტროფულად მცირდებოდა შაქრის ჭარხლის ნათესები.

1995 წელს კომბინატში მხოლოდ 10 ათასი ტონა შაქრის ჭარხალი გადაამუშავეს, ანუ იმდენი, რამდენიც ადრე ერთ ძლიერ მეურნეობას შემოჰქონდა გადასამუშავებლად. იმ წელს კომბინატმა 240 ათასი ლარი იზარალა. ანკი სხვანაირად როგორ იქნებოდა: ტონა პროდუქციის თვითღირებულებამ 4780 ლარი შეადგინა, სარეალიზაციო ფასი კი 700 ლარი იყო. იმატა და იმატა ვალებმა (944 ათას ლარამდე ავიდა). მუშაობის ასეთი რეჟიმის პირობებში რენტაბელობაზე, რა თქმა უნდა, არ ლაპარაკობენ.

აგარელ მეშაქრეებს სალაპარაკო და საფიქრალი სხვა ჰქონდათ – როგორ დაეღწიათ თავი ეკონომიკური სიდუხჭირისათვის. არსაიდან შველას რომ არ ელოდნენ, ამ დროს გამოჩნდა მოსკოვში მცხოვრები აგარელი ბიზნესმენი ანატოლი ილჩენკო, რომელმაც რუსეთში დაგროვილი კაპიტალი უყოყმანოდ დააბანდა აქაურ მეშაქრეთა სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალში და აქციათა პაკეტის (51 პროცენტი) მფლობელი გახდა.

ანატოლი ილჩენკოს მოწადინება ამით არ დამთავრებულა. მან გამოძებნა მეორე ინვესტორიც – მსოფლიოში ცნობილი შვეიცარული კომპანია „გლენკორი", რომლის მოსვლამ საწარმოს საწესდებო კაპიტალი ორჯერ გაზარდა. „გლენკორმა" გაიღო 2 მილიონი დოლარი კომბინატის ტექნოლოგიური განახლებისათვის. შეიცვალა მანქანა-დანადგარები, დამონტაჟდა ახალი ტექნოლოგიური ხაზები, კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა საქვაბე მეურნეობას.

გაჩნდა ნედლეულიც. სატვირთო გემმა „სანრაისმა" კუბიდან 14 000 ტონა შაქრის ნედლეული ჩამოიტანა. ბრაზილიიდან წამოღებული ნედლეულით დატვირთული მეორე გემიც მოადგა ფოთის ნავსადგურს.

იმ წელს (1996 წ.) კომბინატმა გამოუშვა 25 800 ტონა მზა პროდუქცია, რამაც საწარმოს საშუალება მისცა ხელფასის ფონდი 811 პროცენტით გაეზარდა, 430 კაცმა მიიღო გარანტირებული სამუშაო ადგილი, მუშის საშუალო ხელფასი 76 ლარამდე გაიზარდა, ზოგიერთი კატეგორიის მუშებისა კი – 140 ლარამდე. და არანაკლებ მთავარი: ბიუჯეტში სხვადასხვა გადასახადების სახით 519 ათასი ლარი შევიდა.

მაგრამ ასეთი აღმასვლა, სამწუხაროდ, ხანმოკლე გამოდგა. რადგან პროდუქცია გამოჩნდა და საწარმოში შაქრისა და ფულის სურნელი დატრიალდა, როგორც ჩვენში ხშირად ხდება ხოლმე, გაჩნდა დავის საბაბიც, რომელიც თანდათან გაიღვა, სუნი აუვიდა და იქაურობა (ბოდიშს ვიხდი გამოთქმისათვის) მთლიანად ამყრალა.

უფრო კონკრეტულად:

მოდავენი არიან ინვესტორი ანატოლი ილჩენკო (აქციების 51 პროცენტი) და თამაზ თხელიძე (აქციების 40 პროცენტი), რომელიც 1990 წლიდან 1995 წლამდე აგარის შაქრის კომბინატის გენერალური დირექტორი გახლდათ. მას შემდეგ, რაც პარლამენტის დეპუტატად აირჩიეს, ბატონმა თამაზ თხელიძემ თანამდებობა დატოვა და მეშაქრეთა სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გახდა.

როგორც ირკვევა, დავის საგანი გახდა 1996 წლის 19 ივნისს გამართული შაქრის კომბინატის აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილება საწესდებო კაპიტალის გაზრდის, დამატებითი ინვესტიციების მოზიდვისა და აქციონერად შვეიცარული ფირმის „გლენკორის" მიღების შესახებ. ამავე წლის 16 აგვისტოს აქციონერმა თამაზ თხელიძემ სარჩელი შეიტანა ქარელის რაიონის სასამართლოში და მოითხოვა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება. მან თავის მოთხოვნას საფუძვლად დაუდო ის გარემოება, რომ კრების ჩატარების თაობაზე მისთვის არაფერი უცნობებიათ, წინასწარ არ გამოქვეყნებულა რეკომენდაციები განსახილველი საკითხების შესახებ, აქციონერთა კრებას არ ჰქონდა უფლება გაეზარდა საწესდებო კაპიტალი (ამ ოპერაციის წყალობით მისი აქციები 40-დან 20 პროცენტამდე შემცირდა) და სხვა.

ამას მოჰყვა სხვა დავები, რაც დაუსრულებელ სასამართლო პროცესში (იგი 17 თვეა გრძელდება) გადაიზარდა, ქვემოდან ზემოთ, ზემოდან ქვემოთ იტრიალა და გამოუვალ ჩიხში მოემწყვდა. მკითხველი რომ არ გადავღალო და გაზეთის ფურცლებიც არ გადავტვირთო, იმ სასამართლომანიიდან მხოლოდ რამდენიმე დეტალს მოვიტან:

– 1997 წლის 9 სექტემბერს უზენაესმა სასამართლომ შაქრის კომბინატიდან გააძევა საზოგადოების აქციონერი „გლენკორი", რის გამოც საწარმოს ნედლეულის მიწოდება შეუწყდა;

– იმავე წლის 7 ოქტომბერს უზენაესმა სასამართლომ ინვესტორ ანატოლი ილჩენკოს გაუყინა კუთვნილი აქციების ნახევარი და აუკრძალა ხმა მიეცა საზოგადოებაში დამატებითი ინვესტიციების მიზიდვისათვის;

– 1997 წლის 15 ოქტომბერს იმავე სასამართლომ შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით შეაჩერა თავის მიერ 7 ოქტომბერს მიღებული განჩინების აღსრულება;

– იმავე წლის 17 ოქტომბერს უზენაესმა სასამართლომ ანატოლი ილჩენკოს კვლავ გაუყინა კუთვნილი აქციების ნახევარი (!).

თავს უფლებას ვერ მივცემ რევიზია გავუკეთო (ეს ჩემს კომპეტენციაში არ შედის) სასამართლოს გადაწყვეტილებათა სისწორეს, ან მოდავეთაგან რომელიმეს მივემხრო, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ 1997 წლის 7 ოქტომბრიდან 17 ოქტომბრამდე უზენაესმა სასამართლომ ერთსა და იმავე საკითხზე სამი ურთიერთგამომრიცხავი გადაწყვეტილება მიიღო, ვფიქრობ, „ყურადღებას იმსახურებს".

და არა მარტო იმიტომ, რომ ეს გადაწყვეტილებები ურთიერთგამომრიცხავია. ამ ფონზე კარგად ჩანს ჩვენი სახელმწიფო, კერძოდ, სასამართლო ხელისუფლება რამდენად არის მზად უპასუხოს დღევანდელ განვითარებად სამეწარმეო ურთიერთობებს, დიდი წვალებითა და რუდუნებით აღორძინებული მეწარმეობა არ შეწიროს კანონის ფორმალურ მოთხოვნებს.

სხვისა არ ვიცი, მაგრამ აგარის შაქრის კომბინატის ეკონომიკა რომ შეეწირა სასამართლოს (თუ „კრიშებს") კაპრიზებს, ეს ფაქტია.

იქნებ ტყუილს ვკადრულობ? მოდით, ერთად გავუსწოროთ თვალი რეალობას. გაუთავებელმა სასამართლო პროცესმა (დღემდე 6 სასამართლო გაიმართა, კიდევ 2 სარჩელი განხილვის მოლოდინშია) კომბინატს უცხოელ პარტნიორებთან მოლაპარაკება არაერთგზის ჩაუშალა, რამაც საწარმოს სამი გემი ნედლეული დააკარგვინა, სახელმწიფო ბიუჯეტს კი 2 მილიონზე მეტი თანხა (თითოეული გემი ნედლეულის გადამუშავება სახელმწიფოს საშუალოდ 700 ათას ლარს აძლევს).

ქრონიკულ მოშლილობასა და პერმანენტულ გაჩერებებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ბოლო 4 თვეს კომბინატს „ხელი აღარ გაუნძრევია", არაფერი შეუქმნია არც საკუთარი თავისა და არც ქვეყნისათვის. არადა, მან დატვირთვით რომ იმუშაოს, შეუძლია წლიურად 100-110 ათასი ტონა შაქარი გამოუშვას (საქართველოს სულ 70-80 ათასი ტონა სჭირდება) და 5-5,5 მილიონი ლარის შემოსავალი მისცეს ხაზინას.



— რაზე დავობენ, ხომ არ იცი?
— ჩვენზე, უნდათ ქართული შაქრის გემო სამუდამოდ დაგვავიწყონ.

მხატვარი ვახტანგ კუცია.

ეს ყველაფერი იკარგება. დაიკარგა ბაზარიც, რომლის ხელახლა მოპოვება, ყველას კარგად მოეხსენება, რა სიძნელეებთან არის დაკავშირებული. არა და, აგარის შაქარი იყო თითქმის ერთადერთი ქართული პროდუქცია, რომელსაც ბაზარი მიჰყავდა, ბაზრის კონიუნქტურას თვითონ ქმნიდა. ისინი ახლაც ყიდიან დარჩენილ შაქარს, მაგრამ ბაზარი არ მიჰყავთ, მას უკვე სხვები დაეპატრონენ.

ეს მოხდა შარშან ზაფხულში, როცა ნედლეულით დატვირთული 2 გემი უკან გააბრუნეს და თურქებმა ჩვენი ბაზარი უმალ ხელთ იგდეს. ამას მოჰყვა ბელგიური, უკრაინული, ბულგარული პროდუქცია და ქართული ბაზარი კვლავ უცხოური შაქრით გაჯერდა. ვერ ვიტყვით, რომ ამან ბაზარზე შაქრის ფასი გაზარდა, მაგრამ პოზიცია რომ დავთმეთ, განა ეს ცოტაა? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რა პასუხს ვაძლევთ პენსიონერებს, ინვალიდებს, ლტოლვილებს – შაქრის რეალიზაციიდან ბიუჯეტში შესული თანხები ხომ მათ გაჭირვებას ოდნავ მაინც შეამსუბუქებდა. ახლა ეს თანხები მთლიანად საზღვარგარეთ გადის.

სამართალი მოწოდებულია იცავდეს მეწარმის უფლებებს, ეხმარებოდეს მას წინააღმდეგობების დაძლევაში, რომლებიც თან სდევს ჩვენში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებას. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში კი საწარმომ მისი წყალობით, რა მიღწევებიც ჰქონდა, ისიც დაკარგა.

დაზარალდა პერსპექტივაც. იმის გამო, რომ არ იციან წინ რა ელით, საწარმოს მესვეურები ვერავითარ გარიგებებს ვერ აწარმოებენ საზღვარგარეთელ პარტნიორებთან, ვერ გეგმავენ წარმოებას ისეთნაირად, რომ კომბინატი ხვალ უშაქროდ არ აღმოჩნდეს. ასეთ პირობებში აბსურდულია დავა საწარმოსთან – წაგებით რატომ მუშაობ ან აქციონერებს დივიდენდებს რატომ არ ურიგებო. ქარხანა, რომელიც დღეს ან უკეთეს შემთხვევაში 20 პროცენტის დატვირთვით მუშაობს, ბუნებრივია, ვერც მოგებას დააგროვებს და ვერც დივიდენდებს გასცემს.

რომელ დივიდენდებზეა ლაპარაკი, როცა კომბინატის გაჩერების გამო 400-მდე მუშაკი და ამდენივე ოჯახი ულუკმაპუროდ დარჩა (გვაკლდა ქვეყანაში უმუშევრები?). და განა მარტო ეს, აგარელ მეშაქრეთა მხრიდან საქმე და შესაბამისად ანაზღაურება მოაკლდათ ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებში, რკინიგზასა და ავტოტრანსპორტზე მომუშავე პარტნიორებს. იზარალა ქარელის რაიონის ბიუჯეტმაც, რომლის შემოსავლების 60 პროცენტს ეს კომბინატი იძლეოდა.

უფრო მეტსაც გეტყვით, გაუთავებელმა დავამ გაალიზიანა და გაანერვიულა მთელი დაბის მოსახლეობა, გაჩნდნენ მოდავე მხარეთა მომხრე და მოწინააღმდეგე ჯგუფები (ილჩენკოელები და თხელიძელები), რომლებიც ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდნენ. არის ამის ნიადაგზე ადამიანთა გატაცების მცდელობის, ღამით ქუჩაში თავდასხმის, ავტომანქანის დანაღმვის აღმაშფოთებელი ფაქტები.

ვინმემ რამე იღონა ამ უმსგავსობათა აღსაკვეთად? არავინ, მთელი ქვეყანა სეირის მაყურებლის როლშია. მხოლოდ პრეზიდენტმა გამოხატა თავისი პოზიცია, როცა ერთ-ერთ გამოსვლაში თქვა, რომ აგარის შაქრის კომბინატს, მის ხელმძღვანელობას მუშაობაში ხელს უშლიან. მაგრამ ვინ უშლის ხელს მუშაობაში, რატომ აქამდე ვერ დადგინდა?

პარლამენტიც გაჩუმებულია. რა თქმა უნდა, იგი სასამართლო პროცესში ვერ ჩაერევა, მაგრამ ამ გაუთავებელ დავაში ჩართული პარლამენტის ქვეკომიტეტის თავმჯდომარის „ბიზნესის" ბედით ხომ მაინც უნდა დაინტერესდეს?

ამიტომაც ბატონი თამაზ თხელიძე იძულებულია ჟურნალისტთა მომძალებულ ცნობისმოყვარეობას თვითონ გაუმკლავდეს პრესკონფერენციებზე, რომლებსაც არცთუ იშვიათად მართავს. ამ დღეებში მან ერთ ასეთ პრესკონფერენციაზე შაქრის კომბინატის მესვეურებს მილიონობით თანხების მითვისებაში დასდო ბრალი. რეალურ ფაქტებს ეყრდნობა ეს ბრალდება თუ მოგონილს, არავინ უწყის.

დეპუტატის ადვოკატმა კობა დავითაშვილმა კი განაცხადა, ყველა დიდ საწარმოს ჰყავს თავისი „კრიშა", რომელიც მას იცავს. ჩვენთვის ცნობილია, ვინ არიან ისინი, მაგრამ ამის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვებამდე თავს შევიკავებთ, შემდეგ კი აუცილებლად მივცემთ სათანადო შეფასებასო.

ვერ გეტყვით, რამდენად უხერხულად გრძნობენ თავს სახელმწიფო კანცელარიაში მოღვაწე „კრიშები" (ადვოკატმა ქვები მათი მისამართით ისროლა), მაგრამ ასეთი „კრიშებისა" თუ გაუთავებელი დავა-კინკლაობის წყალობით ჩვენი ეკონომიკა დღემდე წელში რომ ვერ გასწორდა, ამას ყველა ხედავს. ჯერ იყო და თოფიანმა ხალხმა გვიტირა ყოფა, ახლა კი ფულიანი ხალხი დაეპატრონა ქვეყანას და საწარმოებსა თუ მეწარმეებს კუდამდე ტყავს აძრობენ.

ღმერთო, შენ გვიშველე...

ოთარ ხუციშვილი.

P. S. გაზეთის ნომერი უკვე დასაბეჭდად იყო მზად, როცა რედაქციაში გვაცნობეს, რომ დამთავრდა დავა ერთ-ერთი ძირითადი სარჩელის გამო. 13 თებერვალს ქარელის რაიონის სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით გაყალბებულად ცნო 1994 წლის 18 ნოემბრის კრების ოქმი, სადაც საუბარია ილჩენკოს მხრიდან 25,5 პროცენტი აქციების დაბრუნების შესახებ. ამ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

კერძო აზრი

დედოზარი დარისხებულია, გამოჩნდება მშველელი?..

მთელი საზოგადოების სატკივარი, რომელიც შარშანდელმა რთველმა უფრო ნათლად გამოკვეთა

მთელი ჩემი ცხოვრება ქართული მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ შესწავლას მოვანდომე, და დღეს, როცა ვაზი – შვილივით ნაზარდი განწირულია, არა მაქვს უფლება, ისევე როგორც ყველას, გულდამშვიდებით ვიყო.

ვაზი და ღვინო ქართველთა ყოფასა და ცნობიერებაში უხსოვარი დროიდან უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა. ეროვნული ცხოვრების წესის ჩამოყალიბება, ტრადიციული წეს-ჩვეულებანი, ძირითადად, მეურნეობის ამ დარგით არის განპირობებული. უფრო მეტიც, საგანგებო მეცნიერული შესწავლით ნათელი გახდა, რომ საქართველოში მიწაზე კერძო საკუთრების წარმოშობა, ჯერ კიდევ კაცობრიობის ცივილიზაციის გარიჟრაჟზე თავის საცხოვრისში ქართველის დამკვიდრება ვაზის კულტურის მეოხებით მოხდა. მრისხანე, სისხლიან ათასწლეულთა მანძილზე ვაზი და ქართველი კაცი მხარდამხარ იდგა, გარეშე და შინაურ მტერს წარმატებით უმკლავდებოდა: ვენახი ყველა ეპოქაში ეკონომიკური კეთილდღეობისა და სულიერი სრულყოფილების დაუშრეტელი წყარო იყო.

საქართველოს ისტორიამ იცის შემაძრწუნებელი ფაქტები, როცა დამპყრობლები მოსახლეობის ამოწყვეტა-დატყვევება-აყრა-გადასახლებასთან ერთად ბაღ-ვენახებს კაფავდნენ და ეროვნულ, ინტენსიურ სოფლის მეურნეობას აჩანაგებდნენ, რათა საქართველოში ქართველი მოესპოთ და როდესაც დიდმა ილიამ ტევადი კითხვა დასვა – რა სასწაულმა გადაგვარჩინაო? თვითონვე უპასუხა: – სრულფასოვანმა ქართულმა ცხოვრების წესმა და სრულქმნილმა ეროვნულმა ეკონომიკამო. დღეს კი, როცა მეშვიდე წელიწადი იწურება, რაც დამოუკიდებლობას ნაზიარები ვართ, რა ღმერთი გვიწყრება?! რატომ ვტრიალებთ მოჯადოებულ წრეში და გამოსავალი ვერ გვიპოვია?!

XIX საუკუნის დასაწყისიდან, როცა საქართველოს სახელმწიფოებრიობა გაუქმდა და რუსეთის იმპერიის განაპირა ორ გუბერნიად ვიქეცით, ასეთი ხანგრძლივი დამოუკიდებლობა არასდროს არ გვქონია. გვყავს პრეზიდენტი, პარლამენტი, მთავრობა, მიმდინარეობს რეფორმები, თავი დავაღწიეთ უაზრო სამოქალაქო ომს, სისხლისღვრას, განუკითხაობას, ავაზაკობას, ძარცვა-გლეჯას და ა. შ. თუმცა ის, რაც გუშინ აშკარად ხდებოდა, დღეს ფარულად მიმდინარეობს, მაგრამ, უკეთესობისაკენ სვლა ხომ აშკარაა? რა თქმა უნდა, ოჯახურ ხელმოკლეობასა და სიდუხჭირეზე არ უნდა ვიწუწუნოთ, მით უმეტეს, რომ ხანდაზმულ ადამიანებს უარესიც გვინახავს, მაგრამ მეცნიერული სინდისი და პასუხისმგებლობა მაიძულებს, რაც კი ჩემი სპეციალობით, პრესაში იწერება, უყურადღებოდ არ დავტოვო, ჩემეული შეფასება მივცე. ვცდილობ მევენახეობა-მეღვინეობაზე დაბეჭდილი არც ერთი მასალა მხედველობიდან არ გამომრჩეს, ამიტომ განსაკუთრებული ინტერესით გავეცანი იყალთოს შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო აკადემიის რექტორის, ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრის გიორგი შათირიშვილის სტატიას: – „რთველი კარს მოგვადგომია..." („საქართველოს რესპუბლიკა", 1997, №230, 14 სექტემბერი, გვ. 1-2).

ამ ავტორს საქართველოში ყველა მოაზროვნე კაცი იცნობს. ის მართლაც ეროვნული მოღვაწეა, ამ ეპითეტის ამომწურავი გაგებით. ჩვენში ხელისუფალთა როგორი ცვლა არ უნდა იყოს, გოგი შათირიშვილი ყოველთვის თავისი მრწამსის ერთგული რჩება – უანგაროდ ემსახუროს ქართველ ერს. ეს ღვაწლმოსილი კაცი – თავისი საქმის შესანიშნავად მცოდნე, შარშანდელი რთველის დაწყების წინ, წამყვანი რესპუბლიკური გაზეთის ფურცლებიდან საგანგაშო ზარს რეკდა: იყალთოს ღვინის ქარხანა, რომელსაც ახლა სააქციო საზოგადოება – „იყალთო XII" ეწოდება, ადრე გადასამუშავებლად 5-6 ათას ტონა ყურძენს იღებდა. შარშან კი მხოლოდ 215 ტონა მიუღია – ერთი კილოგრამი 30 თეთრად, ლიტრი ღვინის წარმოება 87 თეთრი დაჯდომია, ღვინის საბაზრო ფასი კი 40-50 თეთრია.

მაინც არ იყიდება. ღვინო ჩაწვა არა მარტო ღვინის ქარხნებში, არამედ გლეხთა მარნებშიც. უბედურება ის არის, რომ ზოგიერთ თანამდებობის პირს ძვირფასი სასმელის ასეთი სიიაფე საკუთარ მიღწევად მიაჩნია და ყელყელაობს, თავს იწონებს. ვაი ჩვენი ბრალი – მიწათმოქმედი მიწისგან საკუთარი ნაოფლარის ანაზღაურებას რომ ვერ მიიღებს, მაშინ ხომ იგი მარჩენალ მამულს მოწყდება? ეს ხომ ქვეყნის დაღუპვაა და ვიღუპებით კიდეც...

მწარმოებელს უამრავი გადასახადი და მაღალი საგზაო ტარიფები აღრჩობს. სახელგანთქმული ქართული ღვინო საქართველოშივე გაუფასურდა, უცხოურმა ლუდმა, ათასი ჯურის გაყალბებულმა სასმელმა, საეჭვო ღირსების გამაგრილებელმა წყლებმა მას ფასით აჯობა და ლამის ბოლო მოუღოს. ახლო და შორეულ უცხოეთში მისი გატანა შეუძლებელი გახდა იმის მიუხედავად, რომ მოთხოვნილება ჯერ კიდევ დიდია. ბედის ირონიაა: ქართული ღვინის ფალსიფიკაციითა და წმინდა სახელის შებღალვით ბევრი მაქინატორი ჯიბეს ისქელებს, თვით ზოგიერთი სახელმწიფოც არ ერიდება ყალბისმქნელობას და ათეულ ათასობით დეკალიტრ ვითომდა „ქართულ ღვინოს" ასხამს... ქართველი მევენახე კი ულუკმაპუროდაა დარჩენილი და იობის ტანჯვაშია. მოშლილი ტექნიკა და მექანიზაცია, სათადარიგო ნაწილების უქონლობა, საწვავ-საცხები მასალების დეფიციტი, სიძვირე და უხარისხობა, შესაწამლი პრეპარატების კრიზისული უკმარობა, მათ შოვნა-მოპოვებაში სრული ქაოსი და განუკითხაობაა. ზოგჯერ საწამლავს ყიდიან, რომელიც ვენახების მასიურ მოსპობას იწვევს. არცთუ იშვიათად შაბიამანი ისეთი გაოხრებულია, წამლობას ყოველგვარი აზრი ეკარგება და ა. შ. ასეთი გაწამაწვის მიუხედავად, მოსავალი მაინც მოჰყავთ, მაგრამ მთავარი პრობლემა მისი გასაღებაა. მევენახის მძიმე, თავაუღებელმა შრომამ აზრი დაკარგა. მოგებას ვინ ჩივის, ჭირნახულის თვითღირებულებას ვერ ფარავენ... ამ დროს გიორგი შათირიშვილი ხელისუფლებას და მოყვასს გულწრფელად შეღაღადებს: – რთველი კარზე მოგვადგა და გვიშველეთ! არა, ვერავინ გაიგონა იყალთოდან „ყვირილი ხარისა"...

როგორც მოსალოდნელი იყო, შარშანდელმა რთველმა ხალხს ნუგეში ვერ მოუტანა. ამას მოწმობს თუნდაც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ყოველთვიური დამატება „დედოზარი" (№7, 16 ნოემბერი, 1997), რომელშიც კახეთის შარშანდელ რთველზეა საუბარი. მთელი საქართველოს გასაგონად აი, რას ამბობს თელავის გამგეობის თავმჯდომარე, საქვეყნოდ ცნობილი ქალბატონი მედეა მეზრიშვილი: – სოფელს მეტი თანადგომა სჭირდება. სიმართლე თქვენი საშუალებით უნდა მივიდეს ხელმძღვანელობამდე. თქვენც უნდა მოგვეშველოთ, თორემ ძალიან გაგვიჭირდა.

შაჰ-აბასი არ უზამდა ჩვენს ვენახებს ისეთ ვერაგობას, რაც ზოგმა ვაიხელმძღვანელმა უყო. გვაკრიტიკებენ, შარშან კრედიტი აიღეთ და ვალი ვერ დაფარეთო.

შარშან ჩვენი დიდი მცდელობითა და პრეზიდენტის დახმარებით, მართლაც, გადავარჩინეთ ვაზი გაკაფვისაგან. მოსახლეობისაგან 35 თეთრად შევისყიდეთ ყურძენი. გლეხებს თანხა დროზე მივეცით. გათამამებულმა მშრომელებმა წლეულსაც არ დააკლეს მოვლა-პატრონობა ვაზს, მაგრამ ახლა ჩვენი ქარხნები ყურძენს 20 თეთრადაც ვერ იბარებენ.

შარშანდელი ღვინო ჯერაც გასაყიდი გვაქვს. ღვინის გადასაზიდი ვაგონ-ცისტერნები დაიმტვრა. ბევრი მათგანი გაჩერებული და შესაკეთებელია.

ძირითადად, გასაღების ბაზრები ჩვენ რუსეთში გვქონდა. იცით, რომ ჩეჩნეთის ტერიტორიაზე გააჩერეს ქართული ღვინით დატვირთული ვაგონ-ცისტერნები? გვაბრკოლებენ რუსებიც. გვიანდება ბაზრამდე მიღწევა.

ვალსაც ამიტომ ვერ ვფარავთ, თანაც ღვინის დაყენებას ერთი წელი მაინც ხომ სჭირდება. ჩვენ მრავალწლიანი კრედიტი უნდა გამოგვიყონ, ასე ერთბაშად ვერ ავშენდებითო...

ვენახის მოვლისა და ღვინის დაყენების გარჯა-სიძნელეები გაუსაღებელმა პროდუქციამ გააფერმკრთალა.

გლეხობას არავითარი თანხა არ გააჩნია. ძველი დანაზოგი, გასაგები მიზეზების გამო, დაეკარგა, ახალი კი არ მოეპოვება. კიდეც რომ იშოვოს, ვერსად შეინახავს, მით უმეტეს, ვერ აამოძრავებს, სანდო სალარო აღარ არსებობს. სწორედ ამიტომ ყველგან უნდობლობის დამუხტული ვითარება სუფევს...

„საქართველოს რესპუბლიკის" იმავე დამატებაში, რუბრიკით – „გორდიას კვანძი" გამოქვეყნებულია საუბარი ლიქიორ-არყის ქარხნის დირექტორთან ჯემალ მესხთან. ეს ის ქარხანაა, რომელმაც ღირსეულად განაგრძო XIX საუკუნეში დავით სარაჯიშვილის მიერ დაწყებული საქმე. ქარხანა 60-იან წლებში თხუთმეტამდე სახეობის მილიონ დეკალიტრ ნაწარმს უშვებდა. ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი მოწონებით სარგებლობდა ქართული არაყი „ტარხუნა" და იქ ყოველწლიურად 700 ათას ბოთლს აგზავნიდა. მართლაც ბედის დაცინვაა; ახლა დაყენებული რეკლამით ალკოჰოლურ სასმელებს და თამბაქოს უცხოელები გვაძალებენ. ქართული თამბაქო – ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო, დამრეტილია, არყის და მისთანათა წარმოება უკანასკნელ დღეებს ითვლის. ქართულ ლუდს კბილით იცავენ, და ვნახოთ რა გამოვა, ვაზი და ღვინო განადგურების პირასაა. არც შინაო და არც საგარეო ბაზარი ამ ტრადიციულ დარგებს აღარ მოეპოვებათ. უნორმო ბეგარა-გადასახადები, ვაჭრობის მოუქნელი ორგანიზაცია, სახელმწიფოს მიერ ეროვნული ეკონომიკის სრული იგნორირება, ლეგალური თუ არალეგალური რეკეტი ყოველგვარ სასარგებლო წამოწყებას კვირტშივე სპობს. ვინც ქმნის, მეტად შეჭირვებულია, ვინც არ ქმნის, გალაღებულია და მეწარმეს ატყავებს. თუ ვინმე გაბედავს და ხმას ამოიღებს, რეფორმების წინააღმდეგ ქმედებას დასწამებენ და პოლიტიკური ობობას ქსელში გახვევენ... მიუხედავად ამისა, ბატონი ჯემალ მესხი საქვეყნოდ აცხადებს: „დავსხდეთ ცივი გონებით და გავარჩიოთ მტყუან-მართალი, პირისპირ შევაჯეროთ პრობლემების გადაწყვეტის გზები. ჩვენ არ ვართ წინააღმდეგი იმპორტისა, მაგრამ დაბეჯითებით მოვითხოვთ მის შეზღუდვას. ჩვენს ქვეყანას არ სჭირდება არყის, ღვინის, შამპანურის და ბრენდის იმპორტი. თანახმა ვართ, შემოიტანონ „ჯინი" და „ვისკი", რომელთაც ჩვენი მრეწველობა არ ამზადებს, ისიც გარკვეული კვოტით. ჩვენ უკეთესი გვაქვს არაყიც, ღვინოც, შამპანურიც და ბრენდიც, ვიდრე იმპორტიორებს შემოაქვთ".

ამ რამდენიმე დღის წინათ საგადასახადო სამსახურმა „თბილისის ბაზრების შემოწმებისას გამოავლინა, რომ 89 პროცენტი იმპორტული პროდუქციაა, ხოლო 11 პროცენტამდე – ადგილობრივი. ბიუჯეტის შემოსავალიც ბუნებრივია მცირეა.

ასეთ პოლიტიკას ატარებენ ჩვენი ეკონომიკის მესაჭეები და ზოგიერთი უძღები შვილი. ასამარებენ ადგილობრივ წარმოებას და ფართოდ უღებენ კარს სხვა ქვეყნების სანაგვე ყუთში გადასაყრელ „პროდუქციას". ალბათ, ასეთი პოლიტიკის გამტარებლებს საზოგადოება განსჯის, განსჯის მათ, ვინც თავისი მოქმედებით სამუშაო ადგილებს ქმნის უცხო ქვეყანაში და თავისი ხალხი უმუშევრად, მათხოვრად აქცია..

ფალსიფიკატორებს და იმპორტიორებს რატომღაც განუწყვეტელი მწვანე შუქი აქვთ ანთებული. „მარტო ის ფაქტიც საკმარისია, რომ შვიდი თვის განმავლობაში სამჯერ შეცვალეს საკონტრაქტო ფასები იმპორტზე, რომლითაც კიდევ უფრო გაუადვილეს მუშაობა იმპორტიორებს, ბიუჯეტის საზიანოდ", – გულმოკლული აცხადებს ბატონი ჯემალ მესხი და განაგრძობს: – „ქვეყანაში ასეთი ღონისძიება შეიძლება გატარდეს მაშინ, როცა ბაზარი ამ პროდუქციის დეფიციტს განიცდის.

ასეთი ეკონომიკური პოლიტიკის წყალობით, მიზანმიმართულად ნადგურდება ადგილობრივი წარმოება".

ციტირება კიდევ შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობ, საკმარისია. მეტი რაღა უნდა თქვას და დაწეროს მეწარმემ, რომელსაც მთლიანად გააზრებული აქვს იმ სიდუხჭირის ჯაჭვის რგოლები, რომლის მეშვეობით ხალხის გალატაკებისა და უკანასკნელი ლუკმის წართმევის ხარჯზე შავ, ბინძურ ფულს იხვეჭს ზოგიერთი ჩვენი გალაგვარებული თანამემამულე. კორუფციის ბადეში გახვეული ხელისუფლება კი უძლურია ეს ეროვნული ბოროტება აღკვეთოს. გეთანხმებით, ფრიად მძიმე სურათია დახატული და თითოეულ ჩვენგანს გვაწუხებს საჩოთირო კითხვა:

– მაინც ვინ არიან ეს ყოვლისშემძლენი, რომლებიც საკუთარი ჯიბის გასქელებას სწირავენ ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებს?

ანტიკური ეპოქისა და რუსეთის ისტორიის მოღვაწეებით ჩვენებურ მძლეტელ-მომხვეჭელ, მექრთამე-ქვაბავაზაკთა, გარეწარ-ნაძირალათა მთელი გალერეა შექმნა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს" მთავარმა რედაქტორმა და აწ მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, ცნობილმა კრიტიკოსმა თამაზ წივწივაძემ. არა მარტო ნიღაბი ჩამოხადა, გაამიშვლა ისინი, მაგრამ, ჯერჯერობით ამაოდ დაშვრა... ბაღლინჯოსავით ხალხის სისხლით სტომაქგატიკნილი კაცუნები თავიანთი ნაძიერებით შინ და გარეთ გრიალებენ; ქედმაღლურად ექცევიან, უკანასკნელ საარსებო სახსარს ართმევენ სასომიხდილ, ხელგაწვდილ სამშობლოს. მარაგზის ყაჩაღებს ბიზნესმენებად მოაქვთ თავი და არავითარ სინდისის ქენჯნას არ გრძნობენ.

ამ ზაფხულს მოულოდნელად გარდაცვლილმა, გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა გურამ ფანჯიკიძემ სტატიაში, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა, არსებული ვითარების შემდეგი შეფასება მოგვცა:

„დაკანონდა, ანუ კანონიერ ფულად იქცა გუშინ უკანონობით, ხალხის ძლეტვით, სახელმწიფოს ძარცვით მოპოვებული ფული. ცნება საქმოსანი საქმიანმა კაცმა შეცვალა, სპეკულანტი – ბიზნესმენმა და ა. შ. გუშინდელი ქურდი და ფალსიფიკატორი დღეს საპატიო ბიზნესმენად აღიარეს. მათ ხელშია ახლა ეკონომიკის სადავეები, ბიზნესი, პრივატიზებული ობიექტები.

საბჭოთა კავშირის შემდეგ ჯერ საბჭოთა ბანკებმა და შემნახველმა სალაროებმა ჩასცა ლახვარი მოსახლეობას. მათ სოკოებივით მომრავლებული ქართული ბანკებიც არ ჩამორჩნენ. უკანასკნელ კაპიკამდე გაატყავეს და გაყვლიფეს ისედაც სიღატაკისათვის განწირული ხალხი. როცა ტელევიზიაში და პრესაში ამ ბანკების რეკლამებსა და დაპირებებს ბოლო არ უჩანდა, სახელმწიფოს მესვეურთაგან არავის მოსვლია აზრად ხალხი გაეფრთხილებინა, აფერისტების ანკესზე არ წამოეგოთო" (გ. ფანჯიკიძე, საით მიდის საქართველო, „საქართველოს რესპუბლიკა", 1997, №271, 31 ოქტომბერი, გვ. 4).

უკეთესად ვერ იტყვი. მწერალმა თითოეული ჩვენთაგანის გულისთქმა მართალი პუბლიცისტური სიმძაფრით გამოხატა.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ „ჰომო საპიენსს" წინ უსწრებდა „ჰომო ფაბერი" – მწარმოებელი, ბუნებასა და თანამოძმეებს მტრად მიმდგარი, ენერგიული ადამიანი. ეტყობა, ჩვენს შორის მისი პირდაპირი შთამომავალი საკმაოდაა შემორჩენილი. ისინი ხალხის სულისამოხდით და ქვეყნის იავარქმნით მილიონებს იხვეჭენ და საქართველოში სანდო ბანკი რომ არ მოიპოვება, ნაძარცვ-ნატყუებს საზღვარგარეთ მიაქვთ.

გეთანხმებით, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ქართული ვაზი, ე. ი. საქართველო რომ გადარჩეს, თითოეული სინდისგარეცხილი და სულგაყიდული უნდა გამოვაავლინოთ და პასუხი მოვთხოვოთ. ეს არც ისე ძნელია, ყველაფერი ღიად, ახდილად, ჩვენს თვალწინ ხდება! როგორც მახსოვს, ჩვენს მშრომელებს შემნახველ სალაროებში 8 მილიარდი საბჭოთა მანეთი ჰქონდათ შენახული. სხვა უამრავ დანაკარგს რომ თავი დავანებოთ, ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობას მარტო ეს თანხა რომ მოხმარებოდა, ასეთ გაუსაძლის მდგომარეობაში აღარ აღმოვჩნდებოდით. ვიდრე გვიან არ არის, დავირაზმოთ და საყოველთაო განსჯისათვის სრულიად საქართველოს ეროვნული ყრილობა მოვიწვიოთ, სადაც ერისა და სამშობლოს მტრებს ვამხელთ. ხალხის რისხვა ბოლშევიკურ რეპრესიებს არ დაემსგავსება. გავიხსენოთ, ისიც უდროოდ დაღუპული, დიდებული ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძის უარყოფითი გმირები თითოეულ შემხვედრს დაჭერას და დასჯას რომ ეხვეწებიან. აი, სწორედ ასეთ დღეში უნდა ჩავაგდოთ ჩვენი „უძღები შვილები"...

და ბოლოს, მკითხველს შევახსენებ, რომ გიორგი შათირიშვილი ჩვენთვის უკვე ცნობილ მის წერილში, საკითხს სვამს ქართული ვაზისა და ღვინის გადასარჩენად რაიმე ორგანო, გაერთიანება შეექმნათო. ამაოდ გავირჯებით, ჩემო გოგი. ჩამოვთვალოთ თავიდან: საქართველოს პარლამენტში არსებობს აგრარული კომიტეტი. რამდენადაც ვიცი, სახელმწიფო კანცელარიაშიც კურირებენ ამ დარგს, ხოლო სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში არის მევენახეობის საგანგებო სამმართველო, კვლავ მოქმედებს რესპუბლიკური გაერთიანება „სამტრესტი". ყველგან საქმის მცოდნე, კომპეტენტური სპეციალისტები მუშაობენ, მაგრამ გათითოკაცებულები არიან. იქნებ, გოგი ბატონო, შენებურად იყალთოს აკადემიის მხცოვან მიწაზე შეკრიბო სახალხო სამსჯავროზე ქართული მევენახეობა-მეღვინეობის მესვეურები, სადაც თავანკარა სიმართლე დაღვინდება და განუკითხაობას ბოლო მოეღება. ღმერთი მხოლოდ მას ეხმარება, ვინც გადარჩენას ცდილობს...

ლევან ფრუიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აიაჩოში კორსიკის პრეფექტის კლოდ ერინიაკის მკვლელობის შემდეგ 15-ათასიანი დემონსტრაცია გაიმართა ქვეყანაში დამნაშავეობისა და ძალადობის თარეშის წინააღმდეგ.

ბუნებრივია, მასალათა გამძლეობას პორნოგრაფია ურჩევნიათ

პოლანდიის უნივერსიტეტების სტუდენტებმა პირველ კურსზე ჩარიცხვის წინ რექტორატს უნდა წარუდგინონ ხელწერილი, რომ მათ არ აინტერესებთ პორნოგრაფია. დპა სააგენტოს ინფორმაციით, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ასეთ ღონისძიებებს მიმართავს იმის გამო, რომ სტუდენტთა უმრავლესობა სასწავლო კომპიუტერებს პირადი მიზნისთვის იყენებდა. ძირითადად, ისინი ეძებდნენ პორნოგრაფიულ სერვერებს ინტერნეტის ქსელში და უკავშირდებოდნენ სექსის თემაზე პარტნიორებს მთელ მსოფლიოში. ბუნებრივია, ამის შემდეგ სტუდენტებს სამეცადინო დრო არ რჩებოდათ. გარდა ამისა, უნივერსიტეტები უარს აცხადებენ, უხადონ ინტერნეტს ქირა სტუდენტთა გასართობად. ახლა, იუწყება სააგენტო, კომპიუტერებისა და ინტერნეტის სექსუალური მიზნით გამოყენება სტუნდენტებს შეიძლება არა მარტო სტიპენდიის, არამედ დიპლომის ფასადაც დაუჯდეთ.

„IBM“-მა ჩინურიც იცის!

„იბმ“ კორპორაცია ქმნის კომპიუტერს, რომელსაც შეუძლია, სმენით აღიქვას ჩინური ენა, უფრო ზუსტად, მისი მანდარინული დიალექტი, იუწყება აპა სააგენტო. სწორედ ჩინური დარჩა სულ ბოლო მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული ენებიდან, რომელსაც დღემდე ვერ აღიქვამდნენ კომპიუტერები. ამის ძირითადი მიზეზი იყო სიტყვების მნიშვნელობის დამოკიდებულება ხმის ტემბრზე. მაგალითად, სიტყვა „მა“, წარმოთქმული ფალცეტით, ბასით ან ბარიტონით, ნიშნავს, შესაბამისად, „დედას“, „ცხენს“ ან კითხვის ნიშანს. მეცნიერები სამ წელიწადს იტანჯებოდნენ, სანამ გაარჩევინებდნენ კომპიუტერს ამ განსხვავებას. ახლა კი, როგორც სააგენტო იუწყება, მსოფლიოში არ დარჩენილა პრაქტიკულად არც ერთი ენა, რომელიც „იბმ“ კორპორაციის მანქანებს არ ესმოდეთ.

ნამუსზე შეგდება?

მასაჩუსეტსის შტატის გადასახადისა და მოსაკრებლის დეპარტამენტი იძულებულია, ნამუსზე შეაგდოს მშობლები, რომლებიც ბოროტად არიდებენ თავს ალიმენტის გადახდას, წერს „იუ-ეს-ეი თუდეი“. 1650 დედიკო და მამიკო მიიღებს თავისი დავიწყებული შვილების დაბადების დღეს ღია ბარათს – „გილოცავთ“. ტექსტი დაახლოებით ასეთი იქნება: „დღეს თქვენი შვილის დაბადების დღეა. ბავშვებისათვის კი ეს განსაკუთრებული დღესასწაულია. გვენდეთ, თქვენ ახლა მას განსაკუთრებით აკლიხართ“. მოსამსახურეები იმედოვნებენ, რომ ასეთი ბარათები გულს აუჩუყებენ „ალიმენტის ბოროტ გადამხდელებს“, და შეახსენებენ, რომ მათ სადღაც ჰყავთ შვილები, რომელთაც დახმარება და მხარდაჭერა სჭირდებათ.

რა შუაშია აშარი დედაკაცების საჩივრები ნობელის პრემიასთან?

წელს ნობელის პრემიის მიღების კანდიდატთა რეკორდული რაოდენობა აღირიცხა, იუწყება დპა სააგენტო. ამ პრესტიჟული საერთაშორისო პრემიის საორგანიზაციო კომიტეტმა რეგისტრაციაში გაატარა 130-ზე მეტი ლაურეატობის კანდიდატი. სააგენტო აღნიშნავს, რომ ნობელის კომიტეტმა უარი თქვა სხვა მონაცემების გამოქვეყნებაზე. ერთადერთი კანდიდატი, რომლის სახელმაც გამოჟონა პრესაში – ეს არის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბილ კლინტონი. მაგრამ, სააგენტოების აზრით, სწორედ კლინტონს ყველაზე ნაკლები შანსი აქვს მშვიდობის პრემიის მიღებისა სექსუალური სკანდალების გამო. ნობელის ლაურეატთა სახელები ნოემბერში გამოირკვევა, ხოლო დაჯილდოების ცერემონია გაიმართება 10 დეკემბერს, ალფრედ ნობელის დაბადების დღეს.

სამხრეთ კორეის მცხოვრებნი ყოველნაირად ცდილობენ, დაეხმარონ მთავრობას ეკონომიკური კრიზისის დაძლევაში. მოსახლეობა აბარებს ოქრო-ვერცხლსა და თვალ-მარგალიტს, რის სანაცვლოდაც ფულის ნიშნებს იღებს.

ჩეხეთში „წამლის“ პრობლემა აღარ ექნებათ

ჩეხეთი შეიძლება სულ მალე შეემატოს იმ სახელმწიფოთა რიგებს, სადაც თავისუფლად იყიდება ნარკოტიკი. დპა სააგენტოს ინფორმაციით, ჩეხეთის ხელისუფალნი სერიოზულად განიხილავენ შესაძლებლობას, შემოიღონ კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკების ვაჭრობა ზოგიერთი ევროპული სახელმწიფოს მაგალითისამებრ. ჩეხეთის მოქალაქეთა შორის მოწყობილმა სოციოლოგიურმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ უმრავლესობა მხარს უჭერს მთავრობის ასეთ ინიციატივას. ამრიგად, უკვე უახლოეს ხანს შეიძლება მოველოდოთ შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მიღებას და ჩეხი ნარკომანებისათვის ახალი ხანის დაწყებას.

მთავარია, რევიზორმა მგზავრებს კოცნა აკმაროს!

ჩრდილოეთ გერმანიის შლეზვიგ-ჰოლშტაინის მხარის რკინიგზების სამმართველომ დააწესა სპეციალური შეღავათი მიჯნურებისათვის, იუწყება ასოშიეიტედ პრესის სააგენტო. ორიგინალური წინადადება მთელი თვის განმავლობაში იმოქმედებს. 20 თებერვლიდან რკინიგზის ბილეთის ნახევარ ფასად აღებისათვის შეყვარებულებმა მოლარის დასანახად მხურვალედ უნდა აკოცონ ერთმანეთს. ფასჩამოკლების უფლება მათ უნდა დაამტკიცონ გზაშიც, ანუ დაიწყონ კოცნაობა გოროში რევიზორების პირველივე მოთხოვნისთანავე.

ერთმა ვირთაგვამ მთელი აეროდრომი დაატერორა

პაერნაოსნობის მთელი ისტორიის მანძილზე ყველაზე კურიოზული ტერორისტი უვნებელყო შვეიცარიის ავიაკომპანიამ „სვისეირმა“, იუწყება დპა სააგენტო. ორი დღის მანძილზე აეროპორტში ჰყავდა ოკუპირებული აერობუსი ჩვეულებრივ ვირთხას. იგი ავიაკომპანიის თანამშრომლებმა შენიშნეს იმ მომენტში, როდესაც ვირთხა ტრაპიდან თვითმფრინავის ღია კარში შევარდა. ამის შემდეგ „ბოროტმოქმედი“ მაშინვე გაუჩინარდა ლაინერის მრავალრიცხოვან ნაკვეთურებში. ეს რომ გაიგეს, ეკიპაჟის წევრებმა და აეროდრომის სადისპეტჩერო სამსახურმა, კატეგორიული უარი თქვეს თვითმფრინავის რეისში გაშვებაზე. სპეციალისტთა თქმით, ხმაურითა და ვიბრაციით დაფეთებულ ვირთხას შეეძლო დაეწყო სადენების ან მოწყობილობის ღრღნა, რაც სავალალო შედეგებს მოუტანდა როგორც თვით თვითმფრინავს, ისე მის მგზავრებსაც. ტერორისტის დაჭერა შეძლეს მხოლოდ ორი დღის შემდეგ, ისიც, ყველაზე თანამედროვე სანიტარიული მოწყობილობის გამოყენებით.

აშშ: პატიმრებს „სნიკერსებს“ არ აკლებენ

ორეგონის შტატის ჯექსონის საოლქო საპატიმროში აშკარად ტკბილეულის მოყვარულებმა მოიყარეს თავი, წერს „იუ-ეს-ეი თუდეი“. ტუსაღები შეიპარნენ საპყრობილის სასურსათო საწყობში და იქიდან გამოიტანეს მთელი ყუთები, რომლებშიც იყო „სნიკერსი“ და სხვა ნაირ-ნაირი შოკოლადები. ეტყობა, პატიმრებმა ერთბაშად გაავლეს მუსრი მთელ საკონდიტრო ნაწარმს, ვინაიდან საკნების ჩხრეკის შედეგად ტკბილეულის ნიშან-წყალიც კი არ აღმოჩნდა.

უშველის მხურვალე ლოცვა უზბეკთა გაჭირვებას?

გაქრისტიანებული ნარმართები კუდიანებს ვერ ელევიან

პაპუა-ახალ გვინეაში ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებლებმა ლინჩის წესით გაასამართლეს ქალები, რომლებსაც ჯადოქრობა დასწამეს, იუწყება როიტერის სააგენტო. უბედური ქალები, რომლებიც ვითომდა ადამიანებსა და ღორებს იტაცებდნენ თავიანთი შავბნელი რიტუალების აღსასრულებლად, ნაჯახებითა და ხანჯლებით დაჩეხეს. რაიონის პოლიციის უფროსს, რომელმაც ექვსი კაცი დააკავა მკვლელობის ბრალდებით, თვითონაც ღრმად სწამს, რომ ამ ქალებს „ემმა შეუჯდათ“. ბაკლი იარუმეს თქმით, „ეს კუდიანები ხოცავდნენ ადამიანებს. ასე რომ, მოკლულთა ნათესავეებმა თავად აღასრულეს მართლმსაჯულება“. როგორც როიტერი აღნიშნავს, პაპუა-ახალი გვინეის მცხოვრებთა უმრავლესობა ქრისტიანობის მიმდევარია, მაგრამ განათლებულ ადამიანებსაც კი კელავინდებურად სწამს ჯადოქრობისა და ეშინიათ მისი ძალისა.

რუსეთში ნარკომანია – ტოქსიკომანიის ტალღა აგვირთდა

რუსეთში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 3,5-ჯერ გაიზარდა ნარკოტიკების მომხმარებელ პირთა რიცხვი. სპეციალისტთა გამოანგარიშებით, 1999 წლისათვის ნარკომანთა რაოდენობა სამ მილიონს გადააჭარბებს. ამავე დროს, თუ გავითვალისწინებთ იმათ, ვინც ტოქსიკომანია, მაშინ რუსეთში ნარკოტიკების მომხმარებელ ადამიანთა რიცხვი 10 მილიონს აღწევს.

რუსეთის ფედერაციის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მონაცემებით, რუსეთელი ნარკომანები სწრაფად გადადიან „მსუბუქიდან“ „მძიმე“ ნარკოტიკებზე. თუ 1996 წლის იანვარ-ივნისში ნარკომანთა შორის ჰეროინუმის მომხმარებელთა რიცხვი 28 პროცენტს შეადგენდა, 1997 წლის ამავე პერიოდისათვის უკვე 74 პროცენტს მიაღწია. ქრონიკულ ნარკომანთა დიდი უმრავლესობა 30 წლის ასაკს ვერ აღწევს.

მედიკოსთა განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ნარკოტიკები სულ უფრო ხელმისაწვდომი გახდა ახალგაზრდობისათვის. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ნარკომანია მოზარდთა შორის 8-ჯერ გაიზარდა. მაგალითად სანქტ-პეტერბურგში ყოველმა მეხუთე მოსწავლემ იგემა ნარკოტიკები. ამურისპირეთში ახალგაზრდების 50 პროცენტი ნარკომანიით არის დაავადებული. მოსკოვის ბევრ უმაღლეს სასწავლებელში ნარკომანია სულ უფრო აშკარა ფორმას იძენს.

ნარკოლოგიურ დისპანსერთა ექიმების ინფორმაციით, რუსეთში იკურნება, ანუ უნარკოტიკოდ წელიწადზე მეტს ძლებს ნარკომანთა მხოლოდ 5-6 პროცენტი. ამავე დროს, ეს მონაცემები უწინარეს ყოვლისა, დიდ ქალაქებთან არის დაკავშირებული. დანარჩენ რეგიონებში განკურნების შანსი პრაქტიკულად არ არსებობს სპეციალიზებული დახმარების უქონლობის გამო.

მომუშავე ქალი: ან დაწინაურება ან დაორსულება

ქალს, რომელიც მეტისმეტ მუყაითობას იჩენს სამუშაოზე, შეუძლია გაიკეთოს კარიერა, მაგრამ, ამასთან არსებითად კლებულობს მისი დაორსულების შანსი. ტაილანდის უნივერსიტეტის მეცნიერთა ამ დასკვნას იუწყება როიტერის სააგენტო. ქალებს, რომლებიც კვირაში 71 საათზე მეტხანს მუშაობენ, გაცილებით უფრო ნაკლები უნარი აქვთ ბავშვის ჩასახვისა, ვიდრე მათ ნაკლებად გამრჯე კოლეგებს. ეს ფენომენი არ არის დამოკიდებული არც სექსუალურ აქტიურობაზე, არც სქესობრივი ლტოლვის შერყებაზე და არც ასაკზე. მეცნიერები არაფერს ამბობენ ჯანმრთელობაზე ასეთი „ქანცგამცლელი“ სისტემის ზოგადი გავლენის შესახებ და არ ამხელენ, იანგარიშება თუ არა შინ მუშაობის საათები, მაგრამ აცხადებენ, რომ თავიანთ კვლევას განაგრძობენ. ჯერ კიდევ დასაზუსტებელია, რა კონკრეტული პროფესიები ახდენენ გავლენას შვილოსნობის უნარზე. როგორც ჩანს, ზოგიერთი პროფესია უბრალოდ არ არის რეკომენდებული ქალისათვის, რომელიც აპირებს ნორმალურად ჩაისახოს ბავშვი და მოილოგინოს.

ერაყის ირგვლივ



ისრაელში ჩაიტანეს ტონობით აირწინაღები იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა, ერაყმა განახორციელა ქიმიური ან ბაქტერიოლოგიური იერიში, იუწყება ფრანს პრესის სააგენტო. გერმანიამ, ნიდერლანდმა, შვედეთმა და შეერთებულმა შტატებმა უკვე 450 ათასი აირწინაღი გამოგზავნეს. ვაშინგტონის იმ განცხადებასთან დაკავშირებით, რომ ერაყს დარტყმას მიაყენებენ არა უადრეს ამ კვირისა, ისრაელმა შეაჩერა აირწინაღების დარიგება. შეერთებული შტატებიდან მოელიან, აგრეთვე, ანტიბიოტიკებსა და ვაქცინებს, რომლებიც ახშობენ ქიმიური და ბაქტერიოლოგიური აგენტების მოქმედებას. მედიკამენტების მარაგი ამერიკის სამხედრო ბაზების საწყობებშია და თუ საჭირო გახდა, ერთ დღეში ჩაუტანენ. თუმცა, ბაღდადიდან მოვიდა ოფიციალური განცხადება, რომ ერაყს არც ქიმიური იარაღი გააჩნია და არც აპირებს „წმიდა მიწაზე“ თავდასხმას. ისრაელის ხელისუფალნი უარესისათვის ემზადებიან. ისრაელმა უკვე განიცადა ერაყის მხრივ დაბომბვა 1991 წლის ომის დროს. მაშინ, თელ-ავივს დააყარეს ჩვეულებრივქობინიანი 39 „სკად“ რაკეტა, რის შედეგადაც დაიღუპა ორი და დაიჭრა რამდენიმე ასეული კაცი.

* * *

სპარსეთის ყურეში მომწიფებული სამხედრო კონფლიქტი სერიოზულ საფრთხეს უქადის ისრაელის ტურისტულ ბიზნესს, წერს ამერიკული გაზეთი „ლოს-ანჯელეს ტაიმსი“. უკვე დაცარიელდა მეწამული ზღვის კურორტები, სასტუმროს ადმინისტრაცია ამცირებს მომსახურე პერსონალის რაოდენობას და თანამშრომლებს შვებულებაში ისტუმრებს. დღითი-დღე კლებულობს მლოცველთა რიცხვი. ტურისტები და აქ მომუშავე უცხოელები მზად არიან, ზედმეტი მისცენ ავიაბილეთში, ოღონდ რაც შეიძლება მალე დატოვონ ქვეყნის სახიფათო რაიონები. ისრაელის ტურიზმის სამინისტროს მიაჩნია, რომ უახლოეს ხანს ქვეყნის ტურისტულ ბიზნესს ღრმა კრიზისი დაუდგება. 1996 წელს ისრაელში იყო ორ მილიონ-ნახევარი ტურისტი, წელს კი ეს ციფრი შეიძლება რამდენჯერმე შემცირდეს. ტურისტებს ეშინიათ, არ ამოჰყონ თავი საბრძოლო მოქმედების ზონაში და საფრთხეში ჩაიგდონ სიცოცხლე საკუთარი ხარჯით, წერს გაზეთი.

* * *

სადამ ჰუსეინმა გადაწყვიტა, გადაარჩინოს ქვეყნის საუკეთესო მეცნიერ-სპეციალისტები, წერს „ტაიმსი“. არაბთა დიპლომატიური წრეებიდან მიღებული ინფორმაციით, 50-ზე მეტი მიკრობიოლოგი და სხვა მეცნიერი გაიგზავნა ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში, სავარაუდოდ, ლიბიასა და ალჟირში. ამას, გაზეთის აზრით, ადასტურებს ერაყის ვიცეპრემიერის ვიზიტი ალჟირსა და სხვა ქვეყნებში მათი მხარდაჭერის შეპირების მიზნით. მეცნიერები, წერს გაზეთი, ქვეყანაში რამდენიმე თვის შემდეგ დაბრუნდებიან. იმისათვის, რომ მეცნიერთა წინაშე არ წარმოიშვას ცდუნება, ითხოვონ თავშესაფარი ერაყისადმი მტრულ ქვეყნებში, მათ ცოლ-შვილი სამშობლოში დაატოვებინეს. დასავლეთის დაზვერვის მონაცემებით, რამდენიმე ერაყელი მეცნიერი უკვე ეხმარება ლიბიის ლიდერს მომამარ კადაფის ბიოლოგიური იარაღის შემუშავებაში.

* * *

ისრაელის არმიის სარდლობამ მიიღო გადაწყვეტილება, დაუშვას სამხედრო ექიმი ქალები საბრძოლო მოქმედების ზონაში, იუწყება ისრაელის გაზეთი „გაარეტცი“. ახლა ექიმი ქალები დახმარებას გაუწევენ დაჭრილ მებრძოლებს მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე და გახიზნავენ მათ მშვიდობიან ზონებში. სულ მალე ოფიცერი ქალები გაემგზავრებიან სამხრეთ ლიბანში. შესაძლოა, ახალი განკარგულება ნაწილობრივ დაკავშირებული იყოს სპარსეთის ყურეში კრიზისის გამწვავებასთან. ქალთა რიცხვი ისრაელის სამედიცინო და სხვა ჯარებში გამუდმებით იზრდება. შარშან გაიხსნა სამხედრო მფრინავთა მოქმედების სპეციალური კურსები, ასე რომ, სამხედრო მოსამსახურე ქალთა მონაწილეობა საბრძოლო მოქმედებაში სრულიად სამართლიანია ქვეყანაში, სადაც ჯარში გაწვევას ექვემდებარებიან როგორც ჭაბუკები, ისე ქალიშვილები.

* * *

ამერიკელთა პატრიოტიზმს, ჭეშმარიტად, არ აქვს საზღვარი. სპარსეთის ყურეში მყოფი ხომალდის „კარნის“ მეზღვაურების ბებიამ დაიწყო ოპერაცია „ფეხის დათბუნება“. ირენ სილიმანმა უკვე მოქსოვა და გაუგზავნა შვილიშვილს 100 წყვილი სხვადასხვა ფერის შალის წინდა. ირენს განზრახული აქვს, ეკიპაჟის 400-ვე წევრს მოუქსოვოს წინდები. როდესაც მან ადგილობრივ გაზეთში თავისი აქციის დაწყება გამოაცხადა, საქსოვ ჩხირებს ხელი მოჰკიდა კიდევ 50 მოხალისემ. ასე რომ, სპარსეთის ყურეში მყოფი ყველა ავიამზიდის მეზღვაურებს მოამარაგებენ წინდებით. როგორც ირენ სილიმანს მიაჩნია, ერაყის ნაპირებთან მყოფმა ამერიკელმა მეზღვაურებმა უნდა იცოდნენ, რომ მათზე ზრუნავენ.

სურათზე: ვაშინგტონი სულ უფრო აძლიერებს სამხედრო ყოფნას სპარსეთის ყურეში. აქ თავმოყრილ ხომალდებზე მიმდინარეობს აქტიური მზადება ერაყის დასაბომბად.

როდის გადმოვლენ ტამაგოჩები მავზოლეუმში?

ბულგარელ კომუნისტთა ლიდერის გიორგი დიმიტროვის ყოფილი მავზოლეუმი, შესაძლოა, გახდეს ვირტუალური სათამაშო ცხოვრების — ტამაგოჩების უკანასკნელი მიწიერი სავანე, წერს „დეილი ტელეგრაფი“. პრეცედენტი უკვე შეიქმნა: მავზოლეუმში ამ რამდენიმე დღის წინათ აღმოაჩინეს ჯერჯერობით პირველი და ერთადერთი ტამაგოჩის საფლავი.

შინდლერს სიაში თავისი ცოლი გამორჩა

არგენტინის მთავრობამ პერსონალური პრემია დაუნიშნა ემილია შინდლერს, ფილმ „შინდლერის სიის“ მთავარი გმირის პროტოტიპის ქვრივს, იუწყება ასოშიეიტედ პრესის სააგენტო. არგენტინის პრეზიდენტის კარლოს მენემის ბრძანებულებით, ოსკარ შინდლერის 90 წლის ქვრივი ყოველთვიურად მიიღებს დამატებითს პენსიას 1000 დოლარის ოდენობით. შინდლერს პატივს მიაგებენ როგორც გმირს იმისათვის, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტური საკონცენტრაციო ბანაკებიდან დაიხსნა 1300 პოლონელი ებრაელი. მაგრამ, ქვრივის თქმით, კერძო ცხოვრებაში შინდლერი სულაც არ იყო ასეთი სათნო. იგი ხშირად ღალატობდა ცოლს, ხოლო 1957 წელს, არგენტინაში 8 წელიწადს ცხოვრების შემდეგ, შინდლერი გერმანიაში დაბრუნდა და ემილია დატოვა უსახსროდ, თან — უზარმაზარი ვალებით.

მოსკოვში შეიქმნა მათხოვრობისა და მაწანწალობისათვის დაკავებულ პირთა სარეაბილიტაციო ცენტრი. მიუხედავად ამისა, რუსეთის დედაქალაქში დღე არ გავა, რომ ვინმე უსახლკარო არ გაიყინოს.

ვინ თქვა, „13“ ნავსიაო!

13 თებერვალმა მსოფლიოს არავითარი კატაკლიზმი არ დაატეხა თავს. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს გერმანელი მათემატიკოსის ლანკაუს აზრს, რომ მათემატიკური და ფიზიკური თვალსაზრისით, რიცხვი „13“ თავისთავად საბედისწერო ვერ იქნება. აპა სააგენტოს ინფორმაციით, ლანკაუ უკვე მრავალი წელიწადია, ცდილობს გააქარწყლოს ადამიანთა ცრუმორწმუნეობა და შიში ამ რიცხვთან დაკავშირებით. მეცნიერს თავის აქტივში აქვს უამრავი მათემატიკური, ასტროლოგიური და ფიზიკური მტკიცებულება „13“-ის უწყინარობისა. მაშინაც კი, როდესაც 13 რიცხვი პარასკევს ემთხვევა, ექსტრაორდინარული შემთხვევითობის ალბათობა ისეთივეა, როგორც სხვა დღეებში. შიში და ცრუმორწმუნეობა, მეცნიერის აზრით, ძირითადად მომდინარეობს ბიბლიური თქმულებებიდან. ბიბლია ამტკიცებს, რომ სწორედ 13 რიცხვში იგემეს ადამ და ევამ აკრძალული სამოთხის ვაშლი და პირველი ცოდვილები გახდნენ. იმასაც ამბობენ, რომ პარასკევს, 13 რიცხვში აცვეს ჯვარს ქრისტე. მაგრამ, კაცობრიობის ისტორიაში, ამტკიცებს სწავლული, ამ დღეს არავითარი კატაკლიზმი არ მომხდარა.

უცხოეთის სააგენტოების, გაზეთების და სააგენტო „მედიანას“ მასალების მიხედვით

გვერდის რედაქტორი
არჩილ მანჯგალაძე.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 39. სამშაბათი. 17 თებერვალი. 1998 წელი.

წინაპარი



ვლადიმირ ჟუხრაი

სტალინი

სიმართლე და სიცრუე

წამოძახილები დარბაზიდან: „ძალიან გთხოვთ, ამხანაგო სტალინ, ძალიან გთხოვთ, თუ შეიძლება!“

სტალინმა წაიკითხა პირველი კითხვა:

— ***თქვენი აზრით, თანამედროვე საბჭოთა მწერლების, დრამატურგებისა და კინორეჟისორების მუშაობის მთავარი ნაკლოვანებები რაა?***

სტალინი: სამწუხაროდ, ეს ფრიად არსებითი ნაკლოვანებებია.

ამ ბოლო დროს ბევრ ლიტერატურულ ნაწარმოებში თვალნათლივ შეიმჩნევა ხრწნადი დასავლეთის გამრყვნელი ზეგავლენით, აგრეთვე, უცხოურ დაზვერვათა ძირგამომთხრელი ქმედებით აღბეჭდილი საშიში ტენდენციები. საბჭოთა ლიტერატურული ჟურნალების ფურცლებზე სულ უფრო და უფრო ხშირად ქვეყნდება ნაწარმოებები, რომლებშიც საბჭოთა ადამიანები — კომუნიზმის მშენებლები უბადრუკი კარიკატურული ფორმებით ისახებიან. გამასხარავებულია დადებითი გმირი, პროპაგანდა ეწევა უცხოურობას, ხოტბა ესხმევა კოსმოპოლიტიზმს, რაც საზოგადოების პოლიტიკურ ნაძირალებს ახასიათებთ.

თეატრების რეპერტუარებიდან საბჭოთა პიესები უცხოური, ბურჟუაზიულ ავტორთა მანიერი პიესებითაა განდევნილი.

კინოფილმებში გაჩნდა წვრილთემიანობა, რუსი ხალხის გმირული ისტორიის დამახინჯება.

სტალინმა ნელა გადაარჩია მის წინ დაწყობილი კითხვებიანი ფურცლები და მომდევნო კითხვა წაიკითხა:

— ***იდეოლოგიური თვალსაზრისით რამდენადაა საშიში ავანგარდისტული მიმართულება მუსიკაში და აბსტრაქციონიზმი მხატვრებისა და მოქანდაკეების შემოქმედებაში?***

სტალინი: „დღეს მუსიკალურ ხელოვნებაში მოჩვენებითი ნოვატორობის სახით შეღწევას ლამობს ფორმალისტური მიმართულება, მხატვრობაში კი — აბსტრაქტული ფერწერა. ზოგჯერ შეიძლება გაიგონო კითხვა: „საჭიროა თუ არა ისეთი დიდი ადამიანები, როგორიც არიან ბოლშევიკი-ლენინელები, გაისარჯონ წვრილმანებისთვის — დრო პკარგონ აბსტრაქტული ფერწერისა და ფორმალისტური მუსიკის კრიტიკისათვის. დაე, ეს ფსიქიატრებმა აკეთონ.

ამგვარი კითხვები ავლენს ჩვენი ქვეყნის, და განსაკუთრებით ახალგაზრდობის წინააღმდეგ მიმართულ იდეოლოგიურ დივერსიებში ამ მოვლენების როლის გაუგებრობას. მათი მეშვეობით ხომ ლიტერატურასა და ხელოვნებაში სოციალისტური რეალიზმის პრინციპების წინააღმდეგ გამოსვლას ცდილობენ. აშკარად ამის გაკეთება შეუძლებელია, ამიტომ ამას დაფარულად აკეთებენ. ეგრეთ წოდებულ აბსტრაქტულ სურათებში არაა რეალური სახეები, რომელთა მიბაძვაც, რომელთა კვალზე სიარულიც მოუნდება ხალხის ბედნიერებისთვის, კომუნიზმისთვის მებრძოლ ადამიანს. ასეთი ასახვა შეცვლილია აბსტრაქტული მისტიკით, რომელიც ჩქმალავს კაპიტალიზმის წინააღმდეგ სოციალიზმის კლასობრივ ბრძოლას. ომის დროს რამდენი ადამიანი მიდიოდა გმირობის შთაგონებისთვის წითელ მოედანზე მინინისა და პოჟარსკის ძეგლთან! მაგრამ რა შეიძლება შთააგონოს ადამიანს ჟანგიანმა რკინის გროვამ, რომელსაც ქანდაკების „ნოვატორები“ ხელოვნების ნაწარმოებებად გვასაღებენ? რა შეიძლება შთაგვაგონოს მხატვართა აბსტრაქტულმა სურათებმა?

სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ თანამედროვე ფინანსური მაგნატები, რომლებიც მოდერნიზმს პროპაგანდას უწევენ, ამგვარ „ნაწარმოებებში“ ისეთ საარაკო ჰონორარებს იხდიან, როგორიც სოციალისტური ხელოვნების ოსტატებს არც კი დაესიზმრებათ.

კლასობრივი სარჩული აქვს ეგრეთ წოდებულ დასავლურ პოპულარულ ფორმალისტური მიმართულების მუსიკასაც. ამგვარი, უკაცრავად სიტყვაა და, მუსიკა ეფუძნება იმ „მოძაგძაგე“ სექტების რიტმებს, რომელთა „ცეკვებიც“ ადამიანებს, მიჰყავთ რა ისინი ექსტაზამდე, აქცევენ უმართავ ცხოველებად, რომლებსაც ყოველგვარი ველურობის ჩადენა ძალუძთ. ამგვარი რიტმები იქმნება ფსიქიატრების მონაწილეობით, იმგვარად იგება, რომ ზემოქმედება მოახდინოს ტვინის ქერქზე, ადამიანის ფსიქიკაზე. ეს თავისებური ნარკომანიაა, რომლის გავლენაში მოხვედრილ ადამიანს უკვე არ ძალუძს ფიქრი რაიმე ნათელ იდეალებზე და იქცევა პირუტყვად. ამაო საქმეა ის, რომ მას მოუწოდო რევოლუციისაკენ, კომუნიზმის მშენებლობისაკენ. როგორც ხედავთ, მუსიკაც იბრძვის.

1944 წელს მე მომიხდა წაკითხვა ინგლისური დაზვერვის ერთი ოფიცრის აგენტის მიერ დაწერილი ინსტრუქციისა, რომელიც ასე იყო დასათაურებული: „როგორ გამოვიყენოთ ფორმალისტური მუსიკა მოწინააღმდეგის ჯარების გასახრწნელად“.

— ***კონკრეტულად რაში მდგომარეობს ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში, საზღვარგარეთის აგენტურათა ძირგამომთხრელი ქმედებები?***

სტალინი: „როცა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომ განვითარებაზე ელაპარაკობთ, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის, რომ ისინი ვითარდება ისტორიაში ფარული ომის არნახული გაქანების პირობებში, ფარული ომისა, რომელიც დღეს გააჩაღეს მსოფლიო იმპერიალისტურმა წრეებმა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, — მათ შორის ლიტერატურისა და ხელოვნების წინააღმდეგ. ჩვენს ქვეყანაში უცხოური აგენტურის წინაშე დასმულია ამოცანა შემოაღწიოს იმ საბჭოთა ორგანიზაციებში, რომლებიც განაგებენ კულტურას, ხელში ჩაიგდონ გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციები, გადამწყვეტი ზემოქმედება მოახდინონ თეატრისა და კინოს სარეპერტუარო პოლიტიკაზე, მხატვრული ლიტერატურის გამოცემაზე, ყოველმხრივ შეუშალონ ხელი იმ რევოლუციური ნაწარმოებების გამოცემას, რომლებიც საბჭოთა ხალხს პატრიოტიზმს უნერგავენ და კომუნისტური მშენებლობისთვის რაზმავენ, და გააავრცელონ ის ნაწარმოებები, რომლებშიც ნაქადაგევია სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებაში ურწმუნოება, პროპაგანდა ეწევა და ხოტბა ესხმევა წარმოების კაპიტალისტურ წესს და ცხოვრების ბურჟუაზიულ ყაიდას.

ამავე დროს უცხოეთის დაზვერვის წინაშე დასმულია ის ამოცანა, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებში მიაღწიონ პესიმიზმის, ყველა ჯურის დეკადენტობისა და მორალური გახრწნილობის პროპაგანდას.

ერთმა ფიცხმა ამერიკელმა სენატორმა თქვა: „ჩვენ ბოლშევიკურ რუსეთში ჩვენი საშინელებებით გაძეძგილი კინოფილმების ჩვენებას რომ შევძლებდეთ, უეჭველად ჩავფუშავდით იქ კომუნისტურ მშენებლობას“. ლევ ტოლსტოი ტყუილუბრალოდ როდი ამბობდა, რომ ლიტერატურა და ხელოვნება შეგონების ყველაზე ძლიერი ფორმებია.

სერიოზულად უნდა დავუფიქრდეთ, ვინ და რას ქადაგებს ჩვენში ლიტერატურისა და ხელოვნების დახმარებით, ბოლო უნდა მოვუღოთ ამ სფეროში იდეოლოგიურ დივერსიებს. ჩემი აზრით, ბოლომდე უნდა გავიცნობიეროთ და გავითავისოთ ის, რომ კულტურა, რომელიც საზოგადოებაში გაბატონებული იდეოლოგიის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, ყოველთვის კლასობრივი მოვლენაა და გამოიყენება გაბატონებული კლასის ინტერესების დასაცავად, ჩვენში — მშრომელთა პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად.

არ არსებობს ხელოვნება ხელოვნებისათვის, არ არსებობენ და არც შეიძლება არსებობდნენ რაღაც „თავისუფალი“, საზოგადოებისაგან მოწყვეტილი, ვითომ საზოგადოებაზე მაღლა მდგომი მხატვრები, პროზაიკოსები, პოეტები, დრამატურგები, ჟურნალისტები. უბრალოდ ისინი არავის სჭირდება და ასეთი ადამიანები არც არსებობენ და არც შეიძლება არსებობდნენ.

ისინი კი, ვისაც არ შეუძლია ან არ სურს, ძველი კონტრრევოლუციური ბურჟუაზიული ინტელიგენციის ტრადიციების გამოისობით, მუშათა კლასის, საბჭოთა ხალხის ერთგულად მსახურება, მიიღებენ მუდმივი ცხოვრებისთვის საზღვარგარეთ გასვლის უფლებას. დაე, ისინი იქ თვალნათლივ დარწმუნდნენ სინამდვილეში, რას ნიშნავს ყბადაღებული ლაქლაქი ბურჟუაზიული „შემოქმედების თავისუფლებაზე“ იმ საზოგადოებაში, სადაც ყველაფრის ყიდვა და გაყიდვა შეიძლება, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები კი თავიანთ შემოქმედებაში თავიანთ ფინანსურ მაგნატთა ფულის ტომარაზე არიან დამოკიდებული.

სამწუხაროდ, ამხანაგებო, დროის უკიდურესი დეფიციტის გამო, იძულებული ვარ შევწყვიტო ჩვენი საუბარი.

მინდა იმედი მქონდეს, რომ გარკვეულწილად მაინც გავეცი პასუხი თქვენთვის საინტერესო კითხვებს. ვფიქრობ, რომ საკ. კპ (ბ) ცკ-ს და საბჭოთა სახელმწიფოს პოზიცია საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარების საკითხებში თქვენთვის ნათელია.

...

შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები სტალინს მიესალმნენ ოვაციებითა და შეძახილებით: „გაუმარჯოს დიდ და ბრძენ სტალინს!“

სტალინი ერთხანს დაყოვნდა, გაკვირვებით უყურა ტაშისმკვრელებს და მოყვირალთ, შემდეგ ხელი ჩაიქნია და დარბაზიდან გავიდა.

მალე გამოვიდა საკ. კპ (ბ) ცკ-ს ოთხი დადგენილება ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე: „ჟურნალების „ზვეზდისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ“, რომელიც 1945 წლის 14 აგვისტოს გამოქვეყნდა. „დრამატული თეატრების რეპერტუარისა და მისი გაუმჯობესების ზომების შესახებ“ — გამოქვეყნდა 1946 წლის 28 აგვისტოს და „კინოფილმ „დიდი გზის“ შესახებ“ — გამოქვეყნდა 1946 წლის 4 სექტემბერს.

1948 წლის 10 თებერვალს გამოქვეყნდა საკ. კპ (ბ) ცეკას დადგენილება ვ. მურადელის ოპერა „დიადი მეგობრობის“ შესახებ.

ამ დადგენილებებმა დასახეს ნაკლოვანებების აღმოფხვრის ამოცანა და გამოკვეთეს საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარების მთავარი გზა.

ი. ბ. სტალინის შეხვედრამ შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, საკ. კპ (ბ) ცკ დადგენილებებმა საიმედოდ მოუცარეს ხელი ამერიკულ-ინგლისური იმპერიალიზმის აგენტურის იდეოლოგიურ დივერსიებს ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროებში და ამავე დროს, ხელი შეუწყვეს შემცდარ შემოქმედებით მუშაკებს დაშვებული შეცდომების გამოსწორებაში.

კოსმოპოლიტები განადგურდნენ, საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების სწორი განვითარება გარანტირებულია.

* * *

სტალინის შეხვედრები შემოქმედებით ინტელიგენციასთან და მის მიერ დაწერილი საკ. კპ (ბ) ცკ დადგენილებები ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე ნათელყოფენ, თუ როგორი მრავალმხრივი იყო მისი გონება, როგორ შორს, მრავალი ათწლეულის იქით იხედებოდა ის. მას ესმოდა, რომ მომავალში, იმის შემდეგ, როცა ის აღარ იქნებოდა, აუცილებლად დაიწყებოდა სსრკ-ში კაპიტალიზმის რესტავრირების აქტიური ცდები, და რომ ლიტერატურასა და ხელოვნებაში მის მიერ აღკვეთილი იდეოლოგიური დივერსიები ამაში უმნიშვნელო როლს სულაც არ ითამაშებდნენ.

შემდგომში ეს ასეც მოხდა.

თარგმნა
ჯუმბერ თითმერიამ.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 308, 309, 313, 314, 315, 318, 319, 320 (1997 წ.), № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 23, 24, 26, 30, 33, 34, 38.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში

***საქართველოს** საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიამ 1998 წლის 29 იანვარს შემდეგი შემადგენლობით: გია მეფარიშვილი (თავმჯდომარე), ავთანდილ აბაშიძე (მომხსენებელი), ლამარა ჩორგოლაშვილი, ზაურ ჯინჯოლავა, სხდომის მდივანი თამარ გაჩეჩილაძე, განიხილა საქმე — იური კირაკოსიანი, სპირიდონ ვართანიანი, მარტიროს ჩარდეხჩიანი, პეტრე საფარიანი, სერგო ვართანოვი, ქეთევან ტოტოღაშვილი, ასკან მანუკიანი, როზა პოლოსიანი, სვეტლანა პერეგულკო, ნოდარ გიგაშვილი და შოთა მექვაბიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.*

***დავის** საგანი იყო საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 28 ოქტომბრის კანონის „მეწარმეთა შესახებ“ 46-ე და 47-ე მუხლები.*

საქმის განხილვაში მონაწილეობდნენ:

***მოსარჩელეები:** იური კირაკოსიანი, სპირიდონ ვართანიანი, მარტიროს ჩარდეხჩიანი, პეტრე საფარიანი, სერგო ვართანოვი, ქეთევან პერეგულკო, ნოდარ გიგაშვილი და შოთა მექვაბიშვილი (მოსარჩელეთა წარმომადგენელი — ადვოკატი ნოდარ ნებიერიძე).*

***მოპასუხე:** საქართველოს პარლამენტი (წარმომადგენელი — საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ზურაბ მარაქველიძე).*

***სპეციალისტები:** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბესარიონ ზოიძე; თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ლადო ჭანტურია; თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ზურაბ ახვლედიანი.*

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მე-2 კოლეგიამ ღია სასამართლო სხდომაზე **გამოარკვია:**

1997 წლის 22 თებერვალს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით მომართა საადვოკატო საქმიანობის კერძო ფირმა „პირადი ადვოკატის“ პრეზიდენტმა, ადვოკატმა ნოდარ ნებიერიძემ.

კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელე მოითხოვს არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 28 ოქტომბრის კანონის „მეწარმეთა შესახებ“ 46-ე და 47-ე მუხლები, ვინაიდან, მისი აზრით, ისინი ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს, რომლის მიხედვით, საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია.

მოსარჩელე კონსტიტუციურ სარჩელში აღნიშნავს, რომ საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 28 ოქტომბრის კანონის „მეწარმეთა შესახებ“ 46-ე და 47-ე მუხლებით, მესაკუთრენი ანუ (პარტნიორები), რომლებმაც თავიანთი წილი შეიტანეს (გააერთიანეს) ამ კანონით დადგენილი ერთ-ერთი სამართლებრივი ფორმის ორგანიზაციაში, ამ ორგანიზაციის იურიდიულ პირად ჩამოყალიბების შემდეგ უფლებას კარგავენ თავისი ნებით განკარგონ თავიანთი საკუთრება. საერთო საკუთრების განკარგვის ეს უფლება მთლიანად გადადის პარტნიორთა საერთო კრების იურისდიქციაში, რომელიც ხმების უბრალო უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას ყველა საკითხზე.

მოსარჩელის აზრით, მესაკუთრე, რომელმაც თავისი წილი ქონებისა შეიტანა იურიდიული პირის სტატუსის მქონე ორგანიზაციაში, სრულებით არ ართმევს მას უფლებას, თავისივე ნებით უკანვე გამოიტანოს თავისი წილი ნატურით, თუ ამის შესაძლებლობა არის და თუ ნატურით გაყოფა ზიანს არ აყენებს ორგანიზაციას.

მოსარჩელე მიიჩნევს, რომ კონსტიტუციით და სანივთო სამართლით აღიარებული საკუთრების ფლობისა და განკარგვის უფლება მესაკუთრეთა პრეროგატივაა და არა საერთო კრების გადასაწყვეტი.

მოსარჩელე თავის კონსტიტუციურ სარჩელში აღნიშნავს, რომ მეწარმეთა შესახებ კანონის დაპირისპირებას სანივთო სამართლის ნორმებთან თეორიული დასაბუთება მისცა მეცნიერი იურისტების თ. ნინიძის და ლ. ჭანტურიას სამეცნიერო-პრაქტიკულ კომენტარებში, რომელსაც სავალდებულო ძალა არა აქვს, მაგრამ მართლმსაჯულების ორგანოები მასზე პირდაპირ მიუთითებენ და მოსარჩელეებს უარს ეუბნებიან მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე — მიიღონ თავიანთი წილი ნატურით.

მოსარჩელეს მიაჩნია, რომ საკანონმდებლო ნორმებში წარმოშობილმა კოლიზიებმა ჩიხში შეიყვანა სამოქალაქო მართლმსაჯულება და შემოიჭრა ახალი ტერმინი „კორპორაციული სამართლის“ სახით, რომელიც დაუპირისპირდა სამოქალაქო (სანივთო) სამართლის ნორმებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, 1998 წლის 8 იანვარს, კოლექტიური განცხადებით მომართეს ყოფილი №7 ინდკერვის ატელიის დროებითი ამხანაგობის წევრებმა: იური კირაკოსიანმა, სპირიდონ ვართანიანმა, მარტიროს ჩარდეხჩიანმა, პეტრე საფარიანმა, სერგო ვართანოვმა, ქეთევან ტოტოღაშვილმა, ასკან მანუკიანმა, როზა პოლოსიანმა, სვეტლანა პერეგულკომ, ნოდარ გიგაშვილმა და შოთა მექვაბიშვილმა, რომლებმაც მოითხოვეს მოსარჩელე ნოდარ ნებიერიძის მიერ აღძრულ სარჩელში ჩართულიყვნენ მე-3 პირებად სასარჩელო მოთხოვნის მხარდასაჭერად.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მე-2 კოლეგიის 1998 წლის 12 იანვრის განმწესრიგებელ სხდომაზე, მოსარჩელე ნოდარ ნებიერიძემ შეცვალა თავისი თავდაპირველი სასარჩელო მოთხოვნა და შუამდგომლობით მომართა სასამართლო კოლეგიას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შემოტანილ სარჩელზე მოსარჩელეებად ეცნო — ქ. თბილისის №7 ინდკერვის ატელიის დროებითი ამხანაგობის წევრები: იური კირაკოსიანი, სპირიდონ ვართანიანი, მარტიროს ჩარდეხჩიანი, პეტრე საფარიანი, სერგო ვართანოვი, ქეთევან ტოტოღაშვილი, ასკან მანუკიანი, როზა პოლოსიანი, სვეტლანა პერეგულკო, ნოდარ გიგაშვილი და შოთა მექვაბიშვილი, ხოლო თვითონ საქმეში ჩართულიყო როგორც მათი წარმომადგენელი. ადვოკატმა ნ. ნებიერიძემ სასამართლო კოლეგიას წარუდგინა სათანადო წესით დამოწმებული რწმუნებულება და ორდერი.

ნოდარ ნებიერიძემ სასამართლო კოლეგიას განუმარტა, რომ საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 28 ოქტომბრის კანონის „მეწარმეთა შესახებ“ 46-ე და 47-ე მუხლების არაკონსტიტუციურად ცნობა პირდაპირ კავშირშია იმ სასამართლო დავებთან, რომლებიც მის მიერ მოსარჩელეებად დასახელებულ პირებს აღძრული აქვთ საერთო სასამართლოებში და წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებანი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მე-2 კოლეგიის 1998 წლის 13 იანვრის განმწესრიგებელი სხდომის №2/36/1 განჩინებით იური კირაკოსიანი, სპირიდონ ვართანიანი, მარტიროს ჩარდეხჩიანი, პეტრე საფარიანი, სერგო ვართანოვი, ქეთევან ტოტოღაშვილი, ასკან მანუკიანი, როზა პოლოსიანი, სვეტლანა პერეგულკო, ნოდარ გიგაშვილი და შოთა მექვაბიშვილი ცნობილი იქნენ მოსარჩელეებად, ხოლო ნოდარ ნებიერიძე — მოსარჩელეთა წარმომადგენლად.

საქმის არსებითად განხილვისას, მოსარჩელე მხარის წარმომადგენელმა, ადვოკატმა ნ. ნებიერიძემ, აღნიშნა, რომ კონსტიტუციური სარჩელის შემოტანის საფუძველი გახდა ის ფაქტი, რომ მისი მარწმუნებლები, ქ. თბილისის №7 განსაცმლის ინდკერვის ატელიის თანამშრომლები მესამე წელია ვერ აღწევენ სიმართლეს ვერც ერთ სასამართლო ინსტანციაში. საერთო სასამართლოები მათ უარს ეუბნებიან ერთი მოტივით, რომ შრომითი კოლექტივის მიერ აღძრული სარჩელი არ არის სასამართლოს განსჯადი და იგი უნდა გადაწყვიტოს პარტნიორთა კრებამ.

მოსარჩელე მხარის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შრომით კოლექტივს, რომელმაც სახელმწიფოსაგან პრივატიზაციის გზით გამოისყიდა ქონება წილობრივად, უფლება არა აქვს ნატურით მოითხოვოს თავისი წილი, რადგან საერთო სასამართლოები მიუთითებენ მეწარმეთა შესახებ კანონის 46-ე და 47-ე მუხლებზე. საერთო სასამართლოების უმრავლესობა კი მიიჩნევს, რომ მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ საერთო წილობრივი, თუ ერთობლივი საკუთრება, უფლება არა აქვთ მიმართონ საერთო სასამართლოს. მისი აზრით, აუცილებელია საკანონმდებლო წესით შეივსოს ეს ხარვეზები და კანონმა „მეწარმეთა შესახებ“ გაითვალისწინოს, რომ სასამართლოები უფლებამოსილი არიან განიხილონ სარჩელები საერთო წილობრივი საკუთრებიდან ცალკეული პარტნიორების წილის გამოყოფის შესახებ, თუ ტექნიკურად ასეთი გამოყოფა შესაძლებელია.

ადვოკატმა ნ. ნებიერიძემ აღნიშნა, სამწუხაროა, რომ სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც საერთო სასამართლოების მოსამართლენი თავიანთ გადაწყვეტილებებში, როგორც სახელმძღვანელოს, ისე მიუთითებენ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის სამეცნიერო-პრაქტიკულ კომენტარებზე, რაც აშკარად არ არის სწორი.

მოსარჩელე იური კირაკოსიანმა მთლიანად დაუჭირა მხარი კონსტიტუციურ სარჩელს და მოითხოვა სადავო მუხლების არაკონსტიტუციურად ცნობა.

მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა, საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ზურაბ მარაქველიძემ მხარი არ დაუჭირა კონსტიტუციურ სარჩელს და აღნიშნა, რომ მოთხოვნა უსაფუძვლოა და დაუსაბუთებელი, რის გამოც იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

მოპასუხის აზრით, ზოგადად წილის გასხვისების საკითხის გადაწყვეტა პარტნიორთა კრების კომპეტენციაში აპრიორად სულაც არ შედის. ამის დასტურად მან მოიყვანა კანონის „მეწარმეთა შესახებ“ 47. 3 მუხლის პირველი აბზაცი: „თუ საზოგადოების წესდება სხვა წესდებას არ შეიცავს, მაშინ პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებებს ყველა საკითხზე, კერძოდ: ...“ ამდენად, კანონის აღნიშნული ჩანაწერი პარტნიორებს საშუალებას აძლევს, წესდების მეშვეობით, თავიანთი შეხედულებისამებრ მოაწესრიგონ წილის გასხვისების საკითხი ისე, რომ ეს სრულიადაც არ შედიოდეს პარტნიორთა კრების კომპეტენციაში და კანონის თანახმად, პარტნიორთა კრების თანხმობა, ნებართვა აუცილებელია მხოლოდ წილის ნაწილობრივი გასხვისებისას.

მოპასუხე მხარემ აღნიშნა, რომ კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ფორმულირებაში საყურადღებოა ის გარემოება, რომ, კონსტიტუციით საკუთრების უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია, მაგრამ კონსტიტუციამ არ განსაზღვრა საკუთრების უფლების დეფინიცია, ცნება და მისი შინაარსი, რაც შემთხვევითი სრულებით არ არის. ეს საკითხი მოწესრიგებულ იქნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. ამ კოდექსის 170-ე მუხლის მიხედვით, „მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონების (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუ ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას“. ამდენად, მოპასუხის აზრით, საკუთრების უფლება, საკუთრების უფლების შინაარსი თავის თავში მოიცავს, გულისხმობს, ითვალისწინებს ბოჭვის ინსტიტუტს, რის გამოხატულებასაც წარმოადგენს საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ სადავო მუხლები. რაც შეეხება მოსარჩელე მხარის პრეტენზიას, რომ ესა თუ ის ორგანო, რამდენად სწორად იყენებს კანონს და არღვევს თუ არა მას — ეს არ არის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი.

მოპასუხე მხარე არ დაეთანხმა კონსტიტუციური სარჩელის მოთხოვნას, საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 28 ოქტომბრის კანონის „მეწარმეთა შესახებ“ 46-ე და 47-ე მუხლების არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე.

სასამართლო სხდომაზე სპეციალისტად მოწვეული, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის პროფესორის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, ლადო ჭანტურიას აზრით, კონსტიტუციურ სარჩელში დაყენებული მოთხოვნა სრულიად დაუსაბუთებელია.

სპეციალისტის აზრით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ისეთივე მესაკუთრეა, როგორც ნებისმიერი ფიზიკური პირი. ამიტომ, მის საკუთრებას ისევე იცავს საქართველოს კონსტიტუცია, როგორც ნებისმიერი ადამიანისას. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი შპს-ს, როგორც იურიდიულ პირს, სრულად ანიჭებს საკუთრების თავისუფალი გასხვისების უფლებას და მის შეზღუდვას მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში უშვებს. პროფესორმა ლ. ჭანტურიამ აღნიშნა, რომ შპს იურიდიული პირია და მას მოქმედება მხოლოდ თავისი ორგანოების მეშვეობით შეუძლია. ამიტომ იმ პირთა ან ორგანოთა კომპეტენცია, რომლებსაც შეუძლიათ შპს-ის სახელით გარიგებები დადონ ან სხვა საქმიანობა განახორციელონ, უნდა განსაზღვროს კანონმა. ამგვარ კანონს წარმოადგენს სწორედ კანონი „მეწარმეთა შესახებ“ და კერძოდ, მისი 46-ე და 47-ე მუხლები.

სპეციალისტის აზრით, სარჩელში დავის საგანია ის ფაქტი, რომ შპს-ის პარტნიორები, მას შემდეგ, რაც ისინი ქონებას შპს-ის საწესდებო კაპიტალში შეიტანენ, უფლებას კარგავენ თავისუფლად განკარგონ ეს ქონება. სწორედ ეს არის სარჩელში კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ მიჩნეული, რაც სრულიად დაუსაბუთებელია. სწორედ, კონსტიტუციის 21-ე მუხლის საფუძველზე აქვთ მესაკუთრეებს უფლება მინიჭებული, თავიანთი ქონება თავისუფლად განკარგონ. განკარგვის ერთ-ერთი ფორმაა ამ საკუთრების გამოყენება კერძო სამართლის იურიდიული პირების დასაფუძნებლად, კერძოდ, მათ საკუთრებაში გადასაცემად. ამიტომ მესაკუთრეთა კონსტიტუციური უფლებების დარღვევაზე საუბარი აქ სრულიად უადგილო და დაუსაბუთებელია. მას შემდეგ, რაც შპს-ის დამფუძნებლებმა ქონება გადასცეს შპს-ს, ამ ქონების მესაკუთრე არის შპს. როგორც მესაკუთრეზე, მასზე ვრცელდება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი. მისი აზრით, თუ უარს ვიტყოდით იმაზე, რომ შპს ამ ქონების მესაკუთრეა, მაშინ უარი უნდა გვეთქვა სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის პირველ ნაწილის მოთხოვნაზე.

სპეციალისტის მოსაზრებით, იმის აღნიშვნა რომ შპს-ის ქონება პარტნიორების საერთო საკუთრებაა, დაუსაბუთებელია. იურიდიული პირის ქონება იურიდიული პირის, როგორც სამართლის სუბიექტის, საკუთრებაა და არა მისი დამფუძნებლების ან მასში მონაწილეების. მიუხედავად იმისა, რომ დამფუძნებელი პარტნიორები თავიანთ საკუთრებას გადასცემენ შპს-ს (სანაცვლოდ ისინი იღებენ შპს-ის წილს) და ამით ამ ქონებაზე უარს ამბობენ. მიუხედავად ამისა, კანონი მაინც აძლევთ მათ ამ ქონების უკან გამოთხოვის უფლებას. ოღონდ ამისთვის დაცული უნდა იყოს მეწარმეთა შესახებ კანონის 3. 3 მუხლის მე-2 აბზაცისა და 3. 6 მუხლის პირველი აბზაცის ნორმები. სახელდობრ, ამ ნორმათა თანახმად, თუ პარტნიორები მოისურვებენ შპს-ის საწესდებო კაპიტალიდან შესატანის უკან დაბრუნებას, მათ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება საწესდებო კაპიტალის შემცირების შესახებ, ვინაიდან ეს ქონება საზოგადოების წესდებაშია ასახული, მოახდინონ ამ ცვლილებების რეგისტრაცია სასამართლოში და რეგისტრაციიდან 12 თვის გასვლის შემდეგ გაიტანონ ქონება. წესდებაში ცვლილებების შესატანად აუცილებელია პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით.

დამფუძნებელ პარტნიორებს უფლება აქვთ უარი თქვან შპს-ს დაფუძნებაზე, თუ ისინი არ ეთანხმებიან შემოთავაზებულ პირობებს. ამის უფლება მეწარმეთა კანონში პირდაპირაა გათვალისწინებული. თუ შპს ამ პირობების გარეშე დაფუძნდა, იგი დაფუძნებულად არ ჩაითვლება. ე. ი. თუ დამფუძნებელი პარტნიორები არ მოაწერენ ხელს წესდებას, მაშინ შპს არ დაფუძნდება. მეწარმეთა კანონი ამას პირდაპირ განამტკიცებს და იგი კონსტიტუციის 21-ე მუხლს სრულიად შეესაბამება.

პროფესორ ლ. ჭანტურიას აზრით, მეწარმეთა შესახებ კანონის 46-ე და 47-ე მუხლებში მოცემულია დაახლოებით ორმოცდაათი სხვადასხვა ნორმა, რომელი ნორმის არაკონსტიტუციურობაზეა საუბარი სარჩელში, სპეციალისტის აზრით, გაუგებარია. ორივე მუხლის გაუქმების საკითხის დაყენება მთლიანად კანონის გაუქმების ტოლფასია, განსაკუთრებით კი შპს-ის ნაწილში.

საქმეზე სპეციალისტად მოწვეულმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორმა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ბესარიონ ზოიძემ სასამართლო კოლეგიას მოახსენა, რომ მცდარია დებულება, ვითომც პარტნიორთა შესატანები საზოგადოებაში წარმოადგენს მათ საკუთრებას და მით უმეტეს, საერთო საკუთრებას. მისი აზრით, პარტნიორთა შესატანები საზოგადოების საკუთრებას წარმოადგენს. პარტნიორებს უფლება აქვთ ჩაერთონ ამ საკუთრების მართვაში იმდენად, რამდენადაც ისინი ამ საზოგადოების დამფუძნებლები არიან. 46-ე და 47-ე მუხლებით საკმაოდ ფართოდაა მოხაზული ამ ჩარევის ფარგლები. პარტნიორები ცალ-ცალკე კი არ მართავენ საზოგადოებას, არამედ — საერთო კრების მეშვეობით. ამიტომ ეს მისი აზრით, სულაც არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ 46-ე და 47-ე მუხლებში პარტნიორთა საერთო კრების ფუნქციებზეა საუბარი. აქედან თუ ამოვალთ, საზოგადოება კია კაპიტალის მესაკუთრე, მაგრამ ზომიერად ისიცაა შებოჭილი პარტნიორთა მხრიდან.

პროფესორ ბ. ზოიძის აზრით, პარტნიორები კი ერევიან საზოგადოების ქონების მართვაში, მაგრამ თავად ისინი არ არიან ამ ქონების მესაკუთრენი, მით უმეტეს, ისინი არც თვით საზოგადოების მესაკუთრეებს წარმოადგენენ. რაც შეეხება საკითხს, თუ რა უფლება აქვთ პარტნიორებს საზოგადოების კაპიტალზე, ეს უფლება წილზედ უფლებაა, სწორედ კაპიტალის ოდენობის თანაზომიერად დგინდება საზოგადოების მიერ მიღებულ მოგებაზე პარტნიორთა უფლების ფარგლები. ვთქვათ, პარტნიორს აღარ სურს იყოს პარტნიორი, ასეთ შემთხვევაში, რადგანაც კაპიტალი მათი საკუთრება არაა, ვერც მის უკან წაღებას მოითხოვს. ერთადერთი, რაც დარჩენია, მას შეუძლია გაასხვისოს თავისი წილი, შეიძლება მემკვიდრეობით გადაცემაც. მოკლედ, თუ გსურს წილზე უფლება შეინარჩუნო, უნდა იყო პარტნიორი. ამდენად, საკუთრების საკითხში რაიმე დაპირისპირებას სანივთო სამართლის დებულებებთან ადგილი არა აქვს და კომენტატორების აზრიც მისთვის, როგორც სპეციალისტისათვის მისაღებია და ნათელია (იგულისხმება — ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე. მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარები. თბილისი, 1996 წ.).

საქმეზე სპეციალისტად მოწვეულმა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის პროფესორმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ზურაბ ახვლედიანმა, თავის წერილობით დასკვნაში აღნიშნა, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან პარტნიორის მიერ ქონების გამოტანა შეზღუდული რომაა, სრულებითაც არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. პარტნიორები თვითონ, ურთიერთშეთანხმებით გადასცემენ ქონებას შპს-ს საკუთრებაში. ეს კი, მისი აზრით, სწორედ კონსტიტუციით მინიჭებული საკუთრების უფლების თავისუფალი გასხვისების უფლების განხორციელებაა. კერძოდ, ის, რომ პარტნიორი თავისი ნებით გადასცემს ქონებას შპს-ს საკუთრებაში.

სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ იური კირაკოსიანის, სპირიდონ ვართანიანის, მარტიროს ჩარდეხჩიანის, პეტრე საფარიანის, სერგო ვართანოვის, ქეთევან ტოტოღაშვილის, ასკან მანუკიანის, როზა პოლოსიანის, სვეტლანა პერეგულკოს, ნოდარ გიგაშვილისა და შოთა მექვაბიშვილის კონსტიტუციური სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტით, საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მესაკუთრეს მინიჭებული აქვს თავისი ქონების თავისუფლად განკარგვის უფლება. როდესაც მესაკუთრე იურიდიული პირის დასაფუძნებლად საკუთარ ქონებას თავისი ნებით გადასცემს იურიდიულ პირს, ის თვითონ განკარგავს ამ დროს თავის საკუთრებას. ამრიგად, სახეზეა საკუთრების უფლების სახელშეკრულებო ბოჭვა და საკუთრების კონსტიტუციური უფლება არ შეიძლება ამ დროს დარღვეულად იქნეს მიჩნეული.

საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის მიხედვით, კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება, აგრეთვე, იურიდიულ პირებზე. შპს, რომელიც ნებაყოფლობით ყალიბდება, თვითონ ხდება მეტანილი ქონების მესაკუთრე და მას ისევე იცავს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი, როგორც ნებისმიერ ფიზიკურ პირს. ქონება, რომელიც პარტნიორებმა შეიტანეს საზოგადოებაში, არ ქმნის მათ საერთო საკუთრებას და ამ ქონებაზე არ ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით საერთო საკუთრებისათვის დადგენილი ნორმები. იურიდიული პირის ქონება, იურიდიული პირის, როგორც სამართლის სუბიექტის საკუთრებაა და არა მისი დამფუძნებლების, ან მასში მონაწილეების. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი საკუთრების გარეშე დარჩება, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლს, რომლის შესაბამისად, იურიდიული პირი საკუთარი ქონების მქონე ორგანიზაციულ წარმონაქმნად არის მიჩნეული.

2. შპს პარტნიორები საზოგადოების კაპიტალის წილის მესაკუთრეებად ითვლებიან და კაპიტალზე წილის ოდენობის თანაზომიერად დგინდება საზოგადოების მიერ მიღებულ მოგებაზე მათი უფლებების ფარგლები. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით მინიჭებული საკუთრების უზრუნველყოფა მთლიანად ვრცელდება პარტნიორებზე, როდესაც „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 46-ე მუხლის პირველი პუნქტი მათ წილის გასხვისების და მემკვიდრეობით გადაცემის უფლებას აძლევს. რაც შეეხება პარტნიორის უფლებებს, ისინი არიან შპს-ის წილის მესაკუთრეები და კონსტიტუციით მინიჭებული საკუთრების დაცვის უფლება მათზე მთლიანად ვრცელდება. კერძოდ, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 46.1 მუხლის თანახმად, პარტნიორს შეუძლია წილის გასხვისება და მემკვიდრეობით გადაცემა. მაშასადამე, შპს-ის ქონების მესაკუთრე კი არაა, არამედ — შპს-ის ქონების წილის.

3. მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ 46-ე და 47-ე მუხლების მთლიანად საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამობის მოთხოვნა, როდესაც ეს მუხლები უამრავ ქვეპუნქტებს შეიცავს, რომლებიც მეწარმეთა საქმიანობის სულ განსხვავებულ საქმიანობას ეხება.

4. სასამართლო კოლეგია ვერ გაიზიარებს მოსარჩელის მტკიცებას, რომ არ შეიძლება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებათა გასაჩივრება სასამართლოში, ხოლო ეს კი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტს, რომლის მიხედვით, ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 28 ოქტომბრის კანონის „მეწარმეთა შესახებ“ 15. 2 მუხლით პირდაპირ არის განსაზღვრული, რომ დაუშვებელია პარტნიორთა კრების, საერთო კრების, აგრეთვე, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრება კრების ოქმის შედგენიდან ორი თვის გასვლის შემდეგ. აქედან ნათლად ჩანს, რომ კანონი ითვალისწინებს სასამართლოში გასაჩივრების უფლებას.

იხელმძღვანელა რა, საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტით, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ მე-19, 31-ე, 39-ე და 43-ე მუხლებით, საქართველოს კანონის „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტით, 32-ე და 33-ე მუხლებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო **ადგენს:**

1. იური კირაკოსიანის, სპირიდონ ვართანიანის, მარტიროს ჩარდეხჩიანის, პეტრე საფარიანის, სერგო ვართანოვის, ქეთევან ტოტოღაშვილის, ასკან მანუკიანის, როზა პოლოსიანის, სვეტლანა პერეგულკოს, ნოდარ გიგაშვილისა და შოთა მექვაბიშვილის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 28 ოქტომბრის კანონის „მეწარმეთა შესახებ“ 46-ე და 47-ე მუხლების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით — არ დაკმაყოფილდეს;
2. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაშია მისი სხდომაზე საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან;
3. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნდეს 7 დღის ვადაში;
4. გადაწყვეტილების პირები გადაეგზავნოთ მხარეებს, საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს უზენაეს სასამართლოს;
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

კოლეგიის წევრები:
გ. მეფარიშვილი
(თავმჯდომარე);
ა. აბაშიძე
(მომხსენებელი);
ლ. ჩორგოლაშვილი;
ზ. ჯინჯოლავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტი

„საქართველოს რესპუბლიკის" სპეციალური გვერდი

ნაგანო — 98

ბრძოლა მწვავდება

დაძაბულობამ ოლიმპიურ თამაშებზე კულმინაციას მიაღწია. თითოეულ წამსა თუ მეტრს ოქროს ფასი დაედო, რაც უშეღავათო ფინიშს ვეპირდება. მაგალითები გნებავთ? ინებეთ. ბობსლეიში წყვილთა ასპარეზობის გამარჯვებულმა დუეტებმა და სამთომოთხილამურე ვაჟთა სუპერგიგანტში მეორე-მესამე პრიზიორებმა ბრძოლა ერთნაირი მაჩვენებლებით დაასრულეს.

სიმძაფრეს არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში დამკვიდრებული სიმჭიდროვეც განაპირობებს. უმაღლესი ჯილდოების რაოდენობით ჯერჯერობით რუსეთის დელეგაცია ლიდერობს, მაგრამ იმის თქმა, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები მონაპოვარს შეინარჩუნებენ, არავის შეუძლია. სპორტის პრიორიტეტული სახეობები მათ კონკურენტებსაც ხომ გააჩნიათ.

ახლა კი გაგაცნობთ ჩემპიონთა გალერეის მორიგ ნამატს:

ქალები: ბიათლონი. 7,5 კმ. გალინა კუკლევა (რუსეთი).

ციგურებით რბოლა. 500 მ. კატრინ ლემეი – დოუნი (კანადა).

სუპერგიგანტი. კატია ზაიცინგერი (გერმანია).

კერლინგი. კანადა.

ვაჟები. ფიგურული სრიალი. ერთეულები. ილია კულიკი (რუსეთი).

ბობსლეი. წყვილები. გიუნტერ ჰუბერი – ანტონიო ტარტალია (იტალია).

ტრამპლინიდან ხტომა. 120 მ. კაცუიოში ფუნაკი (იაპონია).

ციგურებით რბოლა. 1000 მ. იდს პოსტმა (ჰოლანდია).

თხილამურებით რბოლა. 15 კმ. თომას ალსგარდი (ნორვეგია).

სუპერგიგანტი. ჰერმან მაიერი (ავსტრია).

კერლინგი. შვეიცარია.

ციგაობა. წყვილები. შტეფან კრაუზე, იან ბერენდტი (გერმანია).

გაუწყებთ ჰოკეისტთა ჯგუფური ტურნირის მეორე ტურის შეხვედრების შედეგებსაც:

პირველი ჯგუფი. ჩეხეთი – ყაზახეთი 8:2, რუსეთი – ფინეთი 4:3.

ჩეხეთი, რუსეთი – 4-4, ფინეთი, ყაზახეთი – 0-0 ქულა.

მეორე ჯგუფი. აშშ – ბელარუსი 5:2, კანადა – შვედეთი 3:2.

კანადა – 4, შვედეთი, აშშ – 2-2, ბელარუსი – 0 ქულა.

სურათებზე: ოლიმპიადის ეპიზოდები: რუს ჰოკეისტებს მეუღლეებიც გულშემატკივრობენ; 1500 მეტრზე მოციგურავე ვაჟთა ასპარეზობის ჩემპიონი ნორვეგიელი ადნე სუნდროლი.

ჭადრაკი

ჩემპიონები 15 და 16 წლისანი არიან

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა 20 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა, რომელიც იმავდროულად შესარჩევი ტურნირიც გახლდათ.

ჩემპიონობისთვის ბრძოლაში 34 გოგონა და 46 ვაჟი ჩაება. პაექრობები მეტად დაძაბულად წარიმართა – გამარჯვებულის ვინაობა მხოლოდ ბოლო ტურში გამოვლინდა.

გოგონათა შორის ლიდერობა თავიდანვე ხელთ იგდეს სოხუმელმა რუსუდან გოლეთიანმა და თელაველმა ანა მათნაძემ. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან 20 წლამდე ასაკში ისინი ყველაზე ტიტულოვანი მოჭადრაკეები არიან საქართველოში. რუსუდანმა 1994, 1995 და 1997 წლებში სამჯერ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა 14, 16 და 18 წლის მოჭადრაკეთა შორის. ანამ კი შარშან 14 წლიანებში ევროპის პირველობაც მოიგო და მსოფლიო პირველობაც. ჩემპიონთა დუელი საბოლოოდ იმით დასრულდა, რომ ბოლო ტურში ორივემ გაიმარჯვა და 8-8 ქულა მოაგროვა. უკეთესი კოეფიციენტით ჩემპიონობა მიენიჭა ანა მათნაძეს (მწვრთნელი ნონა გაფრინდაშვილი), რომელსაც 20 თებერვალს მხოლოდ 15 წელი შეუსრულდება. ვერცხლის მედალი წილად ხვდა რუსუდან გოლეთიანს (მწვრთნელი ალექსანდრე ბოკუჩავა), 6 ქულით მესამე ადგილზე გავიდა ლელა ჯავახიშვილი. ამდენივე ქულა ჰქონდა სოფიო გვეტაძესაც, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მე-4 ადგილს დასჯერდა.

ვაჟთა პაექრობაშიც ბოლო ტურს უნდა გადაეწყვიტა I-II ადგილების ბედი. გამარჯვების უკეთესი შანსები ჰქონდათ მიხეილ მჭედლიშვილს და დავით არუთინიანს, რომლებიც დასკვნითი ტურის წინ 6,5-6,5 ქულით ლიდერობდნენ და უახლოეს მეტოქეს ნახევარი ქულით უსწრებდნენ, ხოლო დანარჩენებს – თითო ქულით. ამის მიუხედავად, სანუკვარი „ოქრო" ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოიპოვა, რადგან მჭედლიშვილს 16 წლის ვალერი გაფრინდაშვილმა (მწვრთნელები ელგუჯა ფხაკაძე და პაატა გაფრინდაშვილი) სძლია, მოაგროვა 7 ქულა და თავად მოიპოვა „ოქრო", ხოლო დავით არუთინიანი ზვიად იზორიასთან დამარცხდა. ამდენად მას, ისევე როგორც მჭედლიშვილს, ნიკოლოზ შავთველაძეს, იზორიას და ოთარ ჯირკვალიშვილს 6,5 ქულა აღმოაჩნდა. ადგილების ბედი აქაც კოეფიციენტმა გადაწყვიტა. ვიცეჩემპიონობა არუთინიანს (მწვრთნელი ემილ მიქაელიანი) ერგო, ხოლო ბრინჯაოს მედალი – მჭედლიშვილს.

როგორც აღვნიშნეთ, ეს შეჯიბრება შესარჩევი ტურნირის ხასიათსაც ატარებდა. გამარჯვებულები წლეულს ინდოეთის ქალაქ კალიკუტში ითამაშებენ მსოფლიო პირველობაზე. ასეთი დონის შეჯიბრება გაფრინდაშვილისთვისაც არ გახლავთ უცხო ხილი, რადგან 1995 წელს ვალერიმ 14-წლიანთა მსოფლიო პირველობა მოიგო, ხოლო 1993 და 1994 წლებში – ევროპელ თანატოლებს აჯობა, 1995 წლის მსოფლიო პირველობის პრიზიორია სწრაფ ჭადრაკში. რაც შეეხებათ ვიცეჩემპიონებს, ისინი შემოდგომით ერევანში ევროპელებს გაეჯიბრებიან. თუ არუთინიანისთვის ამ დონის შეჯიბრება პირველი იქნება, გოლეთიანი ერთბაშად სამ ფრონტზე იბრძოლებს – 18 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობაზე, 20 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიო და ევროპის პირველობებზე.

დღეს ჭადრაკის სასახლეში პირველობისთვის ბრძოლაში 16 წლის მოჭადრაკეები ჩაებმებიან.

ვაჟა დანელია.

სურათზე: საქართველოს ჩემპიონები და ვიცეჩემპიონები: მარცხნიდან — რუსუდან გოლეთიანი და ანა მათნაძე (სხედან), ვალერი გაფრინდაშვილი და დავით არუთინიანი (დგანან).

ავტორის ფოტო.

ფეხბურთი

ევროპის სტადიონებზე

იტალია. XXI ტური. „იუვენტუსი" – „სამპდორია" 3:0, „ინტერი" – „ლეჩე" 5:0 (რონალდომ „ჰეტ-თრიქი" შეასრულა), „ბარი" – „ლაციო" 0:2, „უდინეზე" – „პარმა" 1:1.

„იუვენტუსი" – 48, „ინტერი" – 44, „ლაციო" – 41, „უდინეზე" – 39 ქულა.

ესპანეთი. XXV ტური. „რეალი" – „სპორტინგი" 3:0, „ბარსელონა" – „მალიორკა" 0:0.

„რეალი" – 47, „ბარსელონა" – 46 ქულა (24 თამაშიდან).

გერმანია. XXIII ტური. „შტუტგარტი" – „კაიზერსლაუტერნი" 0:1, „ჰერტა" – „ბაიერნი" 2:1.

„კაიზერსლაუტერნი" – 52, „ბაიერნი" – 47 ქულა.

მეორე ბუნდესლიგის ლიდერი „ფრაიბურგი" სტუმრად „კოტბუსთან" 1:2 დამარცხდა (პრესტიჟის გოლი ბოლო წუთზე ლევან კობიაშვილმა გაიტანა).

ჰოლანდია. XXII ტური. „ეინდჰოვენი" – „აიაქსი" 1:1, „ბრედა" – „მაასტრიხტი" 2:0 (მეორე გოლი სტუმრებს არჩილ არველაძემ გაუტანა).

„აიაქსი" – 59, „ეინდჰოვენი" – 47 ქულა.

თურქეთი. XXII ტური. „ტრაბზონსპორი" – „ბეშიქტაში" 3:1, „გალათასარაი" – „ფენერბახჩე" 2:2.

„ფენერბახჩე", „ტრაბზონსპორი" – 45-45, „გალათასარაი" – 43 ქულა.

სპორტი ჩემს ცხოვრებაში

როცა ასეთი გენერალური დირექტორია...

თბილისში თუ რომელიმე ობიექტზე, მით უმეტეს, სპორტულზე, ითქმის, სიცოცხლე დუღს და გადმოდუღსო — ეს საწყლოსნო კომპლექსი „ლაგუნა-ვერე" გახლავთ. თვალს უხარია, როცა კაცი ამდენ დიდჩანთიან ბავშვს ხედავ. გიხარია იმიტომ, რომ იცი — ისინი მომავალი XXI საუკუნის საქართველოს (იმედი ვიქონიოთ, მაშინ უკვე აყვავებულის) მოცურავეები, წყალბურთელები, წყალში მხტომელები არიან, ბოლოს და ბოლოს — ჯანმრთელი ბავშვები.

წყლისაკენ ბავშვების ასეთი მასობრივი მობრუნება, აგრეთვე, ის გარემოება, რომ აქ მომსვლელს 27-29-გრადუსიანი თბილი წყლის სარკე დახვდება, ეგებ ჩვენი ყოფის გამოცოცხლების სასიკეთო ნიშანი იყოს...

თვით კომპლექსში ისიც გესიამოვნებათ, რომ ყველგან სისუფთავე და წესრიგია, რომ სხვადასხვა სამსახურში — გაზეთების კუთხე იქნება (სადაც, სამწუხაროდ „საქართველოს რესპუბლიკა" არ არის), ბუფეტი, სათამაშო აპარატები, საჩუქრების მაღაზია თუ გასახდელები და აუზზე გასასვლელი — თანამშრომლები ასე გულისხმიერი, ასე ყურადღებიანი არიან; ამის შემდეგ ხომ ბუნებრივია, იფიქრო, რომ ყველაფერში იგრძნობა შეფის მტკიცე ხელი და გონიერი გაძღოლის უნარი, ხომ შეიძლება ჟურნალისტური კალამი „აგექავოს" და ასეთ უფროსთან შეხვედრა თუ საუბარი მოინდომო...

სადარბაზო ბარათი

ვლადიმერ გოიაშვილი, 62 წლისა, „ლაგუნა-ვერეს" გენერალური დირექტორი, ა. წ. 13 ოქტომბერს დირექტორობის 20 წელი შეუსრულდება; საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი, სპორტის ოსტატი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი, წყალბურთში საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

ბატონი ვლადიმერი ახლა ბრძანდება, მოდურ გამოთქმას თუ ვიხმართ, სპორტის ფუნქციონერი, თორემ წინათ მოქმედი წყალბურთელი გახლდათ, თბილისის „დინამოს" და საქართველოს ნაკრების მეკარე, რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი, საკავშირო სპორტული საზოგადოება „დინამოს" არაერთგზის პრიზიორი, სსრ კავშირის ხალხთა პირველი სპარტაკიადის ვერცხლის მედალოსანი, სსრ კავშირის პირველობის ბრინჯაოს მედლის მფლობელი... ისე, კვლავ გრუზათმიანია, სპორტული მიხვრა-მოხვრა შემორჩენია, არც ძალიან გასუქებულა, ძველებურად სიმპათიურია და მე პირადად ამერიკული ფილმების გმირს მაგონებს...

— ბატონო ვლადიმერ, მეორე წელიწადია, რაც ფედერაციის პრეზიდენტი ხართ. იმ სფეროში, რომელსაც თქვენ უძღვებით, ხელშესახები შედეგების მისაღწევად ეს დრო, არც თუ დიდია, მაგრამ მოდით, რაც მოესწრო, იმაზე ვილაპარაკოთ...

— სტრუქტურული ცვლილებებით დავიწყოთ – ოთხი სახეობა გავაერთიანეთ – ცურვა, წყალბურთი, წყალში ხტომა და სინქრონული ცურვა. სახელწოდებაც ყოვლისმომცველი შევარჩიეთ – საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობათა ფედერაცია.

ახლა, მოგეხსენებათ, ვეტერან სპორტსმენებს საერთაშორისო მასშტაბით დიდი ყურადღება ექცევა. რაღაც ვეტერანული მოძრაობის მსგავსი გაჩნდა, ეწყობა ნაირ-ნაირი შეჯიბრებები ევროპასა და მსოფლიოშიც – ცურვა გნებავთ, წყალბურთი თუ წყალში ხტომა. ჩვენც შევქმენით ვეტერანთა სექცია-ფედერაციის სპეციალური სტრუქტურა. შარშან ანდრო იორდანიშვილმა ევროპის ვეტერანთა ჩემპიონატზე 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა და მედალი ჩამოიტანა.

ვეტერანმა წყალბურთელებმა შარშან ნელ-ნელა დაიწყეს მზადება. ზამთარში, აბა, ჩვენს პირობებში იმდენს რას ივარჯიშებენ, მაგრამ გაზაფხულზე მოუმატებენ და ჩვენც ყოველმხრივ შევუწყობთ ხელს, რომ მსოფლიო პირველობაზე გავამგზავროთ. მკითხველს გაეახსენებთ, რომ თბილისის „ივერია" საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც და პრიზიორიც იყო. მაგრამ ადრე საქართველოში 100-ზე მეტი საცურაო აუზი გვქონდა, ახლა ზაფხულში ოთხი-ხუთიღა მოქმედებს – ღია, „სამშეო", ზამთრობით – ორი-სამი. ამ ორი-სამიდან ცურვასა და წყალბურთში კიდევ გარკვეული მუშაობა მიმდინარეობს, მაგრამ წყალში მხტომელები ცუდ დღეში ჩავარდნენ, მათ ხომ დახურული აუზი სჭირდებათ, კოშკურითა და ტრამპლინებით. სადღაა ეს ფუფუნება, ლამის 50 წლით დავიხიეთ უკან, როცა თბილისში ერთადერთი აუზი – „კუპალნია" მუშაობდა მაისიდან სექტემბრამდე...

ჩვენმა ფედერაციამ იშუამდგომლა მერიასთან, „ლაგუნა-ვერეში" არსებული ცურვის სკოლა გარდაქმნილიყო საწყლოსნო სახეობების ბავშვთა და მოზრდილთა ოლიმპიური რეზერვების სპორტულ სკოლად. ოლიმპიური სტატუსის მინიჭებაზე სპორტის დეპარტამენტიც დაგვეთანხმა, მერიამ ფინანსური დახმარება აღგვითქვა; თუ რამე საუკეთესო გვაბადია, ქალაქის ამ სპორტსკოლაში მოვუყარეთ თავი, სადაც ყველაზე კარგი პირობები შეიქმნა ოთხივე სახეობის თვალსაზრისით. ამისათვის დიდი მადლობა ქალაქის მერსა და პრემიერს.

— ჩვენი გაზეთი ამას წინათ იუწყებოდა ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრების წარმატებაზე. რეალურად თუ მოხერხდება ნიჟნი ნოვგოროდში მათი გამგზავრება მეორე წრეში საასპარეზოდ და თუ მოხერხდება, აქვთ ივნისში „პლეი-ოფებში" გასვლის შანსი?

— იმ ძვირფასი ტრადიციებიდან გამომდინარე, რაც წყალბურთში დაგვიგროვდა, ოთხიდან ეს სახეობა უნდა მივიჩნიოთ პრიორიტეტულად. დინამიკური თამაშებისადმი მიდრეკილება „ჩადებულია" ქართველ კაცში. არადა, რამდენი ხანია, არ გვქონია წარმატება. ჩვენ კონკრეტული ორიენტირი ავიღეთ ჭაბუკთა წყალბურთის მხარდაჭერაზე; სურვილით, ქმედებით, რეკლამით უამრავი ბავშვი მოვიზიდეთ წყალბურთის შემსწავლელ წრეებში. გაგვიმართლა ამ ორიენტირმა – პირველი წარმატებაც მოვიდა. პროცენტებით ნასესხები სახსრებით გაგზავნილმა გუნდმა 6 მატჩი მოიგო, ქვეჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა, ნახევარფინალში გამოსვლის უფლება მოიპოვა. ჩვენი ქვეჯგუფი 24 მარტიდან შეიკრიბება ნიჟნი ნოვგოროდში, და ახალი საზრუნავიც გაგვიჩნდა: გუნდის მომზადება, სესხის გასტუმრება, ახალ სესხზე ფიქრი... თუ ეს საკითხები მოვაგვარეთ, ფინალში გასვლა სავსებით რეალურია.

ვიცით, ქვეყანას როგორ უჭირს, მაგრამ მაინც სახელმწიფომაც, ბიზნესმენებმაც, განსაკუთრებით, ახალგაზრდა ბიზნესმენებმა სპორტს სხვანაირად უნდა შეხედონ, სხვა მიდგომაზე უნდა იფიქრონ – ბავშვებზე, ახალგაზრდობაზე, მომავალზეა ლაპარაკი და იმიტომ. განსაკუთრებით ოლიმპიურ სახეობებს უნდა მიეხედოთ – მათზე ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის სპორტული იმიჯი.

— საკუთრივ საწყლოსნო კომპლექსის პრობლემებზე რას იტყოდით — როგორ არსებობთ, როგორ ახერხებთ ასეთი ობიექტისათვის სრულიად აუცილებელი განათება-გათბობის, წყლით მომარაგების მოგვარებას?

— წლეულს, შემოდგომაზე, ზუსტადაც შემიძლია გითხრათ – 13 ოქტომბერს ობიექტს 20 წელი შეუსრულდება. რომ იცოდეთ, მხოლოდ ერთხელ, 94-ში გაჩერდა სამიოდე თვით. თბილისში იმ ბათქაბუთქის დროსაც ვმუშაობდით, ასე რომ, „ვისახელეთ" თავი... 94-შიც იმიტომ გავჩერდით, რომ ქალაქის თბომომარაგების სისტემა დაიშალა, საკუთარი საქვაბე კი არ გაგვაჩნდა – ახლა გვაქვს. მრავალი სიძნელის მიუხედავად, ვართ, ვარსებობთ, ინვესტორი გვყავს...

აუზს შეუძლია და ვალდებულიც არის თავისი წვლილი შეიტანოს პრეზიდენტის 1997 წლის 22 დეკემბრის ბრძანებულების ხორცშესხმაში – მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებასა და განვითარებაში. ჩვენი მიზანია გაჯანსაღება, ცურვის შესწავლა, საწყლოსნო სპორტის აღორძინება, სახეობათა ხელშეწყობა. მალე მოვაწყობთ საერთაშორისო ასპარეზობებს, ხომ გახსოვთ, 1978-დან დაწყებული, აქ 12 წელიწადს ზედიზედ ტარდებოდა საერთაშორისო ტურნირი საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე; ეს შეჯიბრება მსოფლიო კალენდარში შედიოდა, სსრ კავშირში ასეთი დონის ასპარეზობა სხვაგან არ იმართებოდა. აქვე საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრები გადიოდა წვრთნას. ეს რომ ახსოვდათ, მოსკოვში მოთამაშე ჩვენებურების – პეტრე მშვენიერაძის, ნოდარ გვახარიას, ზორიკო ჩაჩავას, გივი ჩიქვანაიას, იური გოგოლაძის და სხვების დიდი სახელები რომ ახსოვდათ, იმიტომ შეხვდნენ რუსეთის წყალბურთის ფედერაციაში ჩვენს სატელეფონო ზარს სიხარულით, სწრაფად ჩაგვრთეს ტურნირში, არ გადაგვახდევინეს საწევრო, მაშინ, როცა ნებისმიერი რუსეთული გუნდი 10 მილიონ რუბლს იხდის მონაწილეობისათვის...

— თქვენ მართლაც ლეგენდარული სახელები ახსენეთ, გავაცნოთ ისინი ახალ თაობებს.

— პეტრე მშვენიერაძე მოსკოვში ცხოვრობს, პენსიონერია. თბილისში რეგულარულად ჩამოდის. შარშან მოვიდა კიდეც „ლაგუნა-ვერეში", წყალში მოვარჯიშე ბავშვებს შეუერთდა; არ იცოდნენ ვინ იყო, ესეც ჩვენი უბედურებაა... წვრთნას რომ მორჩნენ და თქვა, ვინც იყო, გადაირიენ ბიჭები; ჯანმრთელად არის; როგორ წყალბურთელებად გაზარდა შვილები – ნუგზარი და, განსაკუთრებით, კახა! ახლა ორივენი ბიზნესში ჩაებნენ. გივი ჩიქვანაიაც მოსკოვში ცხოვრობს, ისიც ბიზნესმენია.

დაუვიწყარ ნოდარ გვახარიაზე იმას გეტყვით, რომ დიდი ტვირთი ამკიდა – ის უნდა ყოფილიყო ფედერაციის პრეზიდენტი. რომ უნდა აგვერჩია, იმ დღეს გარდაიცვალა სრულიად მოულოდნელად. ევროპისა და მსოფლიოს წყალბურთის სამყაროში უზარმაზარი ავტორიტეტით, პარლამენტის სპორტის ქვეკომიტეტში მუშაობით ნოდარი ეფექტიანად გაუძღვებოდა საწყლოსნო სპორტს, მის გვერდით ვიდგებოდით, მაგრამ ბედმა სხვაგვარად განსაჯა... სულ სპორტის ფერხულში იყო ჩაბმული... თქვენ შეიძლება არ იცოდეთ, რომ 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში საქართველოს ჩემპიონი გახლდათ; ერთხანს სსრ კავშირის წყალბურთელთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი იყო, აქტიური თამაშის წლებში ფანატიკურად ვარჯიშობდა, აუზში საერთო წვრთნის მერეც რჩებოდა, თავის თავს სრულყოფდა... შარშან წყალბურთში ბავშვების საქალაქო პირველობა ჩავატარეთ ნოდარ გვახარიას პრიზზე. ეს მემორიალი ყოველწლიური გახდება. მეტი უნდა გავაკეთოთ მისი ხსოვნისათვის; ნატვრად მაქვს – ახლო მომავალში შეიქმნას ერთ-ერთ მოქმედ აუზზე ნოდარ გვახარიას სახელობის წყალბურთის სკოლა; ვიმეორებ, წყალბურთი პრიორიტეტულ საწყლოსნო სახეობად უნდა იქცეს – ქართულ სულს, ქართულ ბუნებას ესადაგება და იმიტომ.

— „სოვეტსკი სპორტში" რამდენჯერმე შემხვდა რუსეთელი წყალბურთელის რეზო ჩომახიძის სახელი...

— რეზო ქუთაისელი ბიჭია, იქ გაზრდილი, სხვათა შორის, საბჭოურ პერიოდში ქუთაისში რამდენიმე აუზი აშენდა. ახლა კომპლექსს ვინ ჩივის, მაგრამ ერთი 25-მეტრიანის გაშვება მაინც რა გახდა... რეზო ოთხ წელიწადს იტალიაში თამაშობდა, ფლორენციაში. ამჟამად მოსკოვის „დინამოსა" და რუსეთის ნაკრების თავდამსხმელია, ავსტრალიაში, პერტში მსოფლიოს პირველობაზე გამოდიოდა ახლახან; 23 წლისაა და მარტო წყალბურთელი კი არა – პიროვნებაც მესანიშნავია... პერტში ჩვენთან გაზრდილი „მხატვრული" მოცურავე ქრისტინა ფალასინიდიც ასპარეზობდა საბერძნეთის სახელით...

— ბატონო ვლადიმერ, თქვენი აუზის სტუმართა შორის „ამა ქვეყნის ძლიერნიც" არიან — მაგალითად, პარლამენტის თავმჯდომარე. კიდევ ვინ დადის სავარჯიშოდ?

— გიორგი კობახიძე და მიხეილ სააკაშვილი სატრენაჟეროში ვარჯიშობენ. გიორგი ბარამიძე, საკონსტიტუციო სასამართლოს სამი წევრი საცურაოდ დადის, თქვენი გაზეთის მთავარი რედაქტორი დარბაზშიც ვარჯიშობს და ცურავს კიდეც.

— რომელ ღირსშესანიშნავ მომენტებს, ან მატჩებს გაიხსენებდა თავისი აქტიური სპორტული ცხოვრებიდან ვლადიმერ გოიაშვილი — ყოფილი მეკარე?

— ჩემი სპორტული ბიოგრაფიიდან ორ მომენტზე შევჩერდებოდი.

1955 წლის თბილისის „დინამო", როცა მან სსრ კავშირის უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა, პირდაპირ ფანატიკოსთა გუნდი გახლდათ – გიორგი დარახველიძე, კონსტანტინე ჭიჭინაძე, ბორის მეგედი, ვლადიმერ ბართაევი, კონსტანტინე პოტაპოვი და სხვები საოცარი ენთუზიაზმით, თავდაუზოგავად ვარჯიშობდნენ მაშინ, როცა „კუპალნიაში" საქაჩავი მტკვრის წყალს ქაჩავდა და მაისში, მაგალითად, წყლის ტემპერატურა 12-14 გრადუსი იყო. ეს ტემპერატურა დაფაზე ცარცით იწერებოდა, მე კაპიტანი ვიყავი და ორ გრადუსს წავუმატებდი ხოლმე, რომ ბიჭებს უფრო მხნედ ეგრძნოთ თავი. აი, ასეთ პირობებში გადავედით „ა" კლასში მოსკოვის „ტორპედოსთან" ერთად.

უმაღლეს ლიგაში გადასვლას მოჰყვა მოსკოვიდან ზურაბ ჩაჩავასა და ნოდარ გვახარიას დაბრუნება. სსრ კავშირის ხალხთა პირველი სპარტაკიადის წინ როსტომ ჩაჩავაც ჩამოვიდა. მოსამზადებელი პერიოდი იშვიათი შემართებით გავატარეთ და იმ მართლაც გრანდიოზულ შეჯიბრებაზე ვერცხლის მედლები მოვიპოვეთ. ეს უდიდესი წარმატება იყო. გადამწყვეტ შეხვედრაში მოსკოვისა და საქართველოს ნაკრებები ხვდებოდნენ. მოსკოველმა პეტრე მშვენიერაძემ ბოლო ორი ბურთი გამიტანა და დავმარცხდით...

— ამრიგად, ერთგვარი შეჯამების სახით — რა არის თქვენთვის სპორტი?

— სპორტი ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ნათქვამია – კაცის პირველი საზრუნავი ოჯახია, სახლია, მეორე კი საქმეო. ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი პირიქით არის. 40 წლის განმავლობაში 12-14 საათი ყოველდღიურად – აუზები, გუნდი, კომიტეტი... 8 წელიწადი ვაკის აუზზე ვმუშაობდი სასწავლო ნაწილის გამგედ, ან დირექტორად, აქ მუშაობის 20 წელი მისრულდება. ფუნქციონერიც ვყოფილვარ და ვარ, მაგრამ კაბინეტური – არასოდეს. კაბინეტი – აუზი, ბავშვები, სპორტსმენები – კაბინეტი. საღამოს 7-8 საათზე შინ ვერ მივსულვარ, ერთხელ როგორღაც მივედი, მეუღლემ ავად ხომ არა ხარო...

...კაბინეტი – აუზი – ამ „ფორმულის" შესაბამისად გენერალური დირექტორი და მე აუზზე გავედით. საცნობისწადილო სურათი დაგვხვდა: კიდის გასწვრივ ტროსით გამოყოფილ საცურაო ბილიკს ბრასით (სხვათა შორის, არცთუ ურიგოთი) კვეთავდა პარლამენტის თავმჯდომარე. გვერდით დიდი სივრცე ნორჩ წყალბურთელებს ეპყრათ და იყო ერთი ყიჟინა, ბურთების გადაგდება-გადმოგდება, კარში ტყორცნა. „ხმელეთიდან" მწვრთნელი მაღალი ხმით ძლივს აწვდენდა შენიშვნებს.

კარგა ხნის წინდელი ამბავი გამახსენდა: ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ერთ მაღალპარტიულ ფუნქციონერს ერთ აუზში ბანაობა ენება (ცურვა, მგონი, ხეირიანად არც იცოდა). უზარმაზარი აუზი უმალვე გაანთავისუფლეს იქ მყოფთაგან...

ვლადიმერი და მე ერთი აზრისანი ვიყავით იმაზე, რასაც შევესწარით: საქართველოში ეგებ ნელ-ნელა, მაგრამ მართლა მკვიდრდება დემოკრატია...

პრეზიდენტისა და პარლამენტის ნების შესაბამისად და ძალიან დროულად დაიწყო მოძრაობა ქვეყანაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვისათვის. „ლაგუნა-ვერე" მანამდეც ბევრს აკეთებდა საამისოდ. ახლა იმედია, კომპლექსის მნიშვნელობა და, შესაბამისად, მისდამი ყურადღება კიდევ უფრო გაიზრდება.

თამაზ ებანოიძე.

ვლადიმერ გოიაშვილი (მარჯვნივ) და სპორტის საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის გენერალური მდივანი გივი ცქიტიშვილი.

სურათებზე: „ლაგუნა-ვერეს" სპორტდარბაზი: — ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად!

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

კალათბურთი

ვინ განსჯის მსაჯის მოქმედებას?

გუშინ ვერის ბაღის მიხეილ კეკელიძის სახელობის ბავშვთა საკალათბურთო კომპლექსში დასრულდა ვაჟთა მეშვიდე ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის მეორე ტურის შეხვედრები. გაუწყებთ დასკვნითი მატჩების შედეგებს: სტუ – „მერანი" 113:54, თსუ – „დინამო-2" 106:88, „მაკაბი" – „კოლხა" 87:67, „კოლხა" – „მერანი" 107:45, ასკ – „შევარდენი" 101:100 (დამატებით დროში, ძირითადი დრო – 92:92), „დინამო-2" – „მაკაბი" 86:101, სტუ-თსუ – 97:106, „აზოტი" – სდასუ 105:110 (დამატებით დროში, ძირითადი დრო 93:93).

ამრიგად, მეოთხედფინალში მეტოქენი ასე დაწყვილდნენ: „აზოტი" – „მაკაბი", „დინამო-1" – „შევარდენი", „ვითა" – ასკ, სდასუ-თსუ. „პლეი-ოფები" ორ მოგებამდე გაგრძელდება და მარტში მოეწყობა.

გულშემატკივრები მოუთმენლად ელოდნენ პრინციპული მეტოქეების „ვითასა" და „დინამო-1"-ის საკვირაო ორთაბრძოლას, მაგრამ იგი მეექვსე წუთზე შეწყდა (ბუნებრივია, მისი შედეგი ნუსხაში ვერ შევიტანეთ).

რა მოხდა?

„დინამო" იგებს – 22:11. ამ დროს ერთ-ერთი მსაჯი – გიორგი მოლოდინაშვილი მიდის „ვითას" სათადარიგოთა სკამთან და მისი რამდენიმე გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ჩემპიონთა თავკაცებთან ხანმოკლე საუბრის შემდეგ სარბიელს ტოვებს. დაინტერესებულ პირთა მცდელობის მიუხედავად, მისი დაბრუნება ვერ მოხერხდა, მატჩი ჩაიშალა. ვეკითხებით ქვეყნის კალათბურთის ფედერაციის ახალ ხელმძღვანელობას (და არა მარტო მათ): ნუთუ არ უნდა ესწრებოდნენ ცენტრალურ შეხვედრას? რატომ არ იყო დანიშნული სათადარიგო მსაჯი? ვინ უნდა ეზრუნველყოს წესრიგის დაცვა? როდემდე უნდა ითმინონ ქომაგებმა სიგარეტის კვამლი დარბაზში და იქ გამეფებული აუტანელი ანტისანიტარია? ვინ უნდა დაიცვას დარბაზში სისუფთავე?

და ბოლოს: ჯერ გადამწყვეტი შეხვედრები არ დაწყებულა, მაგრამ უკვე იგრძნობა მომავალი სკანდალების შესაძლებლობა. რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ საგანგებო შემთხვევას, მისი ანალოგი ამ რამდენიმე წლის წინათაც გვქონდა და ფედერაციის მაშინდელმა მესვეურებმა აბსურდული განაჩენი გამოიტანეს: „ვითა" – „კაქტუსის" მატჩის ორივე მონაწილეს წაგება ჩაუთვალეს. არადა, საფინალო სასტვენამდე ორიოდე წამით ადრე წინ „კაქტუსი" იყო 1 ქულით. საინტერესოა, ამჯერად როგორ განსჯიან მომხდარს და მოლოდინაშვილის უშედეგო მოლოდინს?

* * *

გუშინ საღამოს გამართულ კალათბურთის ფედერაციის აღმასკომისა და სპორტულ-ტექნიკური კომისიის საგანგებო სხდომაზე კიდევ უფრო აბსურდული გადაწყვეტილება მიიღეს: „ვითას" ჩაეთვალა წაგება ანგარიშით 11:22, მსაჯს გიორგი მოლოდინაშვილს კი ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს.

გია პლატონიშვილი.

გვერდის რედაქტორი ანზორ ბასილაია.

ბლიც-ანკეტა

ნიკოლოზ იგნატოვი

— საქართველოს სახალხო მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ორგზის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, პროფესორი.

1. ზოდიაქოს ნიშანი — ლომი;
2. საყვარელი მწერალი — თითქმის ყველა ეპოქაში, როდესაც რაღაც იწერებოდა, მყავს საყვარელი მწერალი ან მწერლები, ამიტომ მიჭირს რომელიმე მათგანის დაწინაურება. რუსი და ევროპელი ბრწყინვალე მწერლების მთელი სია შეიძლება შედგეს. მიყვარს შუა საუკუნეების ევროპული მწერლობა. ქართველ მწერალთაგან განსაკუთრებით მიტაცებს რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე, ნიკო ლორთქიფანიძე, ოთარ ჭილაძე;
3. საყვარელი ლიტერატურული ქმნილება — ბიბლია, ალბათ, მწვერვალია ლიტერატურისა. ვფიქრობ, ბიბლია ყველაფრის მომცველია და ამ უნივერსალურობის გამო ის განუმეორებელია;
4. საყვარელი მხატვარი — ყველა ეპოქას ჰყავდა საინტერესო და ჩემთვის საყვარელი მხატვრები. მაგრამ ჩემთვის გამორჩეულია ფიროსმანის შემოქმედება;
5. საყვარელი რეჟისორი — მილოშ ფორმანი;
6. საყვარელი ფილმი — „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“, „ჯარისკაცის ბედი ამერიკაში“;
7. საყვარელი მსახიობი მამაკაცი — ვასო გოძიაშვილი, სერგო ზაქარიაძე, გიორგი შავგულიძე, რამაზ ჩხიკვაძე;
8. საყვარელი მსახიობი ქალი — ვერიკო ანჯაფარიძე, ასპასია პაპატანასიუ;
9. საყვარელი კომპოზიტორი — ბახი, გია ყანჩელი;
10. საყვარელი მუსიკალური ნაწარმოები — ბახის ყველა პარტიტა;
11. საყვარელი ხალხური სიმღერა — მრავალჟამიერი;
12. უდიდესი პოლიტიკოსი — სტალინი;
13. ყველაზე პატივსაცემი ისტორიული პიროვნება — მახათმა განდი;
14. საყვარელი ქალაქი — თბილისი, ბათუმი;
15. სპორტის საყვარელი სახეობა — ფეხბურთი;
16. გატაცება — წიგნების კითხვა;
17. საკუთარი ღირსება — ულალატობა;
18. საკუთარი ნაკლი — სიზარმაცე;
19. ყველაზე დიდი წარმატება — მიმაჩნია, რომ თუ ვინმეს მოსწონს ჩემი შემოქმედება, ეს უკვე წარმატებაა;
20. ცხოვრების ყველაზე დიდი კურიოზი — რუსული გვარით რომ მოვახერხე ქართველობა და ქართველი მხატვრის სახელი რომ მქვია;
21. ყველაზე მიმზიდველი ქალი — ალბათ, შექსპირის და პეტრარკას სონეტების გმირი ქალები;
22. ყველაზე სიმპათიური მამაკაცი — ყველა ჩემი მეგობარი;
23. ოჯახის შემადგენლობა — მეუღლე, შვილი, 3 შვილიშვილი, და;
24. მეგობართა წრე — მეტწილად ბავშვობიდან, სკოლის ასაკიდან, ინსტიტუტიდან მოყოლილი მეგობრები;
25. რას აფასებთ ადამიანში? — ყველა ადამიანურ თვისებას; რაც უფრო მიახლოებულია ადამიანი ათ მცნებასთან, მით უფრო დასაფასებელია;
26. საყვარელი კულინარული ნაწარმი — დედაჩემის გაკეთებული კატლეტი და პიურე. მისი გარდაცვალების შემდეგ ისეთი გემრიელი აღარ მიჭამია;
27. საყვარელი სასმელი — ღვინო, ლუდი;
28. საყვარელი ცხოველი — ძაღლი, ცხენი;
29. საუკეთესო მოგონება — ის პერიოდები, როცა შეყვარებული ვიყავი, შვილისა, და შვილიშვილების დაბადება, ყოველი დიდი სამუშაოს დამთავრება (ცხადია, როცა კმაყოფილი ვარ სამუშაოს ხარისხით), ახლობლების წარმატებები, საერთოდ, მოსაგონარი ჯერ უნდა შექმნა, რომ მერე სიამოვნებით მოიგონო. ასეთი, ალბათ, ჯერ კიდევ მელის;
30. სანუკვარი ოცნება — სიმშვიდე და სიუხვე საქართველოში.

რუბრიკას უძღვება
ზურაბ ოიკაშვილი.

ცოტა ჩვენს თავზეც გავიცინოთ

დიალოღონი, ანუ ავადმყოფობის ისტორია

თავი I
ექიმის კაბინეტში

— ... გვარი... სახელი... დაბადების წელი... რა ინფექციური სნეულებანი გადაგიტანიათ... რას უჩივით?

— იცით, ექიმო, ბოლო დროს თმის ცვენა გამიძლიერდა და ხმა გამიწვრილდა.

— რომ არ გეტყობათ?

— არა, თავზე კი არა, სახეზე, მკერდზე, ბეჭებზე...

— ენდოკრინოლოგთან იყავით?

— დიახ, მითხრა, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები არაფერ შუაშიაო.

— აბა, კბილები დაკრიჭეთ, თვალები... იქით... აქეთ. ...კარგია. ახლა წელს ზემოთ გაიხადეთ. რა მოგივიდათ, რატომ გაწითლდით?

— მრცხვენია.

— აქ ხომ ჩვენს გარდა სხვა არავინ არის?

— სწორედ მაგიტომ...

— გასაგებია. დიდი ხანია, შეამჩნიეთ, რომ სხვა მამაკაცებისა გრცხვენიათ?

— ბაქოდან რომ ჩამოვედი, მას შემდეგ.

— ბაქოში რა მოხდა, შეგემთხვათ რაიმე?

— არა, იქაურ **ВПШ**-ში, პარტსკოლაში ვსწავლობდი, მერე დამაწინაურეს, ერთგან, მეორეგან..

— ეგ რა შუაშია, ჩემი ნაცნობების ნახევარზე მეტს **ВПШ, ВДШ, РАОН*** და ათასგვარი სხვა სახელმძღვანელო კურსები აქვთ დამთავრებული, მაგრამ აბანოშიც დავდივართ, ვსვამთ კიდეც და ზოგჯერ ქალებსაც გავერშიყებით... თუმცა, საუბრის თემას გადავუხვიეთ. თამბაქოს ეწევით?

— დიახ, „ფემინას“, „ლაით“ სიგარეტს. წინათ „ასტრას“ ვეწეოდი, იქამდე — „ყაზბეგს“.

— სვამთ?

— იშვიათად, ჩემი ცოლის ამხანაგები რომ მოვლენ ხოლმე, მაშინ, ლიქიორს, ხერესს, ერთიორჯერ ამარეტოც გავსინჯე, მაგრამ ძალიან მაგარი მომეჩვენა.

— არაყს, „სარაჯიშვილს“, ჭაჭას?

— უიმე, რას ბრძანებთ — Я же не мужлан какой-то!

— ცოლ-შვილი გყავთ?

— დიახ, ცოლი და 15 წლის ვაჟი.

— რა ურთიერთობა გაქვთ მეუღლესთან, ხშირად ჩხუბობთ?

— რას ბრძანებთ! როგორ შეიძლება ქალს თითი დააკარო — გინდა ჩხუბით, და თუ გინდ... სიყვარულით. პლატონურად ვეტრფი. სხვა მამაკაცებივით პირუტყვი კი არა ვარ!..

— კეთილი და პატიოსანი. მუშაობთ?

— ბატონ №-ის ოფისში, მთავარი ადმინისტრატორის მოადგილედ.

— თუ წინააღმდეგი არ იქნებით, მოდით, ჩვენი საუბარი თქვენს კაბინეტში განვაგრძოთ. მოგეხსენებათ, ფსიქიატრს სრული წარმოდგენა უნდა ჰქონდეს პაციენტის, ასე ვთქვათ, გარემოცვაზე.

თავი II
პაციენტის კაბინეტში

— აქა მშვიდობა, რა კარგი და გემოვნებით მოწყობილი კაბინეტი გქონიათ! ჩემსას კი არა ჰგავს. ჰო-ჰო, რამდენი სურათია, პატარა ერმიტაჟში მგონია თავი. Знакомые все лица!

— ეს შვარცნეგერია, ეს —მოჰამედ ალი, ლისტონი, როკი მარჩიანო... აქეთ ჩვენი სპორტსმენები არიან. აი, ეს — „შევარდენის“ წევრები, ეს ნადეჟდა ხნიკინაა, არსენ მეკოკიშვილი, ეს კი განთქმული მოგზაური ჯუმბერ ლეჟავაა, გინესის რეკორდსმენი.

— პირდაპირ, მსოფლიო სპორტის მემატიანე ბრძანებულხართ!

— დიახ, წინათ ძალიან მიყვარდა სპორტი, ვჭიდაობდი, ვკრივობდი, ბაკურიანში ერთი სეზონიც არ გამიცდენია. კობა წაქაძის, ვოვა მარგინოვის და მიხეილ გავას მერე ყველაზე პოპულარული კაცი ვიყავი კოხტაგორაზე.

— მერე, რაღა დაგემართათ?

— ხომ გითხარით, ბაქოს შემდეგ დამეწყო-მეთქი...

— კეთილი. ეს რა წარწერაა Support the politic, carried out...

— ეს ქართულად ნიშნავს „მე მხარს ვუჭერ პოლიტიკას, რომელსაც ატარებს... აი, აქ, ბოლოში „ატარებს“-ის შემდეგ ადგილი მაქვს დატოვებული, და დროდადრო ახალ გვარებს ვსვამ ხოლმე. წინათ ცეკას მდივნები, შემდეგ ჰელსინკის კავშირის ხელმძღვანელები, მერე სამხედრო და სახელმწიფო საბჭოების წევრები, ახლა კი მოქალაქეთა კავშირის ხელმძღვანელების გვარები და სურათები მაქვს ჩასმული.

— კარგი და, ვთქვათ, გადაბრუნდა ეს ქვეყანა და ძველი მთავრობა დაბრუნდა?

— ჯერ ერთი, ძირითადი კონტინგენტი უცვლელია, მეორეც, ექსპოზიციის გამოცვლას რა უნდა? აი, ამ საწერ მაგიდაში არა მყავს მთელი „მრგვალი მაგიდა“?!

— წიგნების კითხვა გიყვართ?

— რა თქმა უნდა, წინათ ძალიან მიყვარდა კამიუ, ფოლკნერი, დოსტოევსკი, სელინჯერი, ახლა ამდენი დრო აღარ მრჩება, და ზოგჯერ „რეზონანსს“, „ალიას“, „ასავალ-დასავალს“ თუ წავიკითხავ ხოლმე.

— „საქართველოს რესპუბლიკას“ არ წყალობთ?

— როგორ არა, უბრალოდ ვერ ვშოულობ. ძალიან მომწონს ჩართული გვერდები.

— რა აზრისა ხართ ახლანდელ ხელისუფლებაზე?

— ასეთი მთავრობა არათუ ჩვენ, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას არ ჰყოლია და ვერც ეღირსება. მე ვამაყობ, რომ ერთი პატარა ჭანჭიკი ვარ ბატონ №-ის ოფისისა, და მზად ვარ, ყველა ჩემი ახლობლის კეთილდღეობა და სიცოცხლეც კი მსხვერპლად შევწირო სამშობლოს უზენაეს ინტერესებს!..

— კარგი, კარგი, რა გაუტიე, შე კაცო! მომიტევეთ, შენობით რომ მოგმართეთ. რამდენადაც მახსოვს, ამ შვიდიოდე წლის წინათ თქვენი ინტერვიუ წავიკითხე რომელიღაც გაზეთში, და იგივეს ამბობდით წინა მთავრობაზე...

— ვინ არ შემცდარა. შეუმცდარი მხოლოდ ღმერთია!

— კეთილი, დავამთავროთ. აი, რა მინდა, დასასრულ გითხრათ. სანამ აქ მოვიდოდი, მე გავეცანი თქვენს ანალიზებს, გამოკვლევის შედეგებს, კარდიოგრამას, ენცეფალოგრამას, თან ორი დღეა გაკვირდებით, და მტკიცედ შემიძლია გითხრათ, რომ საშიში, ის კი არა, სამკურნალო არაფერი გაქვთ. ახლა მთავარია, დაუბრუნდეთ ჯანსაღი ცხოვრების წესს, გადაყარეთ ეს სურათები და ლოზუნგები, შეეშვით ლიქიორის და ამარეტოს სმას, „ლაით“, არომატიზებული უნიკოტინო სიგარეტის წევას. სვით ნატურალური ღვინო, საღამოობით 30-30 წვეთი „სარაჯიშვილი“, ხანდახან არაყიც შეგიძლიათ მიირთვათ, ოღონდ, მეტისმეტად ნუ მიეძალებით, და, რაც მთავარია, მოეშვით პირფერობას და მაამებლობას. აი, ნახავთ, ორ-სამ თვეში ყველაფერი გაგივლით...

* * *

ამონაწერი ავადმყოფობის ისტორიიდან: „ავადმყოფი № უჩივის მამაკაცური საწყისის ატროფიას. მეტისმეტი ქლესაობისა და მლიქვნელობისაგან გაუჩნდა ტრანსსექსუალიზმის ტენდენცია, დაუწვრილდა ხმა, გაუქრა თმოვანი საფარველი, კუნთები. მკურნალობა: ჯანსაღი ცხოვრების წესი; სპორტი, ზომიერი სმა“.

თავი III
პოლიკლინიკის დერეფანში

— ექიმო, როგორ ბრძანდებით, ვერ მიცანით, გახსოვთ, თქვენთან რომ ვიყავი ამ შვიდი თვის წინათ?

— ააა, როგორ არა, როგორ არა! რა დაგიბოხებიათ ხმა!

— ეს სიმპათიური მანდილოსანი თქვენი მეუღლეა?

— დიახ. ქალთა კონსულტაციაში მყავდა, ექოსკოპიაზე, ტყუპებს ველოდებით.

— კიდევ ხომ არა გაქვთ რაიმე ჩივილები?

— სერიოზული არაფერია, მაგრამ რახან აქ მოვედი, ბარემ კოსმეტოლოგთან შევივლი.

— ???

— პირიქით! რაც ნორმალურ ცხოვრებას დავუბრუნდი, კატასტროფული სისწრაფით მეზრდება თმა მკერდსა და ბეჭებზე, „ტაროც“ არა მშველის, ჰოდა მინდა, ეპილაციისა და დარსონვალიზაციის კურსი გავიარო...

არჩილ მანჯგალაძე.

** ВПШ, ВДШ, РАОН — უმაღლესი პარტსკოლა, უმაღლესი დიპსკოლა, რუსეთის საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია — რედ.*

თეატრი

მოლიერი — სენაკის სცენაზე

სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა ჟან-ბატისტ მოლიერის კომედია ერთ მოქმედებად — „პრანჭია ქალბატონები“.

სპექტაკლი დადგა და მუსიკალურად გააფორმა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის მეოთხე კურსელმა ირაკლი ადამიამ. ეს მისი წინასადიპლომო სპექტაკლია. მისი პედაგოგია პროფესორი აქვსენტი გამსახურდია — საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მხატვრობა ეკუთვნის მალხაზ კორთხონჯიას, ქორეოგრაფია ნიკა ხუნჯუა, რეჟისორის თანაშემწე — მაია ფირცხალავა.

როლები შეასრულეს მსახიობებმა თენგიზ თოფურიძემ, გიგა ცაგარეიშვილმა, ლერი ჯალაღონიამ, ლალი გაბელაიამ, ეკა კოლუამ, ლელა ჭანტურიამ, ედემ ხვიჩიამ, ჯამბულ ჭანტურიამ, თეა ლომიამ და სხვებმა.

იოსებ გოგიჩია
„სრ- საქ. კორ“.

გაითვალისწინეთ!

ქალაქ თბილისში პრესის გავრცელების საცალო ქსელში დასაქმებულთა და კერძო რეალიზატორთა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ მარმანდელი 20 მაისიდან ნებადართულია „საქართველოს რესპუბლიკის“ მხოლოდ იმ ეგზემპლარების გაყიდვა, რომლებზეც ამ გაზეთის გამომცემელი შპს „პრესის“ სპეციალური შტამპი იქნება დარტყმული. ყველა დანარჩენი მოპარულია.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია.

სასამართლო

გაიცინებს კი „არ ვიცის“ დედა?

აქვე ჯაბა იოსელიანმა წერილობით განაცხადა: ბევრი ლაპარაკობს, თავად ედუარდ შევარდნაძეც, რომ ამ პროცესზე არის მარტოოდენ სიცილი, ხითხითი. ეს არასწორია. ამ პროცესზე არის ტირილიც. და ეს ტირილიც აუცილებლად უნდა დაინახონ.

არ დავმალავ: პროცესზე არის ტირილიც. მაგრამ ეს არის ტირილი განსასჯელთა ახლობლებისა. იქნებ ეს ტირილი „ალგვენუსხა“ მაშინაც, როცა სასამართლო დარბაზში შემოელენ დაზარალებულთა ახლობლებიც? ამ დაზარალებულებში კი არიან შაოსანი დედებიც, რომელთაც შვილები მოუკლეს, — და „მიმტევებელი“ ცოლებიც, რომელთა ქმრებიც სიცოცხლეს გამოასალმეს, მაგრამ... შურისძიებას საჯაროდ ვერ გამოხატავენ. მკვლელები კი, სალმან რადუევის მაგალითით ქმარა, საჯაროდ კისრულობენ კაცისკვლას...

გუშინ ისევ გაგრძელდა ნიკა კვეზერელის დაკითხვაც და მისი ადრინდელი ჩვენებების გამოქვეყნებაც. როგორც ჩანს, გზადაგზა „ბეჯითად“ მუშაობენ ადვოკატებიც და, ცხადია, პროკურორებიც. ორივეს თავისი „საქმე“ აქვს, მაგრამ ჭეშმარიტება? ამ ჭეშმარიტებას ძნელად ადგენს სასამართლო. რახან განსასჯელებმა ერთხელ თქვეს, — ჩვენი დაჭერა წინასწარი სცენარით მოხდაო, — ახლა მათი ჩვენებების მიცემაც წინასწარი სცენარით ხდება, — მე უდანაშაულო ვარ, მორჩა და გათავდა. ესაა მათი სიტყვა.

ისევ ნიკა კვეზერელი. მან წინასწარი გამოძიებისას არ მისცა აღიარებითი ჩვენებები. შიმშილობაც გამოაცხადა, — დამიპირისპირეთო ის ხალხი, რომელიც მე 1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტში ბრალს მდებსო. ეს ხალხი, — სულ ორი კაცი იყო, — თემურ ხაჩიშვილი და ავთანდილ გოგოტიშვილი. ნიკა კვეზერელი არავის იკარებდა ახლოს. მოითხოვა პარლამენტარი ელენე თევდორაძე, რომელიც № 5 იზოლატორში ნიკა კვეზერელს შეხვდა გამომძიებელთან, ადვოკატთან ერთად, შეხვდა პირისპირაც.

ეს იყო 1996 წლის 4 მაისს. ნიკა კვეზერელს არავითარი პრეტენზია არ გამოუთქვამს. არ ირღვეოდა მისი, როგორც პატიმრის უფლებები, უბრალოდ, ითხოვდა თემურ ხაჩიშვილთან და ავთანდილ გოგოტიშვილთან დაპირისპირებას. რატომ? იმიტომ, რომ თემურ ხაჩიშვილმა 1995 წლის 8 დეკემბერს გენერალურ პროკურორთან შეხვედრისას ამხილა ნიკა კვეზერელი. ეს თემურ ხაჩიშვილმა იმით ახსნა, რომ ფსიქოტრონული ზემოქმედების ქვეშ იყო. არადა, ნიკა კვეზერელმა თავის საჯარო ჩვენებაში „მოხსნა“ ეს ფსიქოტრონული ზემოქმედება, — ხაჩიშვილს ამდაგვარი არ ეტყობოდაო.

მამ, როგორ?

ვის დავუჯეროთ?

ზოგიერთმა ნიკა კვეზერელის ეს განცხადება სენსაციად მონათლა. ახლა ადვოკატებიც, განსასჯელებიც ცდილობენ ნიკა კვეზერელის ამ „შეცდომის“ გამოსწორებას, მაგრამ... როგორც იტყვიან, დათვის კვალი ძნელი წასაშლელია. კითხვები უამრავია...

— რატომ დახვდით თქვენ იგორ გიორგაძეს 1995 წლის 30 აგვისტოს თბილისში, როცა ტერაქტის მეორე დღეს მოსკოვიდან ჩამოფრინდა, გევალებოდათ?

— არა. არ მევალებოდა. მაგრამ დავხვდი იმიტომ, რომ ჩემი მინისტრი იყო. არ მენახა ორ თვეზე მეტ ხანს. შვებულებაში იყო.

— ასეთი დიდი შვებულება?

— ეს არ ვიცი.

— კარგით. იმ შვებულებაშიც ხომ თქვენ გააცილეთ?

— დიახ, მე გავაცილე. ჩავიყვანეთ ბათუმში, მერე სარფში. გადავიდა თურქეთის საზღვარზე.

— კი, მაგრამ... შვებულებაში იგორ გიორგაძე მოსკოვში იყო. რატომ წავიდა თურქეთში?

— არც ეგ ვიცი!

— გენდობოდათ თუ არა უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელობა?

— ალბათ, მენდობოდა, რადგანაც ტყვიაზე მივდიოდი.

— თქვენ რამდენჯერმე დააკავეთ ადამიანები და გადაეცით გიგა გულაშვილს, — მაშველთა კორპუსის თავმჯდომარეს. რატომ?

— ასეთი ბრძანებები უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელობისგან მოდიოდა.

— ერთხელ თქვენ დააკავეთ პარლამენტარ თამაზ საყვარელიძის ძმა. ესეც უშიშროებისგან მოდიოდა?

— დიახ!

— თქვენ ბრალი გედებათ ადამიანთა გატაცებაში. რატომ თქვით უარი ამოცნობაზე, როდესაც საგამოძიებო ოთახში დაზარალებული მოვიდა?

— მე ძირითადად მაინტერესებდა 29 აგვისტოს ტერაქტი. ადამიანთა გატაცება მერე გაჩნდა ბრალდებაში.

— და მაინც, არ გაინტერესებდათ?

— არა, არ მაინტერესებდა.

— თქვენ ბრალი გედებათ სამშობლოს ღალატშიც.

— ეს ჩემი შეურაცხყოფაა!

რაც მართალია, მართალია: ნიკა კვეზერელი საჯარო ჩვენებისთვის მომზადებულია მშვენიერად. კარგად მუშაობს თვითონაც და მისი ადვოკატი თემურ გოგსაძეც. მაგრამ ამავე დროს არ „სძინავს“ მოსამართლე ჯემალ ლეონიძესაც:

— თუ ასეთი უდანაშაულო ხართ, რატომ არ დააყენეთ შუამდგომლობა გამოძიების დამთავრების ბოლოს?

— არ ვიცი!

საერთოდ, ნიკა კვეზერელი ადრეც ამბობდა და გუშინაც გაიმეორა, რომ ზოგიერთ პიროვნებას, ზოგიერთ ძალას, ზოგიერთ ფაქტს, ზოგიერთ მაგალითს ახლა, ამ ეტაპზე არ ასახელებს. რატომ?

თუნდაც ასეთი კითხვა:

— თქვენ ამბობთ, რომ ებრძოდნენ „ომეგას“. კონკრეტულად, — ვინ?

— არ ვიტყვი!

მის პასუხებში ბევრია — „არ ვიცი“...

— რატომ გამხილათ 1995 წლის 8 დეკემბერს თემურ ხაჩიშვილმა?

— არ ვიცი!

— როდიდან გაჩნდა უნდობლობა თქვენსა და უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელობას შორის?

— არც ეგ ვიცი!

— „ვიცის“ დედა ტიროდა, „არ ვიცისა“ იცინოდაო. ეს ჭეშმარიტება თავად ნიკა კვეზერელმაც იცის. სასამართლო კოლეგიის და პროკურატურის წარმომადგენლები ისეთ გამოუჩხრეკელს გამოჩხრეკენ ხოლმე, რომ, ალბათ, თავადაც უკვირს და „ახსნა-განმარტებისთვის“, თვითონ იურისტები, წამდაუწუმ კონსულტაციებსაც იღებენ განსასჯელთაგან...

გუშინ დაიწყო გურამ პაპუკაშვილის დაკითხვაც. მან თითქმის ყველაფერი პირწმინდად უარყო.

ერთი სიახლე: ამიერიდან სასამართლოს მდივნის პოსტზე მანუჩარ კაპანაძეს შეცვლის ლევან ზაქრაძე. მოსამართლე ჯემალ ლეონიძემ იკითხა — აცილება ხომ არა გაქვთო. არც ადვოკატთაგან, არც განსასჯელთაგან აცილება არ ყოფილა. ლევან ზაქრაძეს აქამდე უმტკივნეულოდ „გაუშიფრია“ ირაკლი დოკვაძის, პეტრე გელბახიანის, ვიქტორ დომუხოვსკის, ლოთი ქობალიას, ზვიად ძიძიგურის, ჯამბულ ბოკუჩავას და სხვათა საკმაოდ გახმაურებული პროცესები. იმედია ამჯერადაც იგი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდება!

ბონდო გულიაშვილი.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

ნავთობპროდუქტების ბაზარი

ნავთი

სახელმწიფო კომპანიის „საქნავთობპროდუქტები“ და სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტის ოფიციალური მონაცემების მიხედვით, თებერვლის პირველ დეკადაში რესპუბლიკაში ნავთის ფასები საშუალოდ 30 თეთრით გაიზარდა. ფასების ზრდა გრძელდება — დღეისათვის თბილისის რიგ რაიონებში 1 ლ. ნავთი უკვე 70 თეთრი ღირს. ამით აიხსნება მოსახლეობის აღელვება — ხალხი შეშინებულია ნავთის ფასების შესაძლებელი შემდგომი ზრდით, როგორც ეს გაზაფხულობით უკვე არაერთხელ მომხდარა.

ოფიციალური სტრუქტურები აცხადებენ, რომ ქვეყანაში ამ საწვავის თითქოსდა საკმარისი მარაგია. მაგრამ, კარგად ინფორმირებული წყაროს მონაცემების თანახმად, ქართულ რკინიგზაზე აზერბაიჯანიდან ნავთის ჩამოზიდვა (მოწოდება რუსეთიდანაც ხორციელდება) დაახლოებით იმ დროს შეწყდა, როდესაც ფასების აწევა დაიწყო.

ნავთის ძირითადი რაოდენობის მოწოდებას კერძო კომპანიები აწარმოებენ, „საქნავთობპროდუქტები“ პასუხს მხოლოდ სახელმწიფო ორგანიზაციების უზრუნველყოფაზე აგებენ. ამიტომ ჯერ ძნელი სათქმელია, მართლაც საწვავის უკმარისობამ გამოიწვია ფასების ზრდა, თუ ეს მათი ხელოვნური ამაღლებაა იმ კომპანიების მიერ, რომლებიც ნავთობპროდუქტების ბაზარს უწევენ კონტროლს.

შესაძლოა, ორშაბათს საქართველოს პრეზიდენტს ეცოდინება ამის შესახებ, მან თბილისის ხელისუფლებას, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს, ეკონომიკის სამინისტროს, ანტიმონოპოლისტურ სამსახურს და სხვა უწყებებს სასწრაფო დავალება მისცა: 3 დღეში დეტალურად გაერკვნენ ნავთზე ფასების ზრდის მიზეზებში, ანალიზი გაუკეთონ და წარუდგინონ მას ამ პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებული წინადადებები.

თხევადი გაზი

თხევადი გაზის 80 პროცენტი საქართველოში აზერბაიჯანიდან შემოდის. 10 კგ-იანი ბალონის ფასი მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე 4-დან 9 ლარამდე მერყეობს. ყველაზე დაბალი ფასები — 4-დან 7 ლარამდე — დაფიქსირებულია იმერეთის, ქვემო ქართლის და კახეთის რაიონებში, ხოლო ყველაზე მაღალი — თბილისში — 8-9 ლარი.

როგორც გეა-ს კორესპონდენტს საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლისტური სამსახურის უფროსმა, ვაჟა მაისურაძემ აცნობა, ფასების ასეთი სხვაობა დედაქალაქის მოსახლეობის შედარებით მაღალი გადახდისუნარიანობითაა განპირობებული. ვაჟა მაისურაძე თვლის, რომ თხევადი გაზის არსებული ფასები ხელოვნურადაა გაზრდილი, ამიტომ ანტიმონოპოლისტური სამსახური, თხევადი საწვავის ფასების წარმოქმნის ჭეშმარიტი მექანიზმის დადგენის მიზნით, აგროვებს მონაცემებს ყველა რეგიონული სამსახურიდან.

პარალელურად, იმის გამოსავლენად, ხომ არა აქვთ ქართულ ფირმებს აზერბაიჯანის მხარესთან დადებული ექსკლუზიური ხელშეკრულებები თხევადი გაზის მხოლოდ მათთვის მიწოდების შესახებ, აზერბაიჯანის მხარეც იქნება შემოწმებული. მაისურაძის თქმით, ამგვარი დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში, დამრღვევი ფირმების წინააღმდეგ საჯარიმო სანქციები განხორციელდება.

ბენზინი

როგორც საქართველო-საბერძნეთის ერთობლივი საწარმოს **Eco Georgia**-ს აღმასრულებელმა დირექტორმა, ჯორჯ დიამანტისმა განაცხადა, დღეისათვის საქართველოში ყველაზე იაფი ბენზინია. სავარაუდოდ, საქმე ისაა, რომ საბაჟო გადასახადს ყველა ფირმა არ იხდის, ამის შედეგად ბენზინის ფასები უცვლელია, თუმცა გადასახადი 10-დან 55 პროცენტამდე გაიზარდა.

ფირმა **Eco Georgia**-ს ბენზინის შემოტანის უფლება ნებისმიერი ქვეყნიდან აქვს, მაგრამ იგი უპირატესობას საბერძნეთიდან შემოტანას ანიჭებს. აზერბაიჯანიდან ბენზინი არც ერთხელ არ შემოუტანიათ, რადგან, დირექტორის აზრით, იგი დაბალი ხარისხისაა.

საქართველო-საბერძნეთის ერთობლივი საწარმო **Eco Georgia** 1995 წელს შეიქმნა. საბერძნეთის მხრიდან მონაწილეობს ფირმა **Eco Abee** — საბერძნეთში ყველაზე მსხვილი ნავთობკომპანია ბენზინის საუკეთესო ხარისხით.

მთავარი ოფისი საბერძნეთში მდებარეობს. ფირმა ბენზინის ექსპორტს თურქეთში, იუგოსლავიაში, ალბანეთში და სხვა ქვეყნებში აწარმოებს.

ფასებს იტალიის ბირჟიდან იღებენ, პლიუს ფრახტები, ე. ი. საბერძნეთიდან საქართველოში საზღვაო ტრანსპორტით გადმოზიდვა.

გასულ წელს იყო შემოზიდული დაახლოებით 8 ათასი ტონა: **Ron** 96, (90) 92-ნორმალური ხარისხის ოქტანური ბენზინი. თუ საქართველოში სიტუაცია სტაბილური იქნება, შემოტანილი ბენზინის რაოდენობა გაიზრდება.

„გეა“.

სასწავლო პროგრამები უცხოეთში

1. ერთი წელი ამერიკის სკოლებში (ასაკი 15-18 წელი)
2. ენის კურსები ნებისმიერ ქვეყანაში.

მისამართი: ვაჟა ფშაველას 18,
ტელეფონი: 94-25-14

„განახლების ქართულ-ამერიკული დასი“
ფონდი „ინტერკულტურა“.

უფასო კონსულტაციები
მიწისა და უძრავი ქონების მესაკუთრეთათვის.
მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია.
თბილისი, კრილოვის 15, II სართ.
ტელ: 94-17-84.

ხსოვნა

მარიამ ყანჩაველი

უმძიმესი გამოცდა მოგვიწყო ღმერთმა შვილო მარიამ. ტრაგედია მოუშუშებელ იარად დააჩნდა ჩვენს ცხოვრებას. ცხოვრებას, რომელსაც შენ ალამაზებდი. ალბათ, ძალზე ძნელია ჩვენი ტკივილის გაგება, ტკივილისა, რომლის გადმოცემა ყოვლად შეუძლებელია. სანთელმა გვინდა მარადისობისაკენ გაგინათოს. შვილო მარიამ, ჩვენს ფიქრებში, მოგონებებში და სიზმრებში იქნები მუდამ.

შენი საწყალი მამიკო და დედიკო
დათო, ხათუნა ყანჩაველები.

დაკრძალვა 19 II, 2 საათზე, ვერხარნის შესახვევი № 6. ჩუღურეთის რ.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ სმკ ჩუღურეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს თენგიზ ყანჩაველს გარდაეცვალა შვილიშვილი

მარიამ ყანჩაველი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე მარინე, შვილები მალხაზი, მაია, რძალი მარიკა თედიაშვილი, შვილიშვილები მარიამი, ანა, ძმა მიშა, დები ნინო, ნათელა, რძალი ცაცინო, სიძეები ომარი, ელდარი, ძმისწულები დათო, ნანა, დისწულები გელა, ლელა, ნოდარი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვალიკო დავითის ძე ნინაშვილი

პანაშვიდი 17-18 II, 4 სთ. დაკრძალვა 19 II, 2 სთ. ყვარლის რ-ნი სოფ. გავაზი.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო კომპანია „მედინსერვის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კომპანიის თანამშრომლის მაია ნინაშვილის მამა

ვალიკო დავითის ძე ნინაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ფატი, შვილები ომარ, ოთარ, შვილიშვილები ნიკა, შოთა საგანელიძეები, რძალი მანანა გარუჩავა, ცოლისდა თინა, ცოლისძმა აბესალომ ახალბედაშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რუბენ (შოთა) ვიქტორის ძე საგანელიძე

პანაშვიდი 17,18, II, 16 სთ. გამოსვენება 19, II, 14 სთ. თემქის დასახლება, XI მიკრორაიონი, მე-3 კვ. 58-ე კორპ. ბინა 57. (ბავშვთა საავადმყოფოსთან ახლოს).

მეუღლე შოთა, შვილი ბადრი ფიფიები, ძმები გურამ და ვახტანგ სილაგაძეები, და ტატიანა სილიეონჩიკი, იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნანული დიმიდის ასული სილაგაძე-ფიფია

დაკრძალვა 19 II, 14 სთ. გამოსვენება ქ. სოჭი, წითელარმიელების ქ. 39, ბინა 51.

ულრმეს მწუხარებას გამოვთქვამ ჩემი კოლეგის, სტუდენტთა № 32 პოლიკლინიკის ექიმი-თერაპევტის

ნელი ქუთათელაძის

მოულოდნელი გარდაცვალების გამო. თანაგრძნობას ვუცხადებ განსვენებულის ოჯახის წევრებს.

ექიმი ლოლა ჩხიკვაძე.

საქართველოს იუსტიციის საბჭო მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა საკითხების კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი

გიმზერ ზედელაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე თამარ ხუროშვილი, შვილები ეკა, ნანა, თემური, რძალი მზეო ცხვარიაშვილი, სიძე ნუკრი მძინარიშვილი, შვილიშვილები თორნიკე, თორღვა, ნანუკა, თეო, ძმა ვაკა ქაცანაშვილი, დები ოლია, ელისო ოჯახებით, ბიძაშვილები, იუწყებიან რომ გარდაიცვალა

ელიზბარ იეანეს ძე ქაცანაშვილი

პანაშვიდი 17, 18 II, 5 სთ. დაკრძალვა 19 II, 2 სთ. სოფელ პატარძეულში; საგარეჯოს რაიონი.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ოთარ ხუციშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში, ხოშარაულის 29.